



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№267 (326) 6-13 მაისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თეთრი

მეხუთე კოლონის მეხუთე ელემენტი!

საოცრად გაუკვლამართდნენ საქართველოში პოლიტიკური მოვლენები უკანასკნელ წამს, განსაკუთრებით უკრაინაში დატრიალებული უბედურების შემდეგ. ყველა, ვინც კი ლეგიტიმურად არ აღიარებს უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულ ფაშისტურ ხელისუფლებას, უკვე (აბაერთვის) გამოაცხადეს რუსეთის აგრესიას და ლამის ნადირობა გამოაცხადონ მათზე.

დღეს არავინ ინტერესდება იმით, თუ რატომ უნდა ვაღიარო ტიმოშენკოვ გვარ-გადაკეთებული იულია გრიგორის უდანაშაულობა, როცა ფაქტობრივი დასაბუთებით დადასტურებულია, რომ მან რამდენიმე მილიარდი დოლარი ქურდულად წაგლიჯა უკრაინის ბიუჯეტს. ან, რატომ უნდა ჩავთვალო უწყინარ ტოლერანტულ ძალად უკრაინის განმანათლებლებელი არმიის ის უბადრუკი ნარჩენები, რომლებიც გერმანელი ფაშისტების მხარდამხარ გერმოდნენ საბჭოთა ჯარებს და ცოცხლად ატყავებდნენ უდანაშაულო ადამიანებს?

სიმათრდე გითხრათ, დიდად გულზე არც იანუკოვიჩი მეხატებოდა, რომელმაც, როგორც იტყვიან, „გადააგლო“ უკრაინელი ხალხი და საზოგადოებასთან შეუთანხმებლად, ერთპიროვნულად უცვალა სახელმწიფოს პოლიტიკური გეზი, რამაც, საერთო ჯამში, დანაწევრების საფრთხის წინაშე დააყენა ერთ დროს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი უკრაინა. მაგრამ უკრაინას თავისი პრობლემები აქვს და თავს არ შეეწევა მასზე ვიშვიშოთ, რადგან უფრო დიდი პრობლემის წინაშე ჩემი მრავალტანჯული საქართველო იმყოფება.

დიახ, არის იმის საფრთხე, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც საკვებით სამართლიანად თვლიან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მხოლოდ რუსეთთან კეთილშობილური ურთიერთობების აღდგენითა და მშვიდობიანი დიალოგით უნდა მოგვარდეს, შეიძლება „მეხუთე კოლონად“ და სამშობლოს მოღალატეებად მოგვანათლონ! და ეს მაშინ, როცა, დღესაც კი არავინ სთხოვს პასუხს სააკაშვილსა და მის ნაციონალურ ბანდას 2008 წელს მათ მიერ წამოწმებული პროვოკაციული ბინძური ომისათვის, რამაც საქართველოს 20-პროცენტის ტერიტორიული დანაკარგი უკვე იურიდიულადაც გააფორმებინა რუსეთს! მაშინ ტაშ-ფან-ღურით გვაცნავენ საქართველოს განსხვავებულმა სააკაშვილმა რუსთაველის გამზირზე და მთელი მისი სირცხვილ-სიმახინჯე დიდი გმირობად და შთამბეჭდავ გამარჯვებად შემოგვანჩენა. კარგით, ბატონო, მაშინ სააკაშვილს ძალა ჰქონდა, ძალა კი, როგორც მოგეხსენებათ, „ადამიანის ხნავს“, მაგრამ ახლა, როცა უკვე სააკაშვილსა და ნაცებს არავითარი ძალა და უნარი არ გააჩნიათ, მაინც რატომ გვაცეკვებენ თავიანთ ჭკუაზე? ან იქნებ „ქართული ოცნება“ ნაციონალებისა და სააკაშვილის თამაშს თამაშობს, იმტომ, რომ მათ ერთი დამკვეთი ჰყავთ?

სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ აყვიათა პირიდან ამოხეთქილი ის მკვახე შეკარა, რომ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელიც რუსეთიდან ფინანსდებიან, სასწრაფოდ უნდა მიეკეტოთ. ჯერ ერთი, ამგვარი ორგანიზაციები მე საქართველოში არ მეგულებიან, და მეორეც, როგორ უნდა გავიგოთ ეს შეკარა – რუსეთიდან წამოსული ფული დამუშავდება საქართველოსათვის და ავად-სახსენებელი მასონის ჯორჯ სოროსის ფულია ქვეყნის აღმშენებელ-დამამშენებელი? განა ყველა ის სიმახინჯე და

გარყვნილება, რაშიც დღეს კისრამდენა ნაფლული საქართველო, განა სწორედ ამ ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებული „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ არ მოედინება?

„არა კოლაბორაციონიზმი! არა მტერთან თანამშრომლობა! მოვსპოთ საქართველოში პრორუსული მე-5 კოლონა!“ – ბოკერიაძე, უგულავამ, ვაშაძემ, რურუამ, პანფილოვმა და სხვ. ექს-მადლჩინონებმა სახელმწიფო კანცელარიასთან ნაც-აქცია გამართეს დღეებით – „მიშა მოდის“

მომიტინგებმა მთავრობას 5 მოთხოვნა წაუყენეს: აამოქმედოს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი, აიკრძალოს აგრესორი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკის საჯარო გამოყენება, კონტროლზე აიყვანოს საქართველოს მოქალაქეთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი და საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალოს რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო სატელევიზიო არხების მაუწყებლობა, შეეზღუდოს შესაბამისი ნორმატიული ბაზა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის საჯარო უარყოფისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

საინტერესოა, რატომ აღსდგა სააკაშვილის მმართველობის ის მიმე ჯამი, როცა ავადსახსენებელი ნაციონალები შუასაუკუნეობრივი სიბნელის ექსტაზით კრძალავდნენ ყოველივე რუსულს და რუსეთთან რუსულ სიმღერის შეკვეთისათვის დიდ ჯარიმებს ახდევინებდნენ ხალხს?

საქართველომ უკვე მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ვერცერთ ალიანსში გაწევრიანება ვერ დაეუკარგინებს ამ სანუკვარ მონაპოვარს, ხოლო თუ ამერიკელებისადმი მონური დამოკიდებულება დირექტული საქმეა, რუსეთთან კეთილშობილური დამოკიდებულება რატომ უნდა იყოს მიუღებელი და დამღუპველი?

ყველაზე საწუხარი კი ისაა, რომ ამ უახრო და არავითარი სარგებლის მომტან პროპაგანდას მხარს უჭერენ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის დევიზით მოსული „ოცნებისტები“, რეალური სამართლიანობის აღდგენა კი იმ ადამიანებთან გვიწევს ბრძოლა, ვინც ამ ობიექტურ ისტორიულ სამართლიანობას იცავს, უფრო სწორად – უნდა იცავდეს!

ახლა კი ისაა საკითხავი, ვართ კი დამოუკიდებლები, როცა ქისასავსე ევროამერიკელები უპაუტაციოდ და უხეზად ერევიან ჩვენს საშინაო თუ საგარეო საქმეებში?

დიახ, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით განათლებულ, კულტურულ ევროპას! ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ვექსპირის, მიქელანჯელოს, მოპასანის, ველტერის, დიდროს, ჟან ჟაკ რუსოს, ბალზაკის, მოდილიანისა და სხვა პუმიანისტი შემოქმედების ევროპას!

ჩვენ ვეწინააღმდეგებით გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, მაკაკაძე გათხოვილი „მამაკაცის“ გილო ვესტერგელეს ევროპას, ჩვენ ვეწინააღმდეგებით დაშნაკი სააკაშვილისა და მისი ნაციონალური ბანდის მიერ დაქირავებულ, შევლეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მქრ-თამე და არაკეთილსინდისიერი მინისტრის კარლ ბილდტის ევროპას! ჩვენ ვეწინააღმდეგებით ელტონ ჯონის ევროპას! ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით და კვლავაც დიდ წინააღმდეგობას გავუწევთ სოლომისა და გომორას ევროპას!

ჩვენ იმ ევროპას ვეწინააღმდეგებით, სადაც ეკლესიებში ბავშვების გამბახებელი (პედოფილი) სასულიერო პირები სწირავენ!

ჩვენ იმ ევროპას ვემიჯნებით, სადაც კაცი კაცზე თხოვდება, ქალი კი – ქალზე!

ამას წინათ ერთმა ვანელმა ქართველმა კაცმა – მერაბ ქარჩხაძემ, რომელსაც მიმივდ დაავადებული შვილის საოპერაციოდ საჭირო თანხა არ ჰქონდა, სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, თავი ჩამოიდნო (ნათელში იყოს მისი სული) და მის დაკრძალვაზე შემოსული შესაწევარი თანხით დააფინანსა ოპერაცია, რათა ბავშვი ხეიბრად არ დარჩენილიყო. ასე გადაარჩინა ქართველმა კაცმა შვილი საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე, მაგრამ რომელი ევროამერიკელი ჩათვლის ამას მშობლიურ მზრუნველობად? არცერთი!

პირიქით, შეურაცხყოფასაც კი მოგვაყენებენ იმით, რომ ბარბაროსობად და სიგიჟედ ჩავთვლიან ამგვარ თავგანწირვას. და იცით რატომ? ევროპელმა და ამერიკელმა საკუთარ შვილს ფული რომ ასესხოს ერთი თვით, ნორმალურად გააფორმებს ამ ოპერაციას და თუ შვილი ვალის გადახდა თუნდაც რამდენიმე დღით დაუგვიანა, ვაი მის ტყავს – წამსვე სასამართლოში გაიქცევა საჩივრებად!

რა გვესაქმება ჩვენ ამგვარ ხალხთან, რომლებიც საკუთარ შვილსა და მშობლებს ნათესავეებად არ მიიჩნევენ?

გაიხსენეთ, ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა როგორ აიძულა პრეზიდენტი ჯონ კენედი, რომ მოხუცი დაუძლურებული მშობლები სასწრაფოდ გაე-სახლებინა „თეთრი სახლიდან“, რადგან იქ ცხოვრების უფლება, ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ პრეზიდენტის ცოლ-შვილს გააჩნია.

რა გვესაქმება მათთან ჩვენ, ოჯახისა და ტრადიციების მოყვარულ და პატივისცემულ ქართველებს, რა უნდა გვასწავლონ ამ გადაგვარებულებმა?

მაგრამ, კარგად თუ დავაკვირდებით, ნაციონალური მოძრაობა იმ ძლიერ „მეხუთე ელემენტს“ გვაგონებს ამერიკელი კინორეჟისორის ჯორჯ ლუკასის მხატვრული ფილმიდან, რომელიც იოლად უსწორდება მტერს, მაგრამ ერთი განსხვავებით – ლუკასის გმირი სამყაროს გადაარჩენს კატასტროფისაგან, ნაციონალიზმა კი დიდ კატასტროფას შეჰყარეს ქართველი კი და ლამის გაანახევრეს იგი.

ახლა კვლავ ხელისუფლებაში მოსვლაზე ოცნებობენ და ამ ფარული იდეის განსახორციელებლად ლამის საკუთარ უკანალში შექრნენ. სიამოვნებით დაიწყებდნენ ახალ ომს რუსეთის წინააღმდეგ და იმაზე თანახმანი იქნებოდნენ, რომ საქართველოსაგან მხოლოდ „მცხეთის გუბერნია“ დარჩეს, ოღონდაც გუბერნატორად კვლავ სიმახინჯის განსახიერება სააკაშვილი იხილონ!

როგორ გავიგოთ ქართული პოლიტიკის ასეთი მოულოდნელი წიაღსვლა – ჩვენ, ვინც რუსეთთან კეთილშობილური ურთიერთობის აღდგენას მოვიტხოვთ, უპირველესად საქართველოს საკეთილდღეოდ – კოლაბორაციონისტები ვართ, ხოლო ნაციონალები, რომელთაც ომი გამოუცხადეს რუსეთს და საქართველოს ოცი პროცენტზე მიაყოლეს ზედ ხურდად – პატრიოტები არიან?

ის სააკაშვილია საქართველოს გულმე-მატკივარი, რომელმაც თურქეთთან ფარული შეთანხმებით აჭარაში 30 ათასი თურქი ჩასახლა და მენეთები გაამრავლა, რაც თურქეთისაგან აჭარის ისლამიზაციას და ეკონომიკურ-პოლიტიკურ ოკუპაციას გულისხმობს და ჩვენ ვართ საქართველოს მტრები?

ის სააკაშვილია საქართველო პატრიოტი, რომელსაც საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა ეწადა,

რათა აღმოსავლეთ საქართველო დაშნაკი სომხებისათვის გადაელოცა და ჩვენ ვართ საქართველოს მტრები?

ის ნაციონალები არიან საქართველოს მოკეთეები, რომელთაც ციხეები გაავსეს უდანაშაულო ქართველებით და ჩვენ ვართ საქართველოს მტრები?

ის ალექსანდრე ჭაჭია კოლაბორაციონისტი, რომლის წინაპრებიც აფხაზეთის მიწაში განისვენებენ და რომელიც ყველაფერს აკეთებს საიმისოდ რომ საბოლოოდ არ ჩაინგრეს მეგობრობის ხიდები ქართველებსა და აფხაზებს შორის და ის მიხედვით სააკაშვილია ქვეყნის პატრიოტი, რომელმაც დაკარგულ ტერიტორიებს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონიც წაუშაბა?

ის „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე კოლაბორაციონისტი, რომლის მამამ – ვიქტორ რცხილაძემ დისიდენტობის ბრალდებით ათი წელიწადი გაატარა საბჭოთა უშიშროების ციხეში და ის სააკაშვილია ქვეყნის პატრიოტი, რომლის ბიძა თემურ ალასანია დღესაც „პირნათლად“ ემსახურება საბჭოთა უშიშროების ნარჩენთა ინტერესებს?

ის „საქინფორმის“ ხელმძღვანელი არნო ხიდირბეგიშვილია კოლაბორაციონისტი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართული ჟურნალისტიკისა და საქართველოს სასიკეთო საქმეებს მოახმარა და ის სააკაშვილი და მისი ნაციონალური ბანდის წევრები არიან პატრიოტები, რომლებიც ბიუჯეტის კუთვნილ მილიონებს ახმარდნენ საქართველოს გარყვნილების მორევში ნათრევის საქმეს?

არასოდეს დაილევა ამგვარი შეკითხვები!

და ეს არაკაცები ჩვენსკენ იშვერენ თითს და ლამის სამშობლოს მოღალატეებად შეგვარცხონ!

პაი, გიდი, ოსმან ალა!
როგორც ნაღველმორეული ქართველები ამბობენ: „ვის მიემართოთ, რუსთაველი მკვდარია...“

ახლა, რაც შეეხება ამ წერილის სა-თაურში ნახსენებ „მეხუთე ელემენტს“.

მავანი ალბათ იკითხავს: კონკრეტულად მინც ვინ არის ის ქართველი „მეხუთე ელემენტი“, რომელსაც ჯორჯ ლუკასის ცნობილ კინოსურათში წარმოშობით უკრაინელი ლამაზმანი მილა იოვოვინი განასახიერებს.

ვინ არის ბატონო, და, მილა იოვოვინისაგან გარყვნილი „ოღნავ“ განსხვავებული ხათუნა გოგორიშვილი (თქვენი არ ვიცი, მე კი ვერასვით ვერ აღვიქვამ მას ქართველ თავადიშვილ გოგორიშვილთა შთამომავლად), რომელიც არჩევნების გა-ალბების დიდოსტატად ითვლება და დღესაც ისე ყინდა უჭირავს თავი, თითქოს „ნაციონალურ მოძრაობას“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მარცხი არ ეწვიოს!

სწორედ ესენი გვაცხადებენ კოლაბორაციონისტებად, რათა საქართველო „გადაარჩინონ“ ჩვენგან!

არა და, მართლაც ძლივს გამოვლიჯეთ ხელიდან ამ მანქურთებს დასაღუპად გან-წირული საქართველო და თუ კვლავაც მათ ჭკუაზე ვივლით, შეიძლება უფრო დიდ ხიფათში გავყოთ თავი.

მართლაც რომ სასაცილოა ყოველივე ეს, სატირალი და თავშისაცემი რომ არ იყოს!

როლანდ ჯალაღანი,
„აია“-ს და „შაზისი“-ს აკადემიების წევრი

ტუვალუს კეთილი ნება თუ ახალი "ნაღვლი"? – რა მიიღო ტუვალუმ აზხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარების უკან წაღების სანაცვლოდ



“ტუვალუს ხელისუფლება სრულად ცნობს საქართველოს საერთაშორისო საზღვრებს და პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოიცავს”, – განაცხადა ტუვალუს გარემოს დაცვის, საგარეო საქმეთა, შრომის და ვაჭრობის მინისტრმა ტაუკელინა ფინიკასომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრის შემდეგ.

ეს ნამდვილად კარგი ამბავი იქნებოდა, რომ არა ერთი ნიუანსი: ცნობილია, რომ ეს პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო ე.წ. “სუვერენიტეტი მოგაგრეთა” სიაში შედის. ამ სიიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელმწიფო ტუვალუს მეზობელი – ნაურუა, როდესაც ამ უკანასკნელმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მალევე ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა ნაურუს “მოკლევადიანი სოციალური და ეკონომიკური პროექტებისათვის” 50 მილიონი დოლარი გამოუყო. როგორც ამბობენ, ნაურუსა და

მისი მეზობლებისათვის “დამოუკიდებლობის აღიარებით ვაჭრობა” საკუთარი ბიუჯეტის შეგების აპრობირებული პრაქტიკაა. საქმე იმაშია, რომ ამ პატარა სახელმწიფოებს არსებობისათვის ძალიან მჭირი შესაძლებლობები აქვთ, მათაც შეუმოსავლის მიღების საკმაოდ იოლი გზა გამოჩნახეს. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ინფორმაციას ტუვალუს მიერ ჩვენი ტერიტორიების აღიარების უკან წაღებას მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი შეკითხვით მივმართეთ: როგორ იქნა მიღწეული ტუვალუსთან ეს შეთანხმება და ხომ არ გაუწია ჩვენმა ქვეყანამ ტუვალუს რაიმე სახის ფინანსური დახმარება (კრედიტის, გრანტის და ა.შ. სახით), ან ეს სამომავლოდ, თანამშრომლობის ფორმატში ხომ არ იგეგმება?

საგარეო საქმეთა სამინისტროდან პასუხი წერილობით მოგვწერეს:

“ევროკავშირთან პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ტუვალუმ მიიღო გადაწყვეტილება, პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ამ ეტაპზე ტუვალუსთვის საქართველოს ხელისუფლებას არანაირი დახმარება არ გაუცია. საქართველოს და ტუვალუს მთავრობებს შორის გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამომავლოდ სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობას, მათ შორის გამოცდილების

გაზიარებას. ტუვალუმ ეს ნაბიჯი გადადგა შეგნებულად საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე.”

თუმცა, ამ პატარა ქვეყანასთან საკუთარი გამოცდილების გახსენება ცოტა საეჭვოს ხდის ტუვალუს მხრიდან ამ ნაბიჯის უანგაროდ გადადგმას. ეს ე.წ. სუვერენიტეტი მოგაგრე პატარა ქვეყნები გაეროს და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები არიან, სადაც ისინი სხვა დიდი ქვეყნების მსგავსი ხმის უფლებით სარგებლობენ და რეზოლუციების განხილვისას ხანდახან გადაწყვეტილების თამაშშიც შეუძლიათ. 2010 წლის 7 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული მოსახლეობის დაბრუნების შესახებ რეზოლუციას განიხილავდა. იმ 50 სახელმწიფოს შორის, რომელმაც ამ რეზოლუციის მხარი დაუჭირა, ტუვალუც აღმოჩნდა. რეზოლუციის მიღება იმეამინდელმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებად შეაფასა. ამ ამბიდან ორიოდე კვირის შემდეგ კი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გაეროში ტუვალუს მუდმივ წარმომადგენლობას 12 ათასი დოლარი გამოუყო. ხელისუფლება მაშინ ამ ორ ფაქტს შორის კავშირს უარყოფდა.

ტუვალუ განთავსებულია 9 კუნძულზე, აქედან ხუთი მარჯნისა და იქ არაფერცხვრის. ქვეყნის საერთო ფართობი 26 კმ-ია და ამ მხრივ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა. 2011 ივლისის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 10.544 ადამიანს შეადგენდა.

6. დოლიძე

ტოლერანტობა თუ ფარული ბარიერები?!

ირაკლი ალასანიძე აცხადებს, რომ “ნაციონალური მოძრაობისთვის” რაღაცების პატივს მივნიჭებთ

“ვისურვებდი, რომ დიპლომატიის ძალით, ჩვენი ტერიტორიული სხეულის გამოლიანება დაწყებულიყო”, – ამ სიტყვებით დაიწყო ჟურნალისტებთან თავისი ინტერვიუ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიძემ, რომელიდანაც ნაწილობრივ ვითარებები ჩვენს მკითხველებს.

– ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ეს ყველაფერი როგორ შეიძლება აისახოს საქართველოზე?

– ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აღმოსავლეთ უკრაინაში აშკარად კარგად დადგმული სცენარით მიმდინარეობს, რათა არ შედგეს არჩევნები. რაც შეეხება ნატოსა და აშშ-ს, ფიქრობ, არაფერს აქვს ილუზია, რომ რუსეთსა და ნატო-ს შორის ბირთვული ომი განაღდება იმის გამო, რაც ამ რეგიონში ხდება. ნატო-ს ქვეყნების პოზიცია ეტაპობრივად მოხდეს დეესკალაცია და რუსეთზე იმოქმედოს ეკონომიკურ-ფინანსური სანქციებითა და სამხედრო შემაკავებლებით. დადგა დრო, როდესაც ნატო-მ პარტნიორ ქვეყნებსაც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. შავი ზღვის აუზში უნდა გახშირდეს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა; დაიგეგმოს ერთობლივი წვრთნები პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის – საქართველოსთან ერთად...

– ფიქრობთ, რომ უელსის სამიტზე საქართველო მამის მიიღებს? ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ამის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს.

– უახლოეს თვეებში გადაწყდება, თუ თანამშრომლობის რა ფორმატზე შეთანხმდებიან ნატო და საქართველო. ვაშაძის ნათქვამის კომენტარებს არ ვაპირებ, სწორედ წინა ხელისუფლების მცდარი პოლიტიკის შედეგია, რომ საქართველოს 20% ოკუპირებულია.

– თქვენ ახსენეთ საგარეო კურსის თაობაზე საზოგადოებაში განხეთქილების საფრთხე. თვითონ ხელისუფლებაში თუ გაქვთ ამ საკითხზე ერთიანი პოზიცია?

– მთავრობა ამ საკითხზე ერთიანია, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველო ნატო-სა და ევროკავშირის წევრი გახდეს. საპარლამენტო უმრავლესობაში ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი დეპუტატის დამოკიდებულება და შეფასებები შესაძლოა ცოტა სხვანაირია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ საკითხზე კოალიციაში განხეთქილებაა. ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ ზოგიერთი დეპუტატი ვერ აღიქვამს აღეკატორად ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხევებს და ნატო-სა და ევროკავშირში ჩვენი ინტეგრაციის მნიშვნელობას.

– ვინაიდან ბოლო ხანს ხშირად იხსენებენ სააკაშვილის ხელისუფლებაში თქვენს საქმიანობას და იმეამინდელ კავშირებს, იქნებ გვითხრათ, რა დამოკიდებულება გაქვთ “ნაციონალურ მოძრაობასთან” დღეს?

– “ნაციონალური მოძრაობის” წევრი არასდროს ვყოფილვარ. ვმსახურობდი საჯარო სამსახურში და ერთ-ერთი პირველი ვიყავი, რომელმაც დაინახა ის საფრთხე, რაც განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე სააკაშვილ-

ისგან გვემუქებოდა. ამიტომაც დავტოვე საჯარო სამსახური და ოპოზიციაში გადავედი. მეცინება, როდესაც “ნაციონალურ მოძრაობასთან” ჩემს კავშირებზე ლაპარაკობენ. მე “ნაციონალურ მოძრაობას” აღვიქვამ როგორც უმცირესობაში მყოფ პოლიტიკურ ძალას, რომელიდანაც არ უნდა გვექონდეს დაძაბული ურთიერთობა.

– საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პარტიას არსებობის უფლებაც კი არ აქვს.

– კარგად მესმის მათი, ვისაც ძალიან ცუდად მოეკცა სააკაშვილის ხელისუფლება; ვისაც დევნიდნენ და უღანაშუალოდ გამოაშვებდნენ ციხეში. ვიცი, რომ მათთვის ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და მინდა ვუთხრა: ჩვენი შეიღების მომავლისთვის აუცილებელია, არ დაუშვათ ძალადობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ქვეყნის მომავლისთვის მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ ის საფრთხეები, რაც ქვეყანას ემუქრება და არ დავანახოთ სამყაროს, რომ შიგნიდან ვართ გახლეჩილი. აქედან გამომდინარე, მოთმინება და “ნაციონალური მოძრაობისთვის” რაღაცების პატივს მივნიჭებ. ეს შემიძლია მე უთქვამ, რადგან შევეძლო და ვაპატიე აფხაზეთს, რომლებმაც მამა დამიხურეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასწარჩვენოდ მორატორიუმი გამოვაცხადეთ. ეს იდეა მთავრობის სხდომაზე გაგვიზიარა ირაკლი ღარიბაშვილმა, რასაც ყველა დავთანხმდით. მორატორიუმი სრულად უნდა შევრულდეს და საათწევრი კამპანიის წარმართვის საშუალება ყველას უნდა მიეცეს.

გაზეთ “ილორი“-ს კომენტარი: როგორც ხედავთ, კოალიცია “ქართულ ოცნებაში” უკვე გაიხსნა ხმები იმის თაობაზე, რომ “ნაციონალურ მოძრაობას” უნდა ევალოს ის უამრავი დანაშაული, რაც ამ ბანდიტურმა წარმონაქმნმა ჩაიდინა საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. ჯერ ერთი, თუ “ოცნების ტემისაგან” ესოდენ დეკლარირებული დემოკრატიული სამყაროს მოთხოვნებს გაეთვალისწინებთ, არაფერს აქვს უფლება, სასამართლოს გარდა, განსაზღვროს დანაშაულის ბედი და ესა თუ ის სანქცია დაუწესოს კონკრეტულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. მაგრამ, ვერ გაგვივია, ვინ მისცა ირაკლი ალასანიძის დანაშაულის პატივისცემა თუ არაპატივისცემა?

სხვათა შორის, კახელები ამგვარ საქციელს “დაუკრეფავში” გადასვლას უწოდებენ!

ჯერ ერთი, პატივსა და უნდა უძღვებოდეს სიმართლის დადგენას (უღანაშუალოს ხომ ვერ აპატიებ... ეს შეურაცხყოფაა) ან გასამართლება და – სასურველია – მონაშენი... და კიდევ ერთი: ვიდრე დანაშაულის ჩამდენებს ასე იოლად გავისტუმრებდით, ჯერ შიგნი მოწვევით: გარე მტრებთან შერიგებამდე შიგნი შერიგდით და ისწავლეთ პატივს (ეს ალასანიძის არ ეხება პირადად) და ერთბიერეს ატანა. რას გავს ეს ჭიდილი პრეზიდენტის და ბიძინას თუ პრეზიდენტის და მთავრობის შორის... თუ ძლიერად გვირდა ქვეყანა გამოეფერებოდეს – და ნამდვილად საჭიროა დღეს – ალბათ ამით უნდა დაიწყოთ გაჯანსაღება... ერთი გუნდი თუ ხართ გვარყენით, რომ ერთმანეთს არ ექიშებით და შეგიძლიათ ერთად საქმის კეთება... “ნაციონალებს” პატივსა კი მერე მივხედოთ, როცა გასამართლები.

კიდევ ერთი რამ: პატივსა საერთოდ შეუძლია ადამიანს, ვისაც პირადად მიაყენეს ტკივილი (ამ კუთხით გასაგებია,

რომ ალასანიძის შექმნილი ეპატივები აფხაზეთისთვის, რამეთუ ეს მას პირადად ეხებოდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მამია ალასანიძე მოკლეს არა აფხაზეთში, არამედ ქართველების სისხლისმსმელებმა გამხეცებულმა ჩვენმა “ზოიეკებმა”, აფხაზეთი კი სასიკედილოდ არასოდეს გაიმეტებდნენ არც მათ ეგეობარ მამია ალასანიძის და არც სულმნათ ვიული შარტაგას). მაგრამ პატივს სხვების მაგივრად ცოტა უფრო გაუგებარია: ირინა ენუქიძეს მაგივრად ვის გვაქვს უფლება, რომ ვაპატიოთ ჩადენილი სისხლიც, ნაწამები პატივების მაგივრად არსებულ უფლებას, რომ აპატიოთ ცოცხლების გამოყენება, პოლიტიკატიმების მაგივრად კიდევ ვის აქვს ეს უფლება მინიჭებული... საერთოდ ეს პატივსა და მივიწყება ან ინდივიდუალური მორალურ სფეროს ეკუთვნის ან კიდევ რეალიზირ სფეროს და პატრიარქს შეუძლია შეწყვეტოს, მაგრამ პოლიტიკურ სოციალურად სასამართლოს გარეშე არ არსებობს სახელმწიფოში არც დანაშაულის გაუქმება და არც მისი მივიწყება... სოლომონ მეფე არა გვეყავს, რომ სასამართლო შეცვალოს! რომელ კანონის უზენაესობაზე ვსაუბრობთ საერთოდ და რა ქვეყანას ვაშენებთ ხომ არ ავიხსნით, თუ კი ვილატევებს – მხოლოდ იმტომ რომ მთავრობაში “მოხდნენ” – უფლება ეძლევათ თავი დააყენონ კანონის ზემოთ და გადაწყვიტონ ვის აპატიონ და რაღვის და რა ევატოს მათ?

თანაც, უნდა აპატიოთ მათ, ვინც მოინანიებს საკუთარ დანაშაულს. ნაცებს კი რა ეტყობათ მონანიების? კვლავაც თავხედობენ, ბილწნიტყვაობენ, ათას უბედურებებს აქეთ გვეწამებენ. პატივსა კი არა, ციხეც მცირე სასჯელია ამგვარი არამზადებისათვის!

და კიდევ – მილად სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს ირაკლი ალასანიძის მტციცება იმის თაობაზე, რომ მას არავითარი კავშირი არ გააჩნდა “ნაციონალურ მოძრაობასთან”. უფრო მეტიც – ირაკლი ალასანიძის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა იწყება მისი აქტიური მონაწილეობით ბანდიტურ ორგანიზაციის “კელინარებში”, რომლის კისერზეც უამრავი მკვლელობა და უბედურებაა. რაც შეეხება ნაცებთან მის კავშირს, სწორედ ნაცების ზეობის პერიოდში მოხდა ირაკლის აღსრულება საქართველოს წარმომადგენლად გაეროში, ხოლო რატომ გაიბრინა “შავმა კატამ” მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ავადსახსენებელი ომის შემდეგ, ეს დღემდე საიდუმლოდ რჩება.

ფაქტია, ქართულ საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერა არ გამოუწვევია ირაკლი ღარიბაშვილის მოწოდებას წინასწარჩვენო მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე, რომელიც თუნდაც დროებით ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ნაციონალებს. ახლა კი ირაკლი ალასანიძე მოითხოვს მათ სრულად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან, რაც, ფაქტურად, ახალი დანაშაულის ტოლფასია.

ამიტომ, ბუნებრივია, ისმება შეკითხვა: რა არის ირაკლი ალასანიძის ეს მოწოდება – ტოლერანტობა თუ ფარული გაროგება იმ ნაციონალებთან, რომელთაც ლამის დაღუპვის პირად მიიყვანეს საქართველო. იქნებ სწორედ ამგვარ “ტოლერანტებზე” დაყრდნობით იმუქრება სააკაშვილი, რომ “მაღლი ჩამოვა საძარტმელოში და ბანაბანის უფლებს მას მონობისაგან”?

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის განცხადება

მეგობრებო! არც არის ძალა, რომელიც საქართველოს დააჩქარებს, არ არის ასეთი დედამიწის ზურგზე, ვინაიდან ქართველი ერის ძალისხმევა არის უდიდესი, ვერაფერს დაგვაკლებენ მეგობრებო, ვერაფერს! თავიანთ თავს დააკლებენ და უკვე დააკლეს, ხომ ხედავთ!

ჩვენ არ დაგუშვებთ ჩვენი ძმებისა და დების კლეტას! ჩვენ არ დაგუშვებთ ჩვენი დებისა და ძმების სისხლის ღვრას! ჩვენ საკადრის პასუხს გავცემთ იმას, ვისაც ჰგონია, რომ საქართველო უპატრონოა. არ არის საქართველო უპატრონო, არ არის! ამოდ გვონიათ ვაგაფორნებო, რომ საქართველო უპატრონოა, საქართველოს ჰყავს პატრონი და მალე დაინახავენ ისინი ამ პატრონის ძალას! და ბოლოს! დაგამთავრებ სახარების სიბრძნით: ქვეყანაზე სიკეთის მქადაგებელი ღმერთი, რომელიც მოველინა დედამიწის და დადიოდა დედამიწაზე, იესო ქრისტე ბრძანებს: "ვინც მახვილი აიღოს, მახვილითვე შეიმუხროს!"

ქ. ზუგდიდი, 1993 წ. 24 სექტემბერი

2014 წლის აპრილში, ქ. ზუგდიდში, ე.წ. ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი, ე.წ. არჩევნების პრეზენტაციაზე, აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთერთმა ლიდერმა როლანდ ახალაიამ, უტიფარი და უკიდურესად აღმაშფოთებელი განცხადება გააკეთა, ე.წ. მათი მოძრაობის ლიდერის, მ. სააკაშვილის, ახალ ე.წ. ეროვნულ მოძრაობაში წართვის შესახებ. უფრო მეტიც, ამ სამარცხვინო განცხადების ავტორმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიდერების – ეროვნული გმირების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პოლიტიკური გზის გამგრძელებლად წარმოაჩინა ე.წ. პოლიტიკური, ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის მეტად დამღუპველი ანტიეროვნული ძალა, ე.წ. ნაციონალური მოძრაობა.

საქართველოში მართლაც რომ აპოკალიფსური ჟამია და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ღრმად მორალურ-ხეობრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ეროვნული კრიზისია. ჩვენი ცნობილია ეშმაკისეული – ფარისევლური, მლიქვნელური, თვალთმაქცური ურთიერთობები, რომელთაც ფეხები აქვთ გაიდგმული მხაკვარ ადამიანთა შორის, მაგრამ ისეთი ღონის მხაკვრული განცხადება, როგორც ამ პატივცემულმა გვამმა ზუგდიდში გააკეთა და გაბუდა ეს სიტყვები საჯაროდ განცხადებით, (რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი პირადი აზრი არ გახლავთ) ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახალაიას განცხადებას წინ უძღოდა ნაციონალური მოძრაობის მიერ, 2013 წელს გაკეთებული განცხადება, რითაც ისინი თავიანთ ახალ, ე.წ. ეროვნულ მოძრაობის შექმნას უყრიდნენ საფუძველს.

ეროვნული კომიტეტი, ღვთისა და ერის წინაშე, თავს მოვალედ რაცხს განაცხადოს შემდეგ:

1991-92-93წწ. ანტისახელმწიფოებრივი სამხედრო გადატრიალების დღიდან დღემდე, ქვეყანას მართავდა და მართავდა არნახული ანტიეროვნული, ტერორისტული რეჟიმები, დაწყებული ედ. შევარდნაძის ტერორისტულ-კანონდასრულებული, გაგრძელებული სააკაშვილის მამათამაველური რეჟიმებით და დამთავრებული დღევანდელი, მავიოზურ-ოლიგარქიული კლანის ხელისუფლებაში მოსვლით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეჟიმები არა ქართულ, არამედ ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ, უცხო ძალების მიერ დაკომპლექტებულ, ე.წ. პოლიტიკურ ბანდებს წარმოადგენენ.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ მათ მიერ გაკეთებული ეს განცხადება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნათელ მიზნებსა და იდეებს. ჩვენს სამშობლოში, ე.წ. ნაციონალური მოძრაობის როგორც ანტიქართული მოვლენის დამკვიდრებამ, ქვეყანას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, უდიდესი ზიანი მიაყენა. მათი მთავარი დანაშაულია ის, რომ მათი ხელისუფლებაში ე.წ. რევოლუციით „მოსვლის“ შემდეგ, არათუ გასამართლდა დამოუკიდებელი საქართველოს დაუძინებელი მტრის, ქვეყნის დანგრევის მთავარი არქიტექტორის – ედ. შევარდნაძის რეჟიმი, არამედ მის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული რეჟიმები, რომლებიც ერთსახოვანი ბუნებისა არიან, კვლავ მეგობრულად განაგრძობენ თანაარსებობას. აქედან გამომდინარე, ყველასათვის ნათელია, რომ ზემოთხსენებულმა ბოროტმა ძალებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ გაენადგურებინათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მის სანაცვლოდ შეექმნათ ე.წ. პოლიტიკური ძალების ახალი ველი, რომელიც თავის-

საძირკველშივე ეროვნული იდეების მოწინააღმდეგეა და ყველანაირად ანგრევს მას.

ასევე დაუსჯელი დარჩა სააკაშვილის რეჟიმიც. მიუხედავად ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნისა, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს სამართლებრივი შეფასება მისცემოდა და მას საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო, სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია ჰქონოდა, დღევანდელმა მავიოზურ-ოლიგარქიულმა კლანმა, კოპობიტაციის სქემით, სააკაშვილის დანაშაულზე რეჟიმის უაქტიურესი წარმომადგენლები, ოპოზიციურ ძალად მონათლა.

ჩვენს მიერ ნახსენები პიროვნების, ზუგდიდში წარმოქმნილი „ბრძნული აზრები“ კიდევ ერთხელ ნათლად ცხადყოფს იმას, რომ მ. სააკაშვილის რეჟიმთან არიან ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი ბოროტმოქმედებანი ახლა უკვე ეროვნული მოძრაობის საბურველში გაახვიეს და ყოველგვარი სირცხვილის გარეშე, უტიფრად ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მიმდევრებად წოდებულნი, ხმაშეწყობილად სისინებენ. ჩანს ქართველი ერი, მათ თავისავე მსგავს ნახირად წარმოუდგენიათ, რომლის წარმართავა, მათი საკუთარი მოკლე ჭკუით, ისევე შეუძლიათ, როგორც თვითონ ისინი იმართებიან თავიანთი უცხოელი ბოსებისაგან. (თვალსაჩინოებისათვის საკმარისია გავისხევოთ საქართველოში 1992 წლის, 6 იანვარს, ხუნტის მოსვლის დღიდან დღემდე ყველა რეჟიმი იგნორირებას უკეთებს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, რითაც ნათლად ჩანს მათი ხუნტის სამართალმემკვიდრეობა).

ეროვნული კომიტეტი, ეტაპობრივად ამხელს ყველა იმ ადამიანს (დეპუტატი იქნება ეს თუ გამსახურდიას ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა) და ჯგუფებს, რომლებიც ამ მხაკვრულ გეგმებში იღებდნენ და იღებენ მონაწილეობას.

ქვეყნის დღევანდელი უმძიმესი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის ფონზე, ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ჭეშმარიტი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამცველებს, რათა მათ მიერ მხილებულ იქნენ ყველა ცრუ და თვითმარქვეა ე.წ. ეროვნული პიროვნება თუ ძალები, რაც დასაბამი იქნება ჭეშმარიტი ეროვნული ძალების გაერთიანებისა ქვეყნის კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად, რათა საბოლოოდ უკუგდებულ იქნას ჩვენს სამშობლოს დაპატრონებული ანტიეროვნული, ბოროტი ძალები. აქ, არ შეიძლება არ გავგავსხედნენ ზვიად გამსახურდიას მიერ 1990 წლის 26 მაისს წარმოქმნილი წინასწარმეტყველური სიტყვები:

„ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქმავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იბადას და გავგეთლავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.“

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას! კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა! გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!”

ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო:

- ბიორბი პირველი მდივანი, ეროვნული კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, ბუსი (ბუსარიონი) მიძმამა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე, მამა ილარიონი, (ჰანელიძე),
- დავით ბერძენიშვილი, ადვოკატი, იურისტი, ნანა პახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი, ზურაბ შობალია, ჟურნალისტი, ვალტარ ოჩიბაძე, პოლიტიკტიმარი, ვახტანგ ახობაძე, მწერალი, ბიორბი ყიფიანი, ბოლოცი

“თბილისელობის ფილოსოფია”

დღეს ბევრს საუბრობენ “თბილისელობის ფილოსოფიაზე”, ეხება საქმე მერის არჩევნებს თუ საადგილო უქმეებში თბილისის სინახლავთეს. ალბათ გახსოვთ, თუ როგორი ყავანი ატყვებს “კარენო თბილისელებმა”, როცა “ქართულმა ოცნებამ” თბილისის მერობის არჩევით თანამდებობაზე არათბილისელი დავით ნარმანიას კანდიდატურა წარმოადგინა. ყველაზე მეტად მსახიობი კორკოტაშვილი ხმაურობდა, რომელსაც, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ღირებულნი არაფერი გაუკეთებია თბილისისათვის, ამბოცია კი საკმაოდ დიდი აქვს!

გერაინ ახსნა, თუ რატომ უნდა იყოს თბილისის მერი მანინცადამინც თბილისელი. რა, თუ ლავრენტი ბერია აფხაზეთის რაფელ მერხეულში დაიბადა, მან ცოტა რამ გააკეთა იმ თბილისისათვის, რომლის მოსახლეობის მეტი წილი სომეხი იყო? განა სწორედ მან არ გააქართველა თბილისი?

ან იქნებ იმ ყარაჩოხელების ცხოვრების წესი უნდა იყოს დამახასიათებელი თბილისელებისათვის, რომლებიც ტიფზე ამხედრებულნი, არღნის თანხლებით მღვროდნენ – “პატარა ბიჭი დამეკარგა (და არა “პატარა გოგო”, როგორც ახლა ცდილობს ზოგი მომღერალი მათთვის ნამუსის მოწმენდას), ცისფერ პერანგა...”

ხშირად “თბილისელები” ირონიით გამოიხატებიან, სხვები თავდაცვაზე ორიენტირებულნი აგრესიას აგრესიითვე პასუხობენ, ხან თავშეკავებულად და ხან თავშეუკავებლად.

რა იყო თბილისი ან რას ნიშნავს “თბილისელობის ფილოსოფია” ?

არჩილ ბამზარაძის წინამდებარე წერილი გარკვეულ პასუხს იძლევა ამ საკრალურ შეკითხვაზე:

თბილისი თავის ფეხებში ერთ პატარა დასახლებას მოიცავდა, დღეს შემავალი ნაწილი თბილისისა ან ცალკე სოფლები იყო, რომელიც თბილისის საერთო სივრცეში მოექცა, ან კომუნისტების მიერ მოგვიანებით გაშენებული დასახლებები, მაგალითად, ვაკე, ვერა, საბურთალო. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ავტობუსის ბოლო გაჩერება გმირთა მოედანის ტერიტორია იყო, ვერა და განსაკუთრებით ვაკე, საკმაოდ მიუღვომელი ადგილები იყო ტრანსპორტის კუთხით. მაშინდელთან ვაკეში გასვლა სულ გლობალურ პროცესად გვეჩვენებოდა, მარჯანიშვილიდან ადიოდა ავტობუსი, სადაც ასვლის შანსი იყო, რუსთაველზე კი გატენილი დადიოდა ტრანსპორტი და ისიც იშვიათად.

პერიფერიები, გლდანი, თემქა, მუხიანი, ვახისუბანი, ვარკეთილი და ა.შ. საკმაოდ გვიან გაშენდა, ისინი საბურთალოს “ხრეშოვკებისგან” განსხვავებით, დიდ ოთახებსა და ნორმალური სიმაღლის ჭერს მოიცავდა, დაცული იყო ეკოსისტემა და ყოველ სახლს დასასვენებელი ეზო და გამწვანება გააჩნდა. გლდანი საინტერესო ისტორიის მქონე ტერიტორიაა, რასაც თუ ბშპლში ჩახვდავთ, მარტოვად გარკვევთ, თემქასა და სხვა მსგავს ადგილებზე მშენიერი გვირილებით სასვე გორები და მინდვრები იყო და ა.შ.

ეთნოგრაფიული ტერმინი “თბილისელი” პრაქტიკულად არ არსებობს, თბილისელი – ეს არის რომელიმე ეთნოგრაფიული კუთხის წარმომადგენელი, რომელიც ცხ-

ვრობს თბილისში. რამდენად ჩემი დიდი ბაბუა, ბაბუაჩემი, მამაჩემი და მეც თბილისში ვცხოვრობთ, ამასთან ერთად, მე ვარ წარმომადგენელი იმ ეთნოგრაფიული ნაწილებისა, რომელიც ჩემშია წარმომადგენელი.

ჩემთვის, ისევე, როგორც სავარაუდოდ, ნებისმიერი საკუთარ კუთხეს მოცილებული ადამიანისათვის, ტრავიკული უფრო ის არის, რომ არსებობდა ჩემს ეთნოგრაფიულ სივრცეს ვარ მომწყდარი და რომ ის ისევე ორგანული არაა ჩემთვის, როგორც ჩემი წინაპრებისათვის, ამიტომ, ის, ვინც თბილისში ცხოვრობს, “თბილისელობის” განცდა სასიამოვნოა და ტკივილიანიც, რადგან ფეხებდაზიანებული ხესავითაა. ამიტომ, როგორც წესი, ამ შემთხვევაში ირონიულები არც და ვერც იქნებიან მათ მიმართ, რომლებმაც აჯობეს და საკუთარი კუთხურობაც შემოინახეს.

ჩემი წინაპრების საფლავები თბილისშია, მაგრამ სიხარულით წავიდოდი მათ საფლავებზე, მაგალითად, სამეგრელოში რომ ყოფილიყო. მთელი ბავშვობა განვიციდი, რომ, თუნდაც მამაჩემის მშობლები სოფელში არ მხედებოდნენ და სოფელში არ ვბრუნდებოდი მათთან, ჩემი დასასვენებელი ვოიაკები აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა, სადაც მეორე ბაბუა მაშინდელმა ხელისუფლებამ გაუშვა სამუშაოდ რეკონსტრუქციის უმადღეს თანამდებობებზე და შერჩა კიდევ ცხოვრების ბოლომდე. ოთხი წლის წინ შედიოდა და შევიძინე მიწა, სადაც პატარა სახლიც ჩავდგი და რამდენიმე წელი მისი ვალის გადახდაში ვიქნები, ეს გამორჩეული სიხარულია, რომ მე მხოლოდ ამის შემდეგ შევიგრძენი

სრულფასოვნად თავი, როდესაც ცნება ჩემი სოფელი თუ აგარაკი განხდა ჩემი ოჯახის ყოველდღიურობაში და ყველა შესაძლებლობას სიამოვნებით ვიყენებ, თუ კი ჩემს სახლს ვუბრუნდები და ჩემს მიწაზე ვმუშაობ.

ეს რეალობა პასუხია იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც საადგილო თბილისის დაცვასა თუ ავტობანზე შექმნილ საცობებს ეხება. მიხარია მათ ნაცვლად, ვისაც წასახველი აქვს, ჩავა სოფელში, მთელ სანათესაოს და სამეზობლოს მოვიღის, საფლავზე გასულს ყველა გარშემოყრფი ახლობელი ეყოლება და საადგილო სიხარულს ტკივილიან საფლავზე ერთიანად მოივლიან. თბილისელობა ხომ მაშინ არის მხოლოდ სრულფასოვანი, როდესაც შენი ფეხები შენთანაა.

არჩილ ბამზარაძე



ბაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას!

(სტილი დაცულია)

ბატონო რედაქტორო, გულითადად გილოცავთ თქვენც და ბაზეთ "ილორის" შემოქმედებით კოლექტივს იმ ფაქტს, რომ დღეისათვის თქვენი ბაზეთი ერთ-ერთი საუკეთესო და საინტერესო საქართველოში.

როგორც თქვენი გაზეთის მკითხველს, ბევრჯერ, პასუხაუცემელი კითხვები მიგროვდება და იმედი მაქვს თქვენი გაზეთის მეშვეობით ჭეშმარიტებას გაივებ.

რასაკვირველია, საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს, რადგანაც ეს ისტორიული ფაქტია, საქართველოს "ოდაბადე" კოლხეთია. რა არის მიუღებელი იმაში, რომ საქართველოს ისტორია თუ ფარნავაზით იწყება, კოლხეთის ისტორია კი - აიგეთ.

ცნობილია, რომ თვით ბერძენები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ კოლხეთიდან მათ წაიღეს ოქროს საწმისი, რომელიც მათ აინტერესებდათ არა როგორც უბრალო ტყავი, არამედ ამ ტყავზე დაწერილი ოქროს მიღების ტექნოლოგია. განა საკამათია ის მოცემულობაც, რომ არსებობდა მეგრული დამწერლობა, განა "ფესტოსის დისკო" იგუვს არ ადასტურებს?

რატომღაც დაუჯერებელი ის ფაქტი, რომ გია კვაშილაგამ გაშიფრა 4 ათასი წლის წინ დაწერილი ისტორიული ძეგლი. ვის უნდა აძლევდეს ხელს ამ კვლევის საეჭვოდ გამოცხადება? ყოველივე კოლხური ხომ მთელი კაცობრიობისათვის საამაყოა და მართმ უნდა იყოს იგი მიქმალული?

რა თქმა უნდა, საქართველომ უნდა დაიცვას, პირველ რიგში, მეგრული, სვანთა და ლაზთა ენები გადაშენებისაგან, მაგრამ ნუ ვიქნებით ისეთი ემოციურები, რომ ბავშვი გავაყოლოთ ნაზან წყალს. რა, მართლმ დაიცვება სამყარო, თუ სამეგრელოში დაწერენ მეგრულად და იმეტივებლებენ მეგრულ ენაზე?

განა ვინმეს შეუძლია უარყოფის და, შესაბამისად, არ ამყოფდეს განუყოფელი და საყვარელი მგლოდით - "ია, ნანა, მარდუ ნანა, ია ნანანაო".

ვერ დავეთასხმები, ჭეშმარიტად, "კოლხური ღირსების მქონე" ზოგიერთ პატივსაცემ მეგრულ პიროვნებებს, რომლებიც მოუწოდებენ გადარჩინონ სამეგრელო, და აქვე ისმის შეკითხვა: კონკრეტულად ვის გან?

მე, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე და ქართველი კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმ ფაქტისა, რომ საქართველოში არსებობს მეგრული სეპარატიზმი.

სრულიად ვეთანხმები ბატონ თენგიზ კუბლაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოში აღვირახსნილად მომქმედის სოროსის ე.წ. "თავისუფლების ინსტიტუტი" მართლაც რომ ინკუბატორია ისეთი ვაი-ქართველებისა, სადაც ფრთიანდებიან უსამშობლო და არაქართული სისხლის მქონე ვაი-პატრიოტები, რომელთაც მართლაც რომ "პლასტმასის ტვინი" აქვთ!

ახლა საქართველოში აუცილებელია ერის კონსოლიდაცია და ერთნაირი ერთობა, უნდა ამოიძირკოს ყოველგვარი ქიშპობა და დაპირისპირება, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ არსებობენ საქმარისი ძალები, მათ შორის უცხოელი მეცნიერები, რომლებიც ენერგიულად ცდილობენ გათიშონ საქართველო და დაშლონ იგი ნაწილებად, ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველები, მეგრელები, აფხაზები, ოსები და ა.შ.

არ შემიძლია არ გამოთქვა ჩემი სუბიექტური აზრი რამდენიმე მეგრული მეცნიერის მიმართ, რომლებიც ან ისტორიას აყაღებენ, ან ძლიერ აზვიადებენ ყოველივე მეგრულ საკითხს.

ზნ კლიმენტი შელიას მტკიცებით კოლხეთი მსოფლიოს პირველი ქვეყანა იყო და თურმე კოლხური ენა მსოფლიოში პირველი ენა ყოფილა. განა მე არ მინდა ეს ასე რომ იყოს, მაგრამ ხომ აბსურდია იმის მტკიცება, რომ "იაპონელი აინები" უძველესი კოლხური ტომები ყოფილან?

განა მსოფლიოში დაიჯერებს ვინმე, რომ თურმე ეგვიპტის ყველა ფარაონი - კლეოპატრამდე კოლხები იყვნენ.

მე არ ვიცი, მთელ ევროპაში თუ მოიძებნება თუნდა ერთი ჭკუათმყოფელი, რომელიც დაიჯერებს, რომ სახელი "ევროპა" თურმე მეგრული "ორფადან" (ნიშნავს

"სიყვარულს" - გაზ. "ილორი") მოდის?

მეგრელები ქართველებად თურმე ი. სტალინმა გახადა 1926 წელს. არსებობს ვინმე, რომელიც ამ სიცრუეს დაიჯერებს, ან კი - დასაჯერებელია?

როგორ დავიჯერო ბატონ მამანტი ძამაძისი, როცა იგი ამბობს - ქართველები მეგრელთა მოკლელები არიანო, როცა ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა აფხაზეთში, სამანაბლოში და, რაც ჩაიდინეს რუსებმა, ნატამალიც კი არ გამანია მათ მიმართ სიძულვილისა (!). ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები ბატონ ნაპო მესხიას იმის შესახებ, რომ 1947 წლიდან დაიწყო ქართველთა მასიური ჩასახლება აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად, ხოლო სომეხთა ჩასახლებაზე სიტყვაც არ არსებობს. ასეთი ამბების დროს მახსენდება: "მას დედის ძუძუში, შხამდაც შერგებია" (აღბათ სომეხები იგულისხმებოან - "ილორი").

შეიძლება არ იყოს ყველასათვის მისაღები ის, რომ მეგრელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა შორის გარკვეული ნაწილი დიახაც რომ პრობლემატურები არიან და ძალიან ხშირად, სამართლიანადაც თავიანთი ისტორიის, განათლების და ჭკუამახვილობის ხარჯზე, ნუ დავივიწყებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს ისტორიაში არანაკლები წილი (იქნებ - წველი?) - "ილორი" მიუძღვის სვანებსაც და ლაზებსაც.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერისას, აფხაზეთში მცხოვრებმა "ეროვნების" გრაფაში ჩაწერეს "მეგრელი". თუ საქართველოსთვის კარგი გვერდაა, იმას კი არ უნდა ვითხოვდეთ, რომ მიწისტრთა საბჭო დაკომპლექტდეს თავისი კუთხურობის მიხედვით, არამედ ჭკუის მიხედვით.

როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ვინმეს მეგრელთა მოკლეობაზე, მაშინ, როცა მეგრული ზვიად გამსახურდიას მიმართ დღემდე ფანატიური სიყვარული აქვთ ყველა კუთხეში. ნუთუ ასე ძველი დასანახია ის, რომ ქართულ პოლიტიკაში აშკარად ჭარბობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამეგრელოს წარმომადგენლები, თუნდაც ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის მერები იყვნენ ზოდელავა, უგულავა და შემდეგი ალბათ იქნება ნარმანია. ნუ დავგავიწყდება ჩვენ ის ამბები, რომ დღესაც საქართველოში გადაუწყვეტელია თუ რომელ ვარსკვლავს უნდა ვსდით ჩვენ საქართველოს გადასარჩენად.

P.S. მხედრონელებმა მარტო სამეგრელო დააყარადეს? დროა ყველა გავახილოთ თვალი და გამოვფხიხდეთ.

ტიტუ კოკალაიშვილი, თბილისი, იპ. ხეივანს ქ. №32, ბ. 13, ტელ 2-38-68-25

ბაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორის როლანდ ჯალაღანიას კომენტარი - ბატონო ტიტე, უპირველესად დიდ მადლობას მოგახსენებ ჩვენი გაზეთის რეიტინგის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, მაგრამ, თქვენი წერილის შინაარსისა და ტონიდან გამომდინარე, არ შემიძლია იგი უპასუხო დავტოვო.

სამწუხაროდ, თქვენს მიერ გაკრიტიკებული ბატონი კლიმენტი შელია რამდენიმე კვირაა რაც გარდაიცვალა და იგი საკუთარ პოზიციას ვეღარ დაიცავს, მაგრამ ვიდრე რომელიმე ენათმეცნიერი თქვენთან შეკამათების სურვილს გამოთქვამს, თავს უფლებას მივცემ, რომ მე ვაგცუთ პასუხი თქვენს მიერ წამოწეულ ზოგიერთ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მართალია, თქვენ ცდილობთ გულშემატკივრის პოზიციიდან შეხედოთ ე.წ. "მეგრულ პრობლემას" და თამამად აყენებთ საკუთარ შეხედულებებს მეგრულ ფენომენთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც დიდი იღია ბრძანებდა: "ქები დღადღებენ" სულ სხვა რამეებს, კოლხურ სიძველეთა თაობაზე.

ავიღოთ თუნდაც მეცნიერ გია კვაშილაგას მიერ კოლხურ ენაზე გაშიფრული "ფესტოსის დისკო", რომლის ასაკი 4 ათას წელს მიითვლის. როგორ გვინათ, იმ შორეულ ეპოქაში ეს დისკო

სამეგრელოში დაამზადეს, შემდეგ ათასეული კოლომეტრის მოშორებით კუნძულ კრეტაზე ჩაიტანეს და იქ ჩაფლეს მიწაში, რათა თავსატეხი გაეჩინათ თანამედროვე მეცნიერებისათვის?

არა გვინათ, და თუ ეს ასე არაა, განა არ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი კოლხურ ენაზე მეტყველებდა?

როგორ გვინათ, კოლხურს რომ ვეროპულ ღირებულებებთან რაიმე საერთო არ ჰქონოდა, ნაპოლეონ ბონაპარტე რატომ დანიშნავდა თავისი დაცვის უფროსად გამამლუქებულ ქართველ რუსებთან რაზმაძეს, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს ეგვიპტის თმის დროს. ყოფილა კი სადმე შემთხვევა, რომ ძღვევამოსილ იმპერატორს, რომელსაც ზღვად დაღვრილი სისხლის გამო უამრავი გარე და შინა მტერი ჰყოფდა, თავისი სიცოცხლე ჩაებარებინოს ტყვედ აყვანილი ჯარისკაცისათვის, თანაც მამულუქისათვის, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს გასწირავდა მისი ქვეყნის დამაქცევარი თითოეული ფრანგი ჯარისკაცის განსაზღვრებლად?! იქნებ ნაპოლეონმაც და რუსებმაც კარგად იცოდნენ, თუ საიდან მოდიოდა მათი ფესვები და, იმიტომაც ენდობოდნენ ერთმანეთს, რომ "არც ერთი იყო ფრანგი, და არც მეორე - ეგვიპტელი...?"

ან იმაზე თუ გიფიქრიათ, რატომ აირჩია საბოლოო სამოსახლოდ სამეგრელო ფრანგმა დიდგვაროვანმა აშილ მიურატმა, რომელსაც შეეძლო საცხოვრისად ამოერჩია ვეროპის ნებისმიერ სახელმწიფოს წალკოტი?

როგორ გვინათ, ამდენი ფაქტობრივი მასალის თავმოყრის შემდეგ მეკლევარს არა აქვს უფლება გამოთქვას ვარაუდი კოლხურის კულტურის რაობის თაობაზე? მე არა ვარ ენათმეცნიერი და თავს ვერ მივცემ ამ საკითხებში ღრმად შესვლის უფლებას, მაგრამ იქნებ სწორედ ზღვა მასალის მოპოვებამ მისცა უფლება სულმნათ კლიმენტი შელიას, რომ გამოეთქვა ვარაუდი იაპონელი აინების კოლხურის ფესვების თაობაზე?

ან, რა ვუყოთ ენათმეცნიერ ბატონ მამანტი ძამაძის დოკუმენტურ მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ მეგრულ ენაში მილიარდზე მეტი სიტყვა არსებობს და იგი ლექსიკონის სახით რომ გამოიცეს, 25 ათას ტომის შექმნა იქნება საჭირო? ნუთუ ეს არგუმენტი იმიტომ უნდა გავხადოთ მიუღებლად, რომ "ყველაზე მდიდარი" ინგლისური ენა მხოლოდ 300 ათას სიტყვას მოიცავს?

ამდენი დამაჯერებელი არგუმენტი სომხებს რომ ჰქონოდათ, ისინი ხომ მთელ მსოფლიოს აიკვებდნენ თავიანთი უნიკალურობის მტკიცებით?

თქვენ თავად ვარდებით სეპარატიზმის ხიბლში, როცა იყენებთ ფრაზას "...ერთმანეთს დაუპირისპირონ ქართველები, მეგრელები..."

როგორ ფიქრობთ, მეგრული ქართველი არ არის?

იქნებ თქვენც უერთდებით "თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიციას იმის თაობაზე, რომ "მეგრელები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა შორის, გარკვეული ნაწილი დიახაც რომ პრობლემატურები არიან და ძალიან ხშირად, სამართლიანადაც თავიანთი ისტორიის, განათლების და ჭკუამახვილობის ხარჯზე...". სიმართლე გითხრათ, ვერც ის გავიგე, ამ შემთხვევაში, აქვთ თუ აბაგებთ მეგრელებს!

ან, როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ როცა საქართველო ღამის ხუთ სამეფოდ იყო დაშლილ-დანაკუწებული, სამეგრელოს ერთხელაც კი არ გამოუცხადებია თავი ცალკე სამეფოდ, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ საკმაო ტერიტორიაც გააჩნდა და ადამიანური რესურსიც. იქნებ იმიტომ, რომ მეგრელებმა კარგად იცოდნენ - საქართველოდან მათი გამოყოფა საბოლოოდ აღსოცავდა მიწისაგან პირისა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს? ნუთუ ქვეყნისადმი ამგვარი პატრიოტული დამოკიდებულება თუნდაც ერთი ფრაზით არ უნდა გავამართლოთ "მხედრონის" სიაკაცგრომ ისინი ასე სასტიკად ექცეოდნენ სრულიად საქართველოს და არა მხოლოდ სამეგრელოს? მაგრამ რატომ ვიცი-წყებთ, რომ შევარდნამ და მისმა ბანდამ სამეგრელოს სპეციალურად მოუწყვეს სადამსჯელო ექსპედიცია და მიუსიეს მხედრონელები, რათა საბოლოოდ დაეთრგუნათ ეს ძირძველი კუთხე და შემდეგ აფხაზეთის განსახლება გაადვილებოდათ?! განა სწორედ ამის გამოზიარებისათვის არ მოიძულა შესანიშნავი დასტაქარი და პიროვნება ნაპო მესხია საქართველოს გამსხვილებლმა პოლიტიკურმა ელიტამ? რაც შეეხება თქვენს მიერ საეჭვოდ მიჩნეულ "აფხაზეთში ქართველი ჩასახლების" ფაქტს, როგორ გვინათ, რატომ იყვნენ გაგრისა და სოხუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი რაკველები და იმერლები? ისინი, რა, რუსეთიდან ან იაპონიიდან ჩამოსახლდნენ?

არ არსებობს "სასარგებლო" ან "საზიანო" სიცრუე? ტყუილი ტყუილია და იგი ერთნაირად საძრახისი უნდა იყოს მღალახეობრივ ადამიანთა საზოგადოებისათვის!

სწორედ ამგვარმა "სიმართლემ" გამოიწვია აფხაზეთა გაუცხოება და ამ უღამაზესი კუთხის დაკარგვა, ჩვენ კი კვლავაც ძველ ვერსიას "ვაწვებით" და არ გვირდა სიმართლისათვის თვალუბში ჩახვევა.

საერთოდ კი, მეგრელობა რომ შესძლო, ჯერ ქართველი უნდა იყო. მაგრამ რაც ხოთ ქართველობის შევარდნადის ბანდის წევრებს, თუნდაც სატანა შევარდნადის ერთგულ მსახურ ზოდელავას, ან სააკაშვილის ბანდის წევრ უგულავას, რომელაც ათეულობით მილიონი ლარის გაფლანგვას ეძღვება სახელმწიფო? კარგია, როცა ზვიად გამსახურდიას ახსენებთ, მაგრამ ისიც სასურველი იქნებოდა, რომ ორიოდ სიტყვით მოგესხნებინათ გიორგი ჭყონდიდელი და ლავრენტი ბერია, რომელთაც ფასდაუღებელი ამაგი დასდეს საქართველოს აღორძინებისა და გაძლიერების საქმეს!

ქართველებს გვაქვს ერთი დიდებული მოწოდება - "ასჯერ გაზოგე და ერთხელ გასჭერიო". თქვენ კი, ერთხელაც არ გაგიზომიათ, ისე ჭრით და აქუცმაცებთ საღაზრს მეგრელებსა და სამეგრელოზე, მაგრამ, მაინც მიგეტყვებათ, რადგან ეს ვერაგული კონცეფცია თქვენს თავში არასოდეს მომწიფებოდა, რომ არა ავად-სახსენებელი "თავისუფლების ინსტიტუტი" და სხვა გადაგვარებული "ქართველები", რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ქართული დედა-ბურჯის შერყევას, რათა საქართველო ვეროკავშირში და ნატო-ში შევიდეს და იქაურ სუროგატულ ღირებულებებს ვიპაროს მდიდარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბის გარეშე!

ამაზე გვმართებს დაფიქრება და არა იმაზე, თუ წალენჯიხელი მეგრული ჩხოროწყუელ მეგრელს რომელ ენაზე დაელაპარაკება!

რა მოუხერხოთ, ბატონო ტიტე, ამგვარ "ქება დაღაღს"?

სწორედ ჩვენი ამგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსულისადმი აძლევს საშუალებას გადამოთელებს, რომ დაურიდებლად მიითვისონ მდიდარი ქართული წარსულის ნაწილი. მაგალითად, უკვე გამოჩნდნენ მეცნიერები, რომელიც ჩვენი გაურკვევლობისა და ურთიერთმიძიების ფონზე ამტკიცებენ, რომ იასონს "ოქროს საწმისი" კოლხეთიდან კი არა, კრასნოდარის ფარგლებიდან წაუღია...

განა სწორედ ამაზე არ არის ნათქვამი: "უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ"?!

ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, რომ როცა მომავალში ასეთ სენსიტიურ თემაზე გადაწყვეტთ ოპუსის შექმნას, იგი თუნდაც მწარე სიმართლით უნდა გააჯეროთ და არა არაფრისმიქმელი სიტყვიერი კაზუსიტიკით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას. მაგრამ, მიუხედავად ჩვენს შორის არსებულ შეხედულებათა ამგვარი სხვადასხვაობისათვის, მაინც დიდ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის, რადგან ჩვენთვის ფასეულია თითოეული რესპონდენტის აზრი.

დრმა პატივისცემით, როლანდ ჯალაღანი, ბაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

9 მაისი ფაშიზმზე ბამარჯვების დღეა



1945 წლის 9 მაისი. მოსკოვში წითელ მოედანზე გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი და 9 მაისი დღესასწაულად გამოცხადდა.

პირველი მსოფლიო ომისა და გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ცოტა სიმშვიდემ დაისადგურა და ქართველ ხალხს არ განუცდია წგრევა და მტრის თარეში, დაივიწყა ხმალი და თოფი. სწორედ მაშინ, ფაშისტური გერმანია მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველომ არ უღალატა თავის ტრადიციას და ქვეყნის გადარჩენისათვის 700 ათასი მეომარი გამოიყვანა, რომელთა შორის 16 ათასი ქალი იყო. მეომართა რიცხვში მეც ემონაწილეობდნენ, როგორც რიგითი ჯარისკაცი, სადაც პირნათლად ვასრულებდი მეთაურთა ბრძანებებს, რაზეც მტკიცელებს მთავრობის ჯილდოები და მთავარსარდლის მადლობები.

ბედმა იხება და ცოცხალი დაებრუნდი ჩემს კუთხეში. თითქმის 60 წელი ვემსახურე

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

ვინ იცის თითოეულ მებრძოლეს თავისი ბედი სად ატარებს, ვის და რას არ შეახვედრებს. ვისაც ბედი არ წყალობდა – 700 ათასი ქართველი მებრძოლიდან 400 ათასი დაიღუპა. მთავარია ისინი არ მიეცნენ დაივიწყებას, რადგან ცოცხალი ომის ვეტერანები უკვე დაივიწყებულია.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მეორე მსოფლიო ომში რომელმა ისახელა თავი, წარსული ხომ მომავლის გარანტიაა. სწორედ წარსულმა უნდა აღუზარდოს საქართველოს ღირსეული ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს ერთიანობას.

უნდა ვიამაყოთ იმით, რომ საქართველოს მეორე მსოფლიო ომში ჰყავდა 169 გმირი, 2 მარშალი, 36 გენერალი, მრავალი ათასი ორდენოსანი, ოფიცერი და რიგითი მებრძოლი.

საამაყოა ის რომ რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროს აღმართა ქართველმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარიაძე, 1945 წლის 30 აპრილს, 21:50 საათზე, რომლის გვერდით იყვნენ რუსი მიხეილ ეგოროვი და უკრაინელი ფოტოგრაფი ევგენი ხალდეი, რომელსაც ევალებოდა აესახა ეს მნიშვნელოვანი მომენტი.

აქ მინდა მკითხველს

მოეუთხრო მელიტონ ქანთარიას ნაამბობი ამ მომენტის შესახებ, რადგან ის ჩემი ახლობელი გახლდათ (მისი მეუღლე ჩემი ახლობელი, ჩემი მოგვარე ბარბარე ჯაღალონია გახლდათ, მათ პირველ შეიქმნა კი ჩემი სახელი პქვია). აი, რა პრობლემა იქონია თავი. წინათ აღმართული დროშა სადღაც გაქრა. იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ მაგიდის წითელი გადასაფარებელი, ნამგალი და ურო ფოტოგრაფის ნამუშევარი.

სამწუხაროა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გმირები დღეს არავის ახსოვს. რატომ არ უნდა იყოს მელიტონ ქანთარიას ძეგლი ქ. თბილისში, რათა მომავალ თაობამ იცოდეს, თუ ვინ იყო იგი?!

ამ წერილით მინდა საზოგადოებას იცოდეს თუ როგორ ცხოვრობენ საქართველოში სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები. მხედველობაშია მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.

მაგალითად პრეზიდენტ შევარდნაძის დროს მათ შეუზღუდეს ელფერვისა და ტელევიზიის სარეკლამოების შექმნა. „ნაციონალებს“ დროს კი 1995 წელს, მთავრობის მიერ გათვალისწინებული ყველა შედავათი გააუქმეს.

მთავრობაში მოვიდა „ქართული ოცნება“, რომელსაც იმედის თვალთ შეჰყურებდნენ 90 წელს მიღწეული ვეტერანები, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, რიგითი ვეტერანებს სამამულო ომში მონაწილეობის ხალხის საყოველთაო ნების საწინააღმდეგოდ.

ილეობის პენსია სულ გაუუქმეს. აქ გამახსენდა 2005 წელი, როცა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სამგზავრო ტალონების მიღების სიიდან ამოიღო 80 წელს გადაცილებული დევნილი ვეტერანები (რათა გაეკეთებინათ ბიუჯეტის ეკონომია).

ფოქრობ საქართველოს მთავრობასთან ვიღაცამ შეიტანა თავისი „რაციონალური წინადადება“, რათა ომის მონაწილეთა პენსია განაეთანაბრებოდათ მოხუცებული პენსიონერებთან. (მქონდა 129 ლარი პენსია ახლა მაქვს 150 ლარი, დახმარება – უცვლელი) აქაც საწყალი ხალხის ხარჯზე კეთდება „ბიუჯეტის ეკონომია“.

დიდი სამამულო ომის მონაწილე არც ერთ ქვეყანაში ისე უმუხრად დებოდ არ არის, როგორც საქართველოშია. ნუთუ, სხვებზე უარესად იბრძოდნენ ქართველი მეომრები? მაგრამ გასაკვირი არაფერია, როცა ამ ომში სულის ჩამდგმელს და ისტორიული გამარჯვების ორგანიზატორს დიდ სტალინს იშვიათად ახსენებენ.

მირიან ჯალაღონია,
აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ძალდას“ და „ფაზისის“ აკადემიების წამდგელი წევრი

ჰოეზის კუთხე

ჩხოროწყუ
დავესესხო ეშხი მისანს,
თუ ეშლება გოთხანს რამე?!
შენს მეგრედინან პეშეთი მის-
გამს
შეკვავება მოკამკამე!

ბურამ ჯიძია
საოცნებოდ, მაღლა ცაში აფრენილი,
მოგონება და ბავშვური ის ხატება...

მახსოვს შენი ამ ქუჩების ქვაფენილი,
გარდასული ბავშვობაც რომ იხატება.

მინდა გითხრა გულახდილად ამის გარდა:
ის ბავშვი ვარ, აქ შევიცან ეს პლანეტა;

და ჩხოროწყუ ჩემთან ერთად აღიზარდა,
სხვა სამყაროს არც ვიცნობდი სხვაზე მეტად.

როცა სით ნისლის ბადეს გადახდიდა,
გით პატარძალს ფატასავით თან რომ ახლავს;

მე ჩხოროწყუ მშობლიური გარახიდან
ბავშვობიდან უთვალავჯერ დამინახავს.

გეფიცვებით ბაბუს დარგულ კაპლის ჩეროს
და რაც ბედად დამყოლია გზად და ხიდად,

სანუგვარნო, ვინ არ უნდა დაიჯეროს,
რომ ჩხოროწყუს მზე ამოდის გარახიდან!

ხე ფერი აქვს ამ მშობლიურ მირიადებს
და ცისმარე უთენია ათინათებს;

კვლავ დათოვლის ათასწლეულს, მილიარდებს;
ჩხოროწყუს მზე ჩვენ რომწლიც გზას გვინათებს.

რა ვინაბრო უფრო მეტი სხვა დიდება,
საოცნებო ჩემს გონების სანახიდან?!

ცისარტყელა შეიღვფერ ხიდად გაიდება,
დააკვირდით ნაწიმიარხე გარახიდან.

შენი მიწის სიყვარულით ნატვირთალი,
კვლავაც ვუმზერ სიჭარბაგით ათინათებს;

ჩხოროწყუ ხარ მშობლიური, ნატვირთი თვალის
ჩვენ რომელიც შემიცნების გზას გვინათებს.

ვით უბადლო, გონება ხარ თვალთა მჭერის;
აწ მარადის კავშიანი წარგებოცოს,

დღევრებელობა მზის ქვეშეთში შენი ვრის,
და გაჩენაც პლანეტაზე დაგელოცოს!

ბურამ ჯიძია,
ჩხოროწყუ, სოფ ლეხიჭინე.

“ქართულმა ოცნებამ” მერობის კანდიდატები დაასახელა

საარჩევნო ბლოკმა “ქართულმა ოცნებამ” თვითმმართველ ქალაქებში მერობის კანდიდატები უკვე ოფიციალურად დაასახელა. როგორც სპორტის სასახლეში, საარჩევნო კამპანიის დაწყებისადმი მიძღვნილ დონისძიებაზე ითქვა, 12 ქალაქში მერობის კანდიდატები იქნებიან:

- თბილისი – ღაბით ნარმანია;
- რუსთავი – ღაბით ჯიძია;
- ქუთაისი – შოთა მურღულია;
- გორი – ზურაბ ჯირბელოშვილი;
- ბათუმი – ბიორბი მრგაშვილი;
- ფოთი – ირაკლი პაპიაშვილი;
- ზუგდიდი – ირაკლი ბოლოხია;
- მცხეთა – ავთანდილ ნემსიშვილი;
- თელავი – კლატონ კალმახაშვილი;
- ოზურგეთი – ბემალარ სიომიძე;
- ახალციხე – ბიორბი კოპაძე;
- ამბროლაური – რატი ნამბახაძე.

საარჩევნო ბლოკმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური კამპანია მიმდინარე წლის 26 აპრილიდან დაიწყო.

თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს გაიმართება.

გახეთ “ილორის” მკითხველებს კარგად ახსოვთ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებისწინა მოწოდება: “არცერთი ხმა ყველასაგან მოძულეებულ ნაციონალებს”. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიზიარებდით “ქართული ოცნების” ყველა კონცეფციას, მაგრამ ვთვლიდით და დღესაც ვთვლით, რომ საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურების მიზეზი სწორედ რომ ავადსახსენებელი ნაციონალები არიან.

ჩვენ არც ამჯერად ვიცვლით პოზიციას! ასე რომ – “არცერთი ხმა ნაციონალებს”!

რომან შინი: “ეს მხეცები სრულ არაადამიანობას გამოავლენენ, მკვლელობაზე წავლენ...”

საქინფორმი. მკითხველს სთავაზობს მიმართვას საქართველოს ხალხისადმი (ნაწილი 2 – “NO PASARAN! ფაშისტები ვერ მოგვინ არა – სააკაშვილს!”), რომელიც 2014 წლის 29 მარტს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ყოფილმა პოლიტპატიმარმა, მეცნიერმა და მწერალმა, საბჭოთა კავშირის, რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემსწავლელი კანადის ინსტიტუტის დამარჩებელმა და დირექტორმა (1981-2005), საქართველოს მწერალთა კავშირის და მწერალთა სხვა საერთაშორისო კავშირების წევრმა, ნობელის პრემიის ნომინანტმა რომან შინმა კანადიდან მოგვამართა.

“თიღელი ხალხი უნდა აღდგეს, რათა საკუთარი თავი და თავისი ქვეყანა დაცვა, ის 90%-ზე მეტი, რომლებიც ნაძირალების წინააღმდეგი არიან! ამის გაკეთება საჭიროა მანამდე, სანამ ისინი გამოვლენ, და არა შემდეგ, როცა უკვე გვიან იქნება. ქუჩები უნდა ჩაიხვეროს, რათა მათ ფიზიკურად ვერ შეძლონ გაგლა. ახლა, როცა ვიცით, ვინ არიან ისინი და რაზე არიან წამსვლელები, როგორ აპირებენ მოქმედებას, არსებითად, მოქმედება უკვე დაიწყო, მოაზრდეს და გაწვრთნეს რა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც მზად არიან, ნებისმიერ წუთს დაიწყონ თავისი სისხლიანი უკანონო საქმე, ჩვენ მათ საკუთარი ნება უნდა დავუბრუნებოთ და გზა გადავუღებოთ, რათა ვერც კი გამოვიდნენ, შეეშინდეთ. ეს – არ არის არჩევნების გზა, როდესაც ადამიანები მშვიდობიანად იდგნენ რიგში საარჩევნო უბნებზე, რათა საქართველოს მტრების წინააღმდეგ მიეცათ ხმა. ახლა სხვა ვითარებაა – აქ ჩვენზე საშინელი ძალა მოიწვეს, მასთან დაპირისპირება მხოლოდ შემხვედრი ძალით შეიძლება.

არავითარი ილუზიები და ეჭვები, რომ, იქნებ, ჩაიაროს, იქნებ არც ასეთი მხეცები არიან, ადამიანურობას გამოიჩინენ, ადამიანების დაღუპვაზე არ წავლენ, ხალხს არ ესვრიან. არა. არ ჩაივლის. ისინი მხეცები არიან, სრულ არაადამიანობას გამოავლენენ, მკვლელობაზე წავლენ, ისვრიან. დასავლეთი კი მხარს დაუჭერს, ამისთვის ფულს მისცემს და გაამართლებს,

ქართველი ხალხის საყოველთაო ნების საწინააღმდეგოდ. აუცილებელია სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ დადგეთ სამშობლოს დასაცავად, მოგემზადოთ, რომ მტერს სრულ მზადყოფნაში დახვდეთ. აუცილებელია თავდაცვის რაზმების შექმნა. აუცილებელია ხალხს გაგვადგინოთ, თითოეულის გულსა და გონებას მივმართოთ, სახალხო სულიანკვეთა ავამადლოთ, თითოეულის ცნობიერებაზე მივიტანოთ, რომ კატასტროფა ახლოვდება.

ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის გასაგებია, რომ ნაციონალები სააკაშვილის მეთაურობით საქართველოს და მასში თითოეული ადამიანის მტრები არიან, მაგრამ ახლა საჭიროა გაცნობიერება, რომ ისინი უპირობოდ და შეუჩერებლად მიიწვევენ ხელისუფლებისკენ, და საქართველოს მათი გამარჯვების შემთხვევაში დიდი განსაცდელი მოეწიეს. დაცვისათვის შეგნებული მზადყოფნის გარეშე ჩვენ დაუცველები ვართ. ადამიანებმა უნდა გაიგონ, რომ აქ მტერია, აქ სასიკვდილო საფრთხეა, რომ აქ ინტერვენცია, ეშმაკეული ურდოების შემოსევა, და რომ თითოეულის ვალია სამშობლოს წინაშე, საკუთარი თავის წინაშე, თითოეული მოყვასის, მეზობლის, ქუჩაში გამაგვლის წინაშე, ჩვენი შეიღვების წინაშე, წინ აღვუდგეთ შეუბრალებელ მტერს, რომ როდესაც ის ზღურბლზეა, ჩვენს საზღვრებთან, ავირ არის, ჩვენ შორის, თავისი ბოროტმოქმედებისთვის გამზადებული – არაგის აქვს მორალური უფლება, თავი აარიდოს, სხვა გამოსავალი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ დავიცვათ საკუთარი თავი, ოჯახები, საკუთარი ქვეყანა, და დავიცვათ აქტიურად, ვაგვაცურად, ძლიერად, ამაყად, მზად ვიყოთ თავი გავწიროთ წინაშეადაწმინდის – საქართველოსთვის, როგორც ჩვენი წინაპრები ელობებოდნენ კედელივით ნებისმიერ დამპყრობელს. საკუთარ თავში ეს ძალა უნდა გავაღვიძოთ, სახალხო სინდისი უნდა გავაღვიძოთ. მხოლოდ მაშინ შეგნებულ ჩვენი თავისუფლების, ღირსების, პატივის დაცვა. სხვაგვარად კი – მონობა და დაღუპვა იქნება.”

ზუგდიდში ლიტერატურული კავუს ბახსნას რობერტ ბოშის ფონდი დააფინანსებს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლები თემის განვითარების ცენტრის (CDC) წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი ზუგდიდში ახალგაზრდა და უფროსი თაობისათვის ლიტერატურული კავუს გახსნაა, რომელსაც რობერტ ბოშის ფონდი დააფინანსებს. პირველ ეტაპზე საუბარი მიმდინარეობდა ლიტერატურული კავუსათვის შესაბამისი დამხმარე მეურნეობის მქონე სათანადო ფართის მოძიებაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა მხარს უჭერს სამოქალაქო განვითარების ცენტრის წარმომადგენლების ინიციატივას და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას აღნიშნული პროექტის დროულად განხორციელებაში.

ჯალაღონია-ჯალაღანიების ბვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალაღონია-ჯალაღანიების ბვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღონია).

ვინ მზარდობს "სტაიანშიკებს" და ვისთან მიღის წილები?



ახლახან დაიწყო გამოძიება ავად-სახსენებელი "სითი-პარკის" საკითხზე, რომელიც გიგი უგულავას თაოსნობით ჩამოყალიბდა და საკმაოდ დიდი სარფიც აქვს აქედან. მოკლედ, უგულავამ ისე დაანაგვიანა თბილისი, რომ ნარმინას ხანგრძლივი მუშაობა მოუწევს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ერთ-ერთი ასეთი "ნაგავი" გახლავთ ავადსახსენებელი "სითი პარკი", რომელიც ერთნაირი მონდობით მარცხავს როგორც დედაქალაქის მოსახლეობას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტსაც.

ავიღოთ თუნდაც ე.წ. "სტაიანშიკები", რომლებიც ხელგაწვდილი დგანან ავტომანქანის გასაჩერებლებზე, სადაც მძღოლს წინასწარ აქვს გადახდილი თანხა "სითი-პარკისათვის".

მაინც ვინ არიან, ვერაულოდებელი "სტაიანშიკები"? გამოძიებულადაა? სად მიღის მათ მიერ მოსახლეობიდან არკეფილი თანხა? რა შუაშია ამ ამბავში "სითი პარკი" და მერია?

ეურნალისტს ესაუბრება "ანტიკორუფციული კავშირის" ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:

— ორი კვირაა, ამ საქმეს ვიკვლევ და აღმოვაჩინე შემდეგი: თბილისში ყველა იცის, რომ პარკირების ზედამხედველები, ანუ "სტაიანშიკები", ვიდაცას ფულს უხდიან. ამიტომ გამოვეყვი ორი ჯგუფი

ქალაქის მასშტაბით, რომლებიც ფარული ვიდეოგადაღებებით აწარმოებდნენ მონიტორინგს და ვხედავთ, რომ ამ სიტუაციაში სამი სუბიექტი მონაწილეობს: "სითი პარკი", რომელიც "პარკრონოს" ამ სიტუაციას და ხალხისგან ამოქაჩული ამ თანხის დიდი ნაწილი მიღის მის ჯიბეში, მეორე ჯგუფი არის მერიის ხალხი (ეს ხალხი ამბობს, მე მერიის თანამშრომელმა დამაყენა და შენ ვინ ხარო) და მესამე, ესენი არიან გაურკვეველი სუბიექტები, ნარკომანები და ლოთები, რომლებიც თავის წილს სთხოვენ ამ "სტაიანშიკებს".

— გაარკვეთ, დღეში დაახლოებით რა თანხა უგროვდებათ ე.წ. "სტაიანშიკებს"?

— 30-დან 40 ლარამდე. ადგილებიც მინდა გითხრა, რომელიც უფრო სარფიანია, ეს არის მარჯანიშვილი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ძალიან კარგად მუშაობს წერეთელი და პეკინი. დღის განმავლობაში აქ "სტაიანშიკები" აკეთებენ 30-40 ლარს. აქედან დაახლოებით 30-40% არის გასაგალი, ე.წ. მაყურებლების. აქვე უნდა ვთქვა, რომ დღემდე არავის გაუწერეს, და ვინმე არ შეეცდომს ამ ხალხს იქ დგომაში, იმ დუბინკებით თავს გაუტყავენ. საკმაოდ სერიოზულად დგას საქმე, უამრავი ზარი შემოდის ჩვენთან და ხანდახან სისხლის სამართლის საქმეც იკვეთება სწორედ აი, ამ "სტაიანშიკებთან" დაკავშირებით. კონკრეტულად, დღეებუ-ჩუდურეთის რაიონში გეკონდა ასეთი შემთხვევა, როცა ქალმა მძღოლმა ცუდად გააჩერა ავტომანქანა დაუტოვა გასადები "სტაიანშიკს"...

— გასადები დაუტოვა? რა, ასეთი რამე მოსულა?

— როგორ არ მოსულა, ის ენდობა "სტაიანშიკს" და მანქანის გადაყენებას ანდობს. როგორც კი ეს ქალბატონი მანქანაში ჩაჯდა და ადგილს დაშორდა, ხედავს, რომ "ნოკია-8800", რომლის დირეგულირება არის 2500 ლარი, მას სხვაგვარად "გოდოს" ეძახიან, მანქანიდან გაქრა. ეს მობილური ტელეფონი, სხვათა შორის, ამ რაიონის პოლიციამ მოგვიანებით აღმოაჩინა ავტობარში და, რომ წავიდა ძიება, თუ ვინ ჩააბარა, გაარკვიეს, რომ სწორედ "სტაიანშიკმა". ქალმა იმწამსვე მიიტანა ამ კაცზე ეჭვი და მობრუნდა, მაგრამ ეს ზედამხედველი იქ აღარ იყო. ის იმ წუთში იქიდან წავიდა, მაღე მობილური ტელეფონი გაყვდა სულ რაღაც 1000 ლარად, ცხელი ზაფხული იყო და წავიდა დასასვენებლად და რომ ჩამოვიდა, იმ ადგილს აღარ მიკარებია და

დადგა ვარკეთილში, ისევე "სტაიანშიკად".

— ეს ხალხი ოფიციალურად არსად ფიქსირდება?

— საქმეც მაგაშია, რომ არსად! მეტსაც გეტყვით, ჩვენმა მონიტორებმა დაადგინეს, რომ ამ "სტაიანშიკების" 90%-ს პირადობის მოწმობა არა აქვს, ესეც გამიზნულია იმისთვის, რომ როდესაც სამართლებრივი მოკვლევა იწყება, წესით, უნდა მოხდეს იდენტიფიცირება და მათ ეს არანაირად არ აწვობთ. მასხოვს, რომ გიგი უგულავამ თავის დროზე გააკეთა განცხადება, რომ მერიის პოზიცია ასეთია, ესენი არიან მათხოვრები, თუ გინდათ მიეცით ფული და თუ გინდათ, არაო, მაგრამ ეს ასე იოლი ამბავი სულაც არ არის. გვირეკავს ქალბატონი, რომელიც გვეუბნება მსგავს ფაქტს, რომ ზოოპარკთან ჩამოვედი მანქანიდან და უკან რომ დავბრუნდი, იქ "სტაიანშიკად" ასაკოვანი მამაკაცია, რომელმაც მაგინა, დუბინკა დაარტყა ჩემი მანქანის სახურავს, რადგანაც კედელზე მიწვია 2 ლარი და როგორ თუ შენ 1 ლარს მაძლევ ადგილის საფასურად. ანუ ისეთი განაგებულებები არიან, რომ დუბინკას გირტყამენ, რაღა მანქანას და რაღა თავში. უკეთესსაც გეტყვით, საჯარო რეესტრის თანამშრომელი ოთხმა "სტაიანშიკმა" იუსტიციის სამინისტროს პარკირების ტერიტორიაზე სცემეს, მოვიდა პატრული, მაგრამ მათ რეაგირება ვერ მოახდინეს, რადგანაც კაცს უთხრეს, თქვენნი ცემა არ დასტურდება. ანუ, თუ "სტაიანშიკი" რეზინის დუბინკით მოკლავს კაცს, პასუხს მერე აგებინებენ.

— რატომ არიან ასე გაბლატავულები?

— მათხოვრობიდან ეს ხალხი გახდა მოძალადე, ითხოვენ, ფული მომეცით და თან დააყოლებენ, გეგმა მაქვს შესასრულე ბელიო.

— და რა გეგმა აქვთ ასეთი?

— ზუსტად მაგაზე ვსაუბრობ, ზოგი მეუბნება, რომ 5 ლარი აქვს გადასახდელი, ზოგიც — 10 ლარით, მაგრამ ვისთვის აქვთ ეს ფული მისაცემი, ამაზე არაფერს ამბობენ. ორთაჭალის ტერიტორიაზე დადის "ზმე", რომელიც ამ ხალხისგან კრეფს ფულს. სხვათა შორის, შარშან დიდუბის პოლიციამ დაიჭირა ამ ამბის ორგანიზატორები, რომელსაც პირდაპირი ბრალდება წაუყენეს, ესენი ეწოდნენ უკანონო მოსარკებლებს, ანუ ეს არის გარკვეული დანაშაულებრივი ჯგუფები.

— ამაში "სითი პარკია" ჩართულია და რის საფუძველზე ამბობთ ამაზე?

— მინდა ეს დიად დაგაფიქსირო, ჩვენ ვმუშაობთ შესაბამის სამსახურებთან ერთად და ფილმს ვაყურებინებთ ამ კომპანიის წარმომადგენლებს ამის შესახებ, თუ დაინტერესდებიან. საბურთალოზე მივედი "სტაიანშიკებთან" და შევთავაზეთ ასეთი რამ, რომ იყავით ჩვენი თანამშრომლები და ჩვენთან ერთად აწარმოებთ მონიტორინგს გარკვეული თანხის საფასურად. ეს "სტაიანშიკები" წამოვიდნენ თანამშრომლობაზე და ის მასალები ჩვენ გვაქვს. დაალო ამ ხალხმა პირი და ჩუმად მუუბნებიან, "სითი პარკიდან" იყვნენ მოსულები და მითხრეს, რომ შენ თუ შენს ანტიმონოპოლიურ ბირკას გაიკეთებ, აქედან გაგაგდებთო. ვამბობ, ასეთი ხალხი არის დაახლოებით 1.000 კაცი მთელი ქალაქის მასშტაბით და მათ აქვთ უზარმაზარი შემოსავალი, ვერც კი წარმოიდგენთ ისეთი, მაგრამ ამით მარტო "სითი პარკი" არ ხეირობს, როგორც გითხარი. მაინტერესებს, საით იყურება ფინანსური პოლიცია, მე, არასამთავრობო, ვახერხებ იმას, რომ ეს ინფორმაცია ამოვიღო და ისინი რას აპირებენ, იმათ ხომ ამის გაკეთების მეტი საშუალება აქვთ? ვდებ კორუფციულ სქემას, ამ "სითი პარკმა" რომ შემოხაზა ეს კუნძულები, ეს აღმაინებო საეციალურად მიუმაგრა ამ კუნძულებს, რომ თავისი ფული აკეთოს, იმტომ, რომ ამ ადგილებიდან თვის მანძილზე შემოსული 600 ათასი, სწორედ "სითი პარკის" ჯიბეშია.

— როგორ ფიქრობთ, აი, ამ წერილის შემდეგ რა მოხდება?

— რა და, "სითი პარკი" ყოველ ამ "სტაიანშიკს" გაუფორმებს ხელშეკრულებას და მოხდება ამ ბიზნესის ლეგალიზაცია. ებრაული კომპანიის შემოსვლამდე აქ იყო სეგმენტი, რომელიც მშვენიერ ფულს აკეთებდა, ამ "სითი პარკმა" ესენი ვითომ გადააგლო, ესენი არ გეჭირდებოთ, ამ დროს სჭირდება კი არა, ცალკე თანხას მახდევინებს მერია და ცალკე "სითი პარკი", ამ "სტაიანშიკებს" ისევე იყენებს.

დეტალების გასარკვევად ვუკავშირდებით ლევან ტაბიძეს, "სითი პარკის" წარმომადგენელს:

— ეს ამბავი სიმართლეს არა თუ არ შეესაბამება, მსგავსი რამ არ არსებობს. ჩვენ არაერთხელ გავგიცხადებთა და კიდევ ვამბობთ: თბილისში არ არსებობს სხვა გადასახადი, გარდა "სითი პარკისა" და მძღოლი არ არის ვალდებული, ფული გადაუხადოს ამ ხალხს.

თ. ოქრუაშვილი

ილია მერაბი – საქართველოში 311 მჩხეთი მოქმედებს, თურქეთში კი არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი არ არის



ფარგლებში დადებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში მოცულობითი მენეთის აგებაც არის განსახდებული.

ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს , განსაკუთრებით კი აჭარის გათურქების პროცესს ავადსახსენებელმა "ნაციონალისტმა" დაუდეს სათავე, მაგრამ ყველაზე მეტად სამწუხარო და თავისივე ცემით არის, რომ არც დღევანდელი "მეოცნებეთა" ხელისუფლება იკლავს დიდად თავს თურქული თუ ევროპულ-აზიურ-მოსკოვური ექსპანსიის შესახებ, რაზედაც ყველაზე თვალნათლივ საქართველოს პარლამენტის მიერ ამას წინათ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი მეტყველებს, რომელზედაც ჩვენი გაზივის მომდევნო ნომრებში ვაქვეყნებ საუბარო...

თავის მხრივ, საქართველოს პარტიარქმა აღნიშნა, რომ მუსლიმან მოსახლეობას საქართველოში რელიგიური აღმსარებლობის ყველა პირობა აქვს, რის მაგალითადაც საქართველოში მოქმედი 311 მოქმედი მენეთი დასახელება ილია მერაბის თქმით, ეს ხედავს მაშინ, როცა თურქეთის ტერიტორიაზე არც ერთი ქართული ტაძარი მოქმედი

თევზის ასორტი – 1716 ლარი, თვითმკვლელობა შვილის გადასარჩენად – 2100

რამდენიმე დღის წინ ვანში მამაკაცმა თავი მოიკლა, რადგან საკუთარი შვილის ოპერაციისათვის საჭირო ფული ვერ იშოვა. გარდაცვალებამდე დატოვა წერილი, სადაც დაწერა, რომ დაკრძალვაზე შემოსული ფულით შვილისათვის ოპერაცია გაეკეთებინათ. ოპერაციისთვის საკმარისი თანხა 2100 ლარს შეადგენდა.

ასევე, რამდენიმე დღის წინ ფინანსთა სამინისტროს მორიგი ბანკეტი 13 500 ლარი დაუჯდა. მხოლოდ ბატკის ბარკალი, რომელიც ქონდარში იყო დამარინადებული 1452 ლარი, ხოლო თევზის ასორტი 1716 ლარი დაჯდა (აღბათ "მობი დიკის" სუკები იყო).

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიღებულია, რომ სტუმარს საპატივსაცემო ბანკეტს უმართავენ და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ როცა 2-3 წლის წინ მიტინგებს მართავენ და იმდროინდელ ხელისუფალს ლანძღაველი ბანკეტებში ფულის ხარჯვის გამო, მინიმუმ იმაზე ნაკლები მაინც უნდა დახარჯო.

შეიძლება ეს ფული 100 ანდაც 200 კაციანი დელეგაციის გასამასპინძლებლად დაიხარჯა და დეტალ-დეტალ რომ დავთვალოთ, შეიძლება იაფიც კი გამოვიდეს, მაგრამ დალოცვილო, ქონდარში დამარინადებულ ბატკანში რომ 1400 ლარი არ გადაიხადო და მხოლოდ ბატკის მწვადით გახვიდე ფონს, გულზე დაგაღვება?!

მინისტრობა მხოლოდ კაბინეტური-კაბინეტში სიარულში არაა. ათასში ერთხელ იმ ხალხის პრობლემაც რომ გაიგოს მინისტრმა (და ზოგადად სამინისტრომ) ვინც მოიყვანა ხელისუფლებაში, ცუდი ნამდვილად არ იქნება და იქნებ ისეთი ტრაგედია აღარ დატრიალდეს ხოლმე, როგორც ვანში მოხდა.

სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას, ვერაფერი შეცვლის. იქნებ მავანმა ისიც კი თქვას, 2000 ლარი როგორ ვერ უნდა იშოვნო, როცა შვილს სჭირდებაო, მაგრამ იმ მავანმა იქვე ისიც დააყოლოს, რომ სახელმწიფომ იმდენი რატომ ვერ უნდა შეკლას, რომ მოქალაქეს თავის მოკვლა არ სჭირდებოდეს შვილისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. კი ბატონო, მესმის, რომ არ ვართ დალხენილი ქვეყნის შვილები, მაგრამ ამ გაუთავებელი ბანკეტებისთვის რანაირად ვშოულობთ ფულს?! უცხოელთა დელეგაცია როგორც ჩამოდის, ისე მიდის, საქმე-საქმეზე რომ მიდგება მხოლოდ შემფოთლებიან ხოლმე და იმათთან თავის მოქონვას არ სჯობს, ჩვენი ერთი მოქალაქე იყოს კარგად?! წესით და კანონით, ერთი ქართველის სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, მაგრამ იმდენი რატომ ვერ უნდა უღირდეს ხელისუფალს, მაგრამ სამწუხაროდ ასე არაა. შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ჩამოსულ სტუმრებს ისეთ სუფრებს ვუშლით, რომ სამშობლოში დაბრუნებულები შეხვედრის შედეგებზე მეტს სუფრიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამ გაუთავებელმა ბანკეტებმა (როგორც "ზაზაგონის" უყვარდა თქმა) რა მოგვცა?! აფხაზეთის დაკარგვაში შეუშალეს ვინმეს ხელი თუ სამხრეთ ოსეთი ისევე ჩვენს იურისდიქციაშია და მე გამომეპარა რამე?! სამაგიეროდ, იმს გაბო რომ შვილს ოპერაციის ფული ვერ უშოვა, მამამ თავი მოიკლა, მაგრამ ამ ყველაფერში უმთავრესი მაინც შემდეგია – შენ ხომ ჭამე ნოდარი?!

პროვოკატორი

საპ. ივს.

5 ყველაზე პოპულარული სექტა საქართველოში

საქართველო რელიგიურად ჰერეტიკულია. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია, თუმცა მოქმედებს სხვადასხვა რელიგიური სექტები.

ტერმინ სექტას სხვადასხვა ენციკლოპედიაში თუ ლექსიკონებში სულ მცირე ორი მნიშვნელობა მაინც გააჩნია – თეოლოგიური და სოციოლოგიური. თავდაპირველად სექტას მხოლოდ თეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა. იგი დიდი რელიგიური გაერთიანებიდან რაღაც საფუძველზე გამოყოფილი, მცირერიცხოვანი ჯგუფის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. გამოყოფილ ჯგუფებს შორის განსხვავების ზრდის კვალობაზე, სიტყვა სექტის მნიშვნელობაც გაფართოვდა და მან თეოლოგიურთან ერთად გარკვეული სოციოლოგიური შეფერილობაც შეიძინა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რომელია 5 ყველაზე პოპულარული სექტა საქართველოში. რომელია ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი დენომინაციები. ამ თემაზე ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პროფესორი **რუსუაან წიძშაძის** და თეოლოგს, ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელს **ბეჰა მინდიაშვილს** (ეს ის მინდიაშვილი გახლავთ, რომელიც თავდაპირველად იცავს პომოსექსუალებსა და სხვა სიმარტირული განსახიერებებს და სწორედ ამგვარი მინდიაშვილების ძალისხმევით წყალობით მრავალდებიან საქართველოში სხვადასხვა სექტები და ქვეყნისათვის ძირგამომხრელი ორგანიზაციები – “ილორი”) ვესაუბრეთ.

რუსუაან წიძშაძის თქმით, რელიგიური სიმრავლიდან გამომდინარე, შეიძლება დავასახელოთ ძირითადი სექტები: იჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ბაპის

მიმდევრნი, ვაჰაბიტები და ასევე მუნიტები.

“არის ვაჰაბიტების ორგანიზაცია. ვაჰაბიტები ძირითადად პანკისში არიან, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი თბილისშიც არიან. საქართველოში რამდენიმე მეჩეთი არის ვაჰაბიტური. ძალიან დიდი სიფრთხილე და ტაქტია საჭირო, რომ შევაფასოთ ასეთი რელიგიური დაჯგუფებების მუშაობა. ეკლესიისათვის ისინი საშიშროებას არ წარმოადგენენ, რადგან პირადად ჩემი აზრით, “მართლმადიდებლური ეკლესია დგას ვითარცა სალი კლდე რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერაფერს დააკლებენ”. ამას ადასტურებს ჩვენთან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებიც, სადაც პირველ ადგილზე საქართველოს პატრიარქი დგას. ეს მიგვანიშნებს რომ ეკლესიის ავტორიტეტი ძალიან ძლიერია.

სახელმწიფოსთვის ისინი საშიში თავისი ძალით არ არიან. ისინი არ ფლობენ შეიარაღებას და ა.შ მაგრამ მათ შეუძლიათ მთელი რიგი ანტისახელმწიფოებრივი პროცესების განვითარება ქვეყანაში. ეს არ ეხება ყველა რელიგიურ უმცირესობას, მაგრამ არიან ზოგიერთები, რომლებიც თავის თავად ასეთი საშიშროების რაღაც ელემენტებს შეიცავენ. ასეთია მაგალითად ვაჰაბიტების გაერთიანება, რომელთა მიზანი არის ერთიანი მსოფლიო ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რომ ქვეყნები ერთმანეთისგან ეთნიკური და არც რელიგიური ნიშნით კი არ უნდა განსხვავდებოდნენ, არამედ უნდა არსებობდეს ერთადერთი მსოფლიო რელიგია ისლამი. ეს უკვე თავისათავე არის მიმართული ეროვნული სახელმწიფოებრივი ფასეულობების წინააღმდეგ, რომელსაც იცავს ყველა ნორმალური ქვეყნის კონსტიტუცია და თანამდროვე საერთაშორისო ორგანიზაციები”, – ამბობს რუსუაან წიძშაძე.

რაც შეეხება რელიგიური დაჯგუფებების

აქტიურობას, წიძშაძე აღნიშნავს, რომ აქტიურობით იჰოვას მოწმეები გამოირჩევიან.

“დღესაც ხშირად მაჩერებენ იჰოვას მიმდევრები და თავიანთ შეხედულებებს მიზიარებენ. ყველაზე მეტად იჰოვლები არიან აქტიურები. აქაც ხდება უარყოფა ეროვნული ფასეულობების, ისინი ნაკლებად ერთგულებიან სახელმწიფოებრივ, სოციალურ, თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ინიციატივებს. მათი პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალება არის ქუჩაში ხალხის გაჩერება, ოჯახებში დაუკითხავად მისვლა და მაღალ დონეზე დაბეჭდილი რელიგიური ლიტერატურის დარიცხვა. ხშირად მათი მოქმედებები მიმართულია ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობის წინააღმდეგაც. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე შემთხვევა საქართველოში, როდესაც სისხლის გადასხმა იყო მათი ოჯახის წევრისათვის გადაარჩენის ერთადერთი საშუალება და კატეგორიული უარი განაცხადეს. მიმართა, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება სწორედ კანონის ძალით, სადაც ხდება ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დარღვევა, იქ გადაწყვეტილებას შეიძლება დამოუკიდებლად უნდა იღებდეს”, – აცხადებს წიძშაძე.

რაც შეეხება დანარჩენ რელიგიურ გაერთიანებებს, ისინი იჰოვას მოწმეების მსგავსად უცხო ოჯახებში არ დადიან, თუმცა საკუთარი დენომინაციის პოპულარიზაციას პირად საუბრებში ცდილობენ.

რელიგიების დაყოფა ტრადიციულ და არატრადიციულად, დიდ და მცირე ჯგუფებად, კონფესიებად და სექტებად მიუღებელია თეოლოგისთვის, ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელ ბეჰა მინდიაშვილისთვის.

ბეჰა მინდიაშვილი: “ერთი მხრივ, ძნელია შინაარსი განსაზღვრო, რომელია

ტრადიციული ან არატრადიციული რელიგია და მეორეს მხრივ, მიუღებელია რელიგიური გაერთიანებების იმ ტერმინებით მოხსენიება, რომლებიც დამაკინებელ შინაარსს ატარებს ჩვენი ცნობიერებაში”.

ბეჰა მინდიაშვილი ამბობს, რომ საქართველოში ყველაზე შეკრული, ძლიერი და განვითარებული რელიგიური გაერთიანება იჰოვას მოწმეებია. ასევე, მისი თქმით, ძალიან ძლიერი ჯგუფია ევანგელურ-ბაპტიტური ეკლესია.

რაც შეეხება მცირე რელიგიური გაერთიანებების სოციალურ ჯგუფებზე გავლენას, ბეჰა მინდიაშვილი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ მათი გავლენა მინიმალურია.


“განსაკუთრებით მცირე რელიგიური უმცირესობების გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით პროტესტანტული ეკლესიებისა. გამობო სამწუხაროდ, რადგან პროტესტანტული ეკლესიები განსაკუთრებით გამოირჩევიან სამოქალაქო ფასეულობებისა და ადამიანის უფლებებისადმი ერთგულებით და ვისურვებდი, ამ თვალსაზრისით განზარდოს მათი გავლენა; ვისურვებდი, მათ განსაკუთრებულ როლი შეასრულონ ამ თვალსაზრისით. თუმცა, კონკრეტულად რომელ ჯგუფზე ახდენენ გავლენას, ამის თქმა გამიჭირდება”.

ჩვენ დაინტერესდით, არსებობს თუ არა უახლესი კვლევები, რომელიც ზუსტად ასახავს მოქალაქეთა რელიგიურ კუთვნილებას. ბოლოს ასეთი კვლევა 2001 წელს ჩატარდა, თუმცა ერთი, რაც ამ წლების განმავლობაში არ შეცვლილა ის არის, რომ ქვეყანაში დომინანტ რელიგიად მართლმადიდებლური ეკლესია რჩება.

ნ. ახალკაცი

შეგარდნაჰე მამა ბაბრიელს უსიქიატრიულში “ამოლკობას” უპირებდა – რას იბოძებს წმინდანის მკურნალი ექიმი

“შეგარდნაჰე მამა ბაბრიელს უსიქიატრიულში “ამოლკობას” უპირებდა – რას იბოძებს წმინდანის მკურნალი ექიმი”
“შეგარდნაჰე მამა ბაბრიელს უსიქიატრიულში “ამოლკობას” უპირებდა – რას იბოძებს წმინდანის მკურნალი ექიმი”
“შეგარდნაჰე მამა ბაბრიელს უსიქიატრიულში “ამოლკობას” უპირებდა – რას იბოძებს წმინდანის მკურნალი ექიმი”
“შეგარდნაჰე მამა ბაბრიელს უსიქიატრიულში “ამოლკობას” უპირებდა – რას იბოძებს წმინდანის მკურნალი ექიმი”



გოდერძი ურგებაჰე საბჭოთა კავშირში პირველი სასულიერო პირი იყო, რომელიც ბერად აღიკვეცა, საეკლესიო სახელით – ბერი გაბრიელი.

სასწაულები მის ცხოვრებაშიც მრავლად იყო და გარდაცვალების შემდეგაც. ამ ყველაფერზე სრულყოფილად ერთ სტატიაში საუბარი შეუძლებელია. წმინდანის შესახებ მისი მკურნალი ექიმი – **აბოი მარაზი** მოგვითხრობს:

– 1994 წლის ბოლოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, წყალმანკი ჩამოუყალიბდა, პაერის უკმარისობა ჰქონდა. აღარ დამიყოფნებია, მცხეთაში წავედი. მისი საკანი შთამბეჭდავი იყო: ყოველ მხარეს, საითაც უნდა გაგებოდა, ხატი გახლდათ დაბრძანებული. თვალდახუჭული იწვა. მიუვახლოვდი თუ არა, ვთხოვე – მამო, დამლოცეთ-მეთქი. შემომხედა, თავზე ხელი დამადო და, – ქრისტე დმერთმა გაკურთხოსო! მერე დედა პარასკევას

უთხრა: ნახე, ექიმი მოვიდა და ჯერ ლოცვა-კურთხევა აიღო. აქ ვინც შემოდის, ყველა ექიმი მიუბრუნება, – როგორ ხარ? მე კი ვასუსობს, – ბერი ვარ და როგორ უნდა ვიყო, ძალიან კარგად ვარ-მეთქი. ისინი ეკლესიურები არ არიან და ჩემთან საქმე არ აქვთო! გასინჯვის შემდეგ აუუსუნენი, რომ მუცლიდან სითხის ამოღება იყო საჭირო. თანხმობა და კურთხევა მომცა. 10 ლიტრამდე სითხე ამოვიღე. მოეშვა, ამოსუნთქა. ეს პროცედურა რამდენჯერმე გავემეორე. 9 თვის შემდეგ რაჭაში 1 კვირით მიწოდდა წასვლა და მამა გაბრიელს დავეთხოვე, მუცელში დრუნაჰე ჩაუყენე, რომელსაც საკეტი ჰქონდა და ვთხოვე, სითხე თუ შეგაწუსებო, ეს საკეტი მოატრიალე და გადმოიდგერება-მეთქი. გაეცინა, – “კრანტი” დამიყენო? 1 კვირის შემდეგ მოსანახულებლად რომ მივედი, სითხე აღარ ჰქონდა, ხელები მადლა ააპურო და თქვა: უფაღმა ამოიღო. მას შემდეგ წყალმანკით აღარ შეწუსებულა.

– განვლილ ცხოვრებაზე რას ვამბობდათ?

– ვერ ვებედავდი, რაიმე მეკითხა, მაგრამ ამბებს თავად ჰყვებოდა. ერთ დღეს მამბო, როგორ დაწვა ლენინის სურათი, მერე ცეცხლმოკიდებულ სურათზე როგორ შედგა და იცეკვა. ამის გამო დააპატიმრეს. ისხენებდა – “კაგებეში” რომ წამიყვანეს, უკან 7 ავტომობილიანი კაცი მომეყვებოდა. ვეუბნებოდი, – შეილო, თქვენ ეშმაკისგან შეშინებულები ხართ, ხელში ჯოხიც კი არ მიჭირავს და 7 ადამიანს რა უნდა გიქნათო? კამერაში რომ შემიყვანეს, სამოსელი გამხადეს, მაისურის ამარა დამტოვეს. ჯვრები და ხატები ჩამომართვეს. ვთხოვე, არ წაეღოთ; ვუთხრებდი, – ბერი ვარ-მეთქი. მპასუხობდნენ: ბერი კი არა, ხალხის მტერი ხარ და მალე გაგანადგურებთო. კამერაში მარტო დავრჩი. ლოცვის ჟამმა რომ მოაწია, ვიფიქრე – რა კენა-მეთქი? დავინახე, კუთხეში ცოცხი იდო, მისი სახელურიდან 2 ღერო გამოვადრე, გადავაჯვარედინე, მაისურიდან გამოვღებულნი მათი შეკარი და ჯვარი გავაკეთე. მერე ეს ჯვარი კუთხეში დავდე და ლოცვა დავიწვეე, მაგრამ ეშმაკის მოციქული ჭკუტრუნიდან მითვალთვალებდა, საკნის კარი გააღო, შემოვიდა და ჯვარი

წამართვა, – აქ ლოცვა არ შეიძლებაო. გაგზარდა, კედელთან დავდექი, ხელები გავეშალე და ვუთხარი, – მე თვითონ ჯვარი ვარ. აბა, მოდი, წამართვი! ზედა მხედველმა იფიქრა, რომ გიქი ვიყავი, გავიდა და კარი მოაჯახუნაო. ისხენებდა: კომისიაზე გამატარეს, უფროსობა იყო შეკრებილი, მათ შორის – ელჟარ შევარდნაძეც გახლდათ. მან რომ დამინახა, თქვა, ეს ადამიანი სულიერად ავადმყოფი თუ არის, ფსიქიატრიულში ამოვალკობთ, თუ არა და, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოსო. მამა გაბრიელს უპასუხია, – ცოტა ხანი გაივლის და მიუდანხე ხელგაშვერილი ეშმაკის ძეგლი რომ გივგათ, თქვენ ხელით გადმოვადგებთ და მის ადგილზე ვარდებს დარგავთო. შევარდნაძეს უთქვამს: შენ მამა ვარ ვერ მოესწრებო. – მეც მოვესწრები და – შენცო...

– მას ხილვა აფხაზეთის დაკარგვასთან დაკავშირებითაც ჰქონდა, არა?

– მამა გაბრიელი ამბობდა, – საქართველო ღვთისმშობლის ეზო-მამულია, სად წაიღებენ? ალბათ ღვთისმშობელი ჩვენზე გაწერაო. მერე ხილვას ისხენებდა: 2 მხედარი გამომეცხადა და თუთრ სახლში შემეყვანეს. ამ სახლის ჭერზე ხერხელი იყო, იქედან სისხლიანი პატარა ბავშვები ცვიოდნენ. დახოცილი ბავშვების დიდი გროვა იყო. ეს რომ ენახე, შეგძრწუნდა და უცრად ხმა გაისმა: მოდის! მოდის! უკან მივიხედე და ღვთისმშობელი მოდიოდა, შორიხლო დადგა და მითხრა, ამ ხალხისთვის შევედრებო? მათ საკუთარი შედეგების სისხლში აქვთ ხელები გახვრილი. ღვთისმშობელი განრისხებული გახლდათ. პირველად ვიხილე და იცით, როგორი საშიში იყოო! მაშინ ყველას დაგვაგადა, დაწერეთ, ილაპარაკეთ, ლექციები ჩაატარეთ, იქადაგეთ, ნურავინ გაიკეთებს აბორტს – ეს მეკვლეოდა; ერთი ბავშვიც რომ გადარჩეს, იცოდეთ, უფალი გაცხონებთო.

“ღირსო მამაო” – ლეჰი მამა ბაბრიელზე

– ტირი გაბრიელ, დაილაღე?.. მეც ვტირი შენთვის!”, ნეტავ საიდან შემოგვმა ზეცის სალბუნი,

შენს სასთუმალთან კედელს ამკობს ჯვარცმა უფლისა, მომცრო ტაბლახზე გადაშლილი სუფევს ფსალმუნნი.

ღირსო მამაო, საკუთარი ნებით ნატანჯო,

ქვეყნის დარდი რომ აიკიდე, ვით სათნო ჯვარი, უფალზე უკეთ ვინ გაგიგებს განცდილ ტკივილებს, როცა მარტოკამ დაარისხე მცხეთაში ხარი.

შენ ხომ ეულად შეუდექი გოლგოთის ბილიკს, ეკლის გვირგვინად დაიხურე მიტრა რვალისა,

მათხოვრის იერს მორგებდი სულით მდიდარი,

ბერო – სადარო დავითის და გორგასაღისა!

ერის ცოდვანი ტვირთად ზიდე, მოღლილმა ცრემლით,

არ შეორგულდი, არ დაკინდი, თუმც გწამეს ცილი,

ჭეშმარიტებას აზიარე უკედავი სული, თხილის გულივით დაარვიე მოყვასთან წილი.

გლანძღეს, გაფურთხეს, შეშლილად და გიჟად შეგრაცხეს,

უფთოდ გაგწირეს, თითქოს გაკლდა ტანჯვა-წამება,

იქით ლოცავდი, ნუგეში სცემდი შენს მამაგებულს,

კელაპტრად გენთო სათნო გულში წმიდა სამება.

“ჯვარს აცვი ევე!” – ხომ გასმინეს მოძღვართ-მოძღვართ?

მაინც ვერ დაგცეს, ვერ წარგტაცეს ცხოვარნი მწყემსსა,

და ისევ შენგან სიყვარულის მადლით აღესილი,

დღეს საქართველო თავს ეკლება სამარეს შენსას!..

“ტირი გაბრიელ? – ნუ – გეშინის, მეც ვტირი შენთვის”,

ღირსო მამაო, შეგებდ გადგას მაცხოვრის ჯვარი,

უფალზე უკეთ ვინ გაგიგებს განცდილ ტკივილებს,

შენ ხომ მარტოკამ დაარისხე მცხეთაში ხარი...

ზვიად სენინაშვილი

შენობი მერუსი ველი

ვეფხისტყაოსნის მკვლევართა სიას გუგუ კვირკვიას სახელი შეემატა ჯგუფური ნარკვევით: „ვეფხისტყაოსნის“ ჯალალონიასეული „ყილოშტყებამი“ (ნანა კალანდია, ელგუჯა ჯიქია, სოსო მეზონია, ბადრი ჯანაშია, ზურაბ ჯალალონია) 2005 წ. გადმოვიწერეთ ამ წიგნის მეცამეტე ქვეთავი: „მეგრული სიტყვები ქართულ ვეფხისტყაოსანში“.

„მომეზობლე ენათა სიტყვები ქართულ ვეფხისტყაოსანში“. ეპისკოპოს ბენედიქტეს ასე დაუსათაურებია მიტროფანე (გუგუ) კვირკვიას ლექსიკონური ნაშრომიდან ამოკრებილი ის ნაწილი. „ვეფხისტყაოსანს“ რომ შეეხებოდა.

ამ ნაკვლის ავტორებიც მადლობას ვუხდით გუგუს ძე გოვის, მთარგმნელისთვის რომ გადაუცია შესასწავლად და შესანახად 70 ცალამდე ხელნაწერი რეკულები, თავგათაბანაც დახრული და, სინდისზე გამწვრალი ვინმე მკვლევარისაგან ბევრგან ამოხეულიც. (გოგი გუგუს ძე კვირკვიამ შთამბეჭობა გრანელის „გაზაფხულის სადამოა მშვიდის“ მეგრულად თარგმნა, მასვე ვუძღვნი და, ტერენტის ლექსთა მეგრული თარგმანების გამოცემაშიც პირველ ლექსად შევაო „აფუნსარი“).

გადაიღო თუ არა, ჩააბრუნა თუ არა მთარგმნელმა მეგრული სიტყვები „ყილოშტყებამში“ ამ კითხვაზე ვლინება მთარგმნელს: „ათასამდე მეგრული სიტყვით პოემაში და მათ ძირეულს, ნაბრუნებს თუ შეფარულს, ისე ხომ ვერ მოვეპყრობოდით, როგორც „და“ კაემირს? საჭიროებისას კი, გუგუს მიერ სხვებზე ადრე შემჩნეული მეგრულსიტყვიანი სტრიქონების ნაწილი ჩემს თარგმანშიც იგივე მეგრული სიტყვებით იკითხებოდ“ და წინ დაგვიღო ფურცელი გუგუს მიერ ამოწერილი სტრიქონებისა და თავისი თარგმანისა. შესადარებლად ჩვენ გადმოვიწერეთ რამდენიმე. ქართულთან, ფრჩხილებშია გუგუს მიერ, მეგრულთან კი მთარგმნელის მიერ.

ქალმან კვლა ჰკადრა: გაგსაჯე მეტითა შეგონებითა. (გასაჯება).
 ძაბობქ უწუ: გუგასაჯინ, ნამეტანი დაროგებათ (278, 1: გუგასაჯი).
 ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგკლია (დალიება).
 ართი კოჩი აღმამორძგვე სქანო მუჭო დარლიებუ? (273, 2: დარლიებუ).
 რად დასწამებ სიმწარესა ყოველათთვის ტკილად მხედსა? (დაწამება)
 სინწარეს მუს ეკმაწამე ირკოს თოღნეთ მაჯინენი? (113, 3 ეკმაწამე)
 ვჯე დ მასვე ვიგონებდი, არ მიეცა თვალთ რული (რული).
 თოღევს რულქე ვემიან დო ვოხექ, კინ თის ფშინულენქუ. (391, 2. რულქი).
 კვლა მოაქეს ერთი ტაბაკი, მძღედ საჭირავი ხელისა (ტაბაკი). ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავ-შედგმული. (ტაბაკი).

ართ ტაბაკით მუკულებნა, ხეს ონდეთი უკინებნა (1465, 3: ტაბაკით). ფრიდონშია მარგალიტამ ჩხორო ტაბაკ ქაწუდგუმუ. (ტაბაკ: 1558, 1)

ვა, სოფლო, უხანო, რად ჰხი სისხლთა ჩემთა ხერეტად? (უხანე).
 სი უხანე წუთორენჯი, ზისხირ ჩქიმში მახუპალი. (უხანე: 529, 4).
 მესამე მაგალითთან შევნიშნეთ: თარგმანში „სინწარე“ უშემთხვევითია. მთარგმნელი ფიქრობს: ეს მეორე სიტყვაც მეგრულია, ქართულში „შ“-ანმეტურით გადასხვაფერებული.
 აქ მთავრდება წიგნის ქვეთავი და, გადავივარდეთ გუგუსეული დაკვირვებების მეტ ჩვენებაზე.
 შეუკაზმა ქარავანი, დააყენა ბარგი მათი. (ბარგი)
 ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგკლია. (დალიება).
 შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ. (დაჯერება).
 სანაპირო გაამარგე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა. (დობარგინი).
 ვითა შვილი გარდამოცნა, დაწვი ვარდი დამიღება. (ელღებუა).
 უჭირველნი შემოვიქცეთ, იგნი მძორთა დავადარეთ. (ნძორი).

ადარ მიყვლა ღიმლით, ადარცა გამიცინარე (რე).

წიგნსა შევატყვე, ღამობდა შეყრისა მოსწრაფებასა. (ულამუ).
 ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან. (ფურცელი).

რომე ცუდად არ მოლოდენე, ისინი კაცნი გვალატობენ. (ლორება).

მე წელიწადსა ბნელსა ვჯე, საწუთრო გაცუდებული. (გაცუდება).

ყმაძან უთხრა: რას მენუკვი, არა ვიცი, გამიცხადე. (გაცხადება).

გარჯიღხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა. (გარჯა).

მოსხვად, გითხრობ ყველაკასა მე ვითარ ვარ ცრემლთა ღამით. (ღამე).

რად არა იცი უწამლო არს ღები ესე ღებული. (ღები).

მისსა მნახავსა ნახული ადარა მოეწონების. (მოწონება).

მაშინ დაიწვე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა. (ვალი).

შენ ხარ სავსება ყოველთა, აღგავსებ მხეებრ ფენითა. (სასვება).

ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი შუკა და ბანი. (შუკა: „სოფლის უბანთა შემამრთებელი ორღობე“).

მათ მოახსენეს, ტურფათ სახით და ანაგებთა. (ანაგება: „საერთო ჯამი პირენებათა ურთიერთ მსგავსებისა, ანაგება-იერი“).

მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწფერაკლელისა (ფერინარკული: „ესმაში ნოსა ჯგირი გაჯინალი დო რიყალი, მარა ფერინარკული რე“ ფერმკრთალი).

თქვა: ისმენდი, მაგრა ჩემი სიკვდილისა დღე დასტურა. (დასტური. შდრ: „დასურო ურქო სი, ჭუმე ქართიშა“).

(წლების უკან მწერალი წიკლაური „ქრისტეს აღსდგა“-ს საპასუხოდ „დასტურად“-ის შემოღებას ნატრობდა: არაქართულიაო, „ჭეშმარიტად“ ორივე სიტყვა კოდხურია. დღემდის ცოცხალ ბრუნვაშია სიტყვები: „დამიდასტური“ და „დამჭეშმარიტი“. რუსთველის ხატით, დიახაც კარგია წიკლაურს ამოვუდგეთ გვერდით, ვუდგევართ კიდევაც: მერუსთველე გუგუ კვირკვია და „ყილოშტყებამის“ ავტორი, იმ საუფლო სასაწულს და საგალობელს „აღსდგა“ ვერ გვიხსნის, ვერ გამოთქვამს ქართული ღირსებით და მართლაც შესაცვლელია, მეგრული სჯობია აქ: „ქრისტე გეთანე“, „მარდი მახარებელს“ გარნა, ამაზე თავს არ მოიკლავენ მეგრულთ მოძულენი?).

იმა ყმისა მუენებლე ხორციელი არაინა. (უნებელი).

ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა ხსენება იშისა. (ქიში)

პოეტისგან სართიმე სიტყვად გატანილ მეგრულს, ეტყობა ვერ გაუგო ენის არმცოდნემ და „ტ“ ბგერა ხელნაწერიდან ამოაძევა, ჩაიწერა „ოშისა“ გააუფასურა სტრიქონის შინაარსი, არადა როგორ უხდებოდა „ქიშისა“. ამას მიხვდა გუგუ კვირკვია, თორემ „იშიდან“ „ქიში“ ვერ ამოუვიდოდა. ჩავაბრუნეთ პოემის ახალ გამოცემებში „ქიშისა“.

ახლა ენახოთ პოემის სხვადასხვა სტრიქონების მართლწერითი, გუგუსეული შესწორებებიდან მხოლოდ ერთი მაგალითი, ჩაურეველი ამოწერით.

„დამიღვამს“ თუ...
 „კლიტეთა დავლეწ, გაგახვამ, დამიღვამს ვერ ქეთიკირი სად“ (თათბირი ავთანდილისა. 10401).

ამ სტროფში თვით ცნება „დამიღვამს“-ის მართლწერის საკითხში უნდა გადაისინჯოს.

თუ ისე მივიღებთ ამ სტრიქონს როგორც ახლა არის, მაშინ მივიღებთ ასეთ შინაარსს სტროფისა:

„კლიტეთა დავლეწ, გაგადებ (კარებს) „ქეთიკირი ვერსად ვერ „დამიღვამს“-ო. ეს უცნაური განცხადებაა! ამით ავთანდილს იტყვი შეჰყავს თანამებრძოლნი, რადგან ის ამქაღინებს თავის სისუსტეს ამ საქმეში.“

ავთანდილის გეგმის თანახმად ის ვაჭრულად გამოწვობილი ჯორს გადაკიდებდა საომარ იარაღს და მარტოკა შევიდოდა ციხეში, მარტოკა „შეებტყებოდა“

მერე „მალვით“ ამქართ ჩაიცივამდა და შიგნითა მცველთ ამოჟღერდა...!

როგორც ვხედავთ მეტად სათუო საქმის გაკეთებას კისრობს ავთანდილი. ის შეიძლება თვითონაც კარგად ხედავდა ამის მეტის მეტ სათუობას, მაგრამ მაინც წავიდა ამ გადაწყვეტილებაზე, მისი გმირული სული კარნახობს მას ამას!

შეიძლება მას მართლაც მოეხერხა კარების გახსნისათვის ხელის შეწვობა, მაგრამ მისი ცოცხლად გადარჩენა არ არის მოსალოდნელი!

და ამ დროს როგორ შეეძლო მას ეთქვა: „დამიღვამს ვერ ქეთიკირი სად“ ამით ის განაცხადებდა რომ მე უძლეური ვარ ამ საქმის კეთებაში, საერთოდ, და იმდენად სუსტი, რომ ქაჯეთის ციხის აღება არა, „უბრალო „ქეთიკირიც“ არსად „დამიღვამსო!“ რა შუაშია დაღვამ-მშენებლობა?!

ჩვენის აზრით, აღნიშნულ სტრიქონში მართლწერაში რომ იქნეს შეტანილი ოდნავი შესწორება, ალბათ ბევრათ უფრო ახლო ვიქნებოდით სინამდვილესთან!

„აღნიშნული სტრიქონის მართლწერაში. ოდნავი შესწორება ამგვარია: „დამიღვამს“ სიტყვიდან მეროდ „ა“ ბგერას ამოვაძეგებთ და მის ადგილას ჩავსვამთ გუგუს მიერ თავმდაბლურად გულდისმებულ ბგერა „ჟ“-ს, მივიღებთ სიტყვას: „დამიღგეს“ ამით სტრიქონი და მთელი სტროფი იბრუნებს პირველად შინაარსს.

1956 -ში (39-ში დაბადებულს), მე უკვე მქონდა ჩემი „ყილოშტყებამი“, აი ის, სახელსო მოძრაობა „სამეგრელოსი“ ჟურნალ „ბიპ“-ში რომ იბეჭდებოდა. შემდეგ წლებში მხოლოდ ორმოციოდე სტროფის ხელახლა თარგმანს თუ არ ჩავთვლით, თარგმანის „შავი“ მე არ მქონია და, გუგუსეული „შესწორება“ იმ „დამიღვამს“-ისა, ჩემსას კითხვევა და ის სტროფი 1953-ში თარგმნილი მქონია. მე, ფორტე დგებზე-სეულ ხელნაწერს დავედგე. ის თარგმანი ასეთია: „სიმანგარეს ვაწარინე, გებტახ, გებსოფ ბორქომეფუს“ (ჩემი ხელნაწერით 1400,3.) მე დღემდის გაცოცხლებული ვარ, ორი შენიშნით, პირველი, ამ თემას ეხება და მეორეც, ამას ამთავრებს.

- „დამიღგეს“-იანი ნაბეჭდი მე არ შემხვედრია ან შენც მიმხვედარხარ „დამიღვამს“ უსწორობას, ან ხელნაწერი გიპოვნია?“ მეკითხება ნათლია და გებულობს, რომ სამი წელიწადი აკენის სასთუმალქემე მელო ბებია ფოტნეს მხითვეს მოყოლილი, მისი ხელით გადაწერილი, როგორც შემდეგში ვაგიგე, ლევან მეორე დადიას ტყვეობაგან გადაწერილზე აღინდელი... - „და სახელიც იმ ხელნაწერში იჯდა? აბა, გაისხენე ქართულად“

- „შოთამ, რუსთველმან, გაგლექსე, მისთვის გულს ღახავარსობილი“

- „რუსთველ ვლერსა, გურშა, შოთა, მუღაბაშა გემბინუნა?“ ხომ არ შემშლია ნათლულის ნათარგმნი? უთარგმნელად დარჩენილი რამდენიმე თავს, დამამთავრებელი და დასაწვინი ხომ სულ ადრე გითარგმნია და, ერთ წელიწადში დასძლევე და გამოვსცემთო“. ეს იყო რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე დაიდუგებოდა „მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“. მას მოსკოვში ყვავდი ჩაყვანილი „ყილოშტყე ბამიანად“.

აქ გუგუამ წერტილს. კარგა ხნის მერე ისევ გადაავუწერდა უცნობი მერუსთველე, მიტროფანე (გუგუ) კვირკვიას რეკულებს.

ბეჰოთი ჯალალონია

ბოლო მეღას ღღაშ ფირქევი
 „ბაბუკა“-ში მდივან ვეპირეკონი თეში, წანას ვიშეშქვანდ, ვაგუტენდ, აბესალომ ტულუში, ვამოუცქეკონი მუჭო ი ციდ, მარგებელი მოცვენჯენდ. ზვიად ცურე, გოძიციანი თოღს უტენდ, სამანჯელი ოკოდ, გეით ცოთკონი: - ტატოში, „არაგებუხჩინა“-შე შინულენდ; „ვემისვანჯასუნ, მუჭო იცუაფ? ღვინიც სუშა ხომ გეგინხუხაფ?“ დო, „ნანინა“-ც ოკო ქუგაშინკონი: „ცუდუ გედუ დო, კოჩი გერე, ჩხოუ გეპიჯ, ჯა გეჩანს, მარგალურიშ ვამიჩქ გერე, გეგნოთანგე, მუს მერჩანს?

- ჩხოუ ხოლო გერენია, შხვაში ნინა ეიშქვანს“.

უკულ მუში ოკო გოზინდუკონი: მარგალურქი, ვაგოდ გედირთუკონი? რობაქიძე, ქიმწი, ხომ ქოსხუნულენდ? ოფერაშამ ჭირქა ვეშაწურწკონი ეში, მულა იშ გაჭყორდუდ, - ფურქულენდ,

გემიოდღეს, უტურუნდ ტულუში: - ხომ ქიგოხე კისერს ქორთუშ ულუში? - „იშო მემიდინუთია, ბოშეფი“.

დიანინა ცურე ჯანუდ, რცქინულენდ. „კვეთებული“ ოკო გამკიბლიკონი, ჩქიმწკმა ართო, უცოდ, გიმეხეპირენდ. უმულუო ჯვეშ მუნანანს ამოწმენდ, „თექ ვაგმაშინ“ მიწინდ, ქიმითვალკონი, შორშეიან მუნანანი ძინულენდ, „გოშინას მუქ, მუშე, აწმაფორკონი?“ - ნერს გუმუქქედ, ნადლი გურთი გონუ-ლენდ.

პაპეფს ვაკოდ თაქი ქიგერდუკონი, ნინო მესხის მომიზეხუნდ, წონულენდ, მესხიშ ხატიქ ოკო გაჭყორკონი, მედროფევი მუ დო მუს ვაგონულენდ, სინოღიში უსინდისო მოხვარათ - ზვიადი ყიზლარს, ხანო ვემთოხონუ-ლენდ?

მარა ძეგლიშ ბედიდ, ათაშ ფოტკიკონი: „მიშაში დროშა“ წოხლე აწურჩუდკონი, ზვიადიშეფქ კუნხი გიჯირქუკონი? ამარ გერეთ, ნამთინ ვამოჩიულენთ.

მიშაში რე და, მუს მუნორეთ, ვაითხუნა ათე დროშაქ თავრე გეგნიბორჯკონი? დროშაშა პატ ვეგეიძუნა, ჟურნალი „დისუსია“ ოკო წყკითხითონი.

ამდღარი დღას „კოლო“-ქ ვაგმაშინკონი, - უკორნებუდ, წიგნის ქინშმოჭარკონი. „ბაბუკა“-ში სკამშა მის აშახუნენდ? გეიოხოთანდ ეშე, მიდგა ორდკონი.

უნინებ მის, მარია ბები აფრთხილენდ. „თოისერს გოძირანქია დო, მეუფე“, ოჭიშამი, ჭყონშე გიშათოლირი ბაბუში სკამს კოკოქ ქაშანთხ, აჯინენდ, მოთა აფუდ, მუჭო ელამარინენდ?

ელუდ, ელუდ, ბაბუქ გამიჯინკონი, მა ფიგრქენდ; ჩქირქუს ვეიაციონინენდ - გამიჯინუ, ნერშე გუმულ გოჭყორინქ: „ეთი სკამი ჩქიმ ვარენო ბოშია?“

გესხაპ კოკოქ, გოკარკაცუ, არტინენდ. ომორდიუ „ვესპუნში“ ქიანა, მიშასი დო, კოკოს მუთ ეკართინენდ?

ჭარუობას გვალო მუკორთუდკონი, მიხაკო, დო შალვა ცალო არგინენდ, წუთორენჯიშ წაულირი ბორჯიშა ბორჯიშ გამაჯირებელი მადინენდ.

უჯაბუდ, უჯაბუდ, დიდჭყონ ქოჭყონენდ-კონი, ჭყონდიდელიშ ენარდ ვალაზ-დავითენდ? ამდღარი დღას დალი ვაბშინეკონი, ირო თიწკმა, ზვიადის დრო აღინენდ.

მანანასით შორს ვარტინე, აღუჩენდ. მანგი, ჟირ ვარ, სუმიც ბორჯო სუნდუკონი,

ეთ, დომიტრი მეფე ბშუნა, ვაუჩენდ? „მეტინარა“ - ილიას ვალაფუნდკონი, მარა ვამკვე, იმპერიას აგენტენდ, დო კეპებს ვამუხვარებუდკონი, უნჩაშ მეუფეობას მი აღირსენდ.

შეუღებუდ ზვიადს, ვეცოდუკონი, ვაგომეპურცხეს გვიანშა დო, თის იცვენდ. თე ბერეფი, არძოც დუქოსუდკონი, „რუის-ურბნისიში კრება“ აუჭვენდ?

„ვეკაწამას“-ს მეტე ქუგახვალკონი, - „მუშნახუნეფ“ გაიოზი ახერხენდ, ზვიადს, მერაბს, ბეჯითს, ვაგორუკონი ვაიშალედ, თიშნერო ორდ მუნახენდ.

„დადიობა“, ზვიადს ქოუთხუდკონი, ათე ხი ოშ პარტიათ ვაკოცენდ, ოშ გახეთო ართიან ვაგაფუჭკონი, იმპერიას მასსა აყიდ უმუხენდ.

უკუნეფიშ ანბე ქიგიბშინკონი, - მეტისეფი ქიანეფს დღას ვამინჯენდ. კადრეფი წკუმა ბერი-ცაღ ქორდკონი, თუთმაცეფი თეზმა მუჭო გოუცენდ.

რაიხსტაგშა დროშა გეშებლითკონი, ჩქი შივლებეთ, ქართი ცურე, - მოიმენდ. მომარგალე ხალხიქ გემიკურცხკონი, მარგალონას, აიეტი დამითმენდ.

ბეჰოთი ჯალალონია

სამშობლოს ღირსეული შვილები



სი. როგორც ვსთქვი, გიორგის რუსის მთავრობამ არა უთხრა რა და მის ძმას ბესარიონს კი ჯამაგირი წაართვა, რატომ შენს ძმას აპყევით. ახირებული, თუ გინდა გასაკვირველი ეს არის.

აქ უადგილო არ იქნება მკითხველს მოვახსენო, რომ ერთი დაი გიორგისა, ბესარიონისა და პეტრესი, ცოლად ჰყავდა დავით გურიელს (ბათუ). იყო დედა მამია, ჯამბაკურ, ვახტანგ და ტელემაკ გურიელისა (მეორე დაი კესარია შარვაშიძის მთავრის ბიძას), ქალიშვილი გიორგისა, ცუცუ ცოლად შეირთო აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა ჰამუდ-ბეი (მიხეილ) შარვაშიძემ. მამ შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ დიდი ნიკოს სისხლის მეოხებით იყვნენ დავით და კონია გიორგის ძე დადიანები, მამია გურიელი და გიორგი მიხაილის ძე შარვაშიძე — თვალსაჩინო მგოსანნი და დიდი ნიჭის პატრონნი, დიდი ნიკოს მადლიანი ნიჭის ნაყოფნი, თუკი მართლაც შემკვიდრებობას აქვს რაიმე მნიშვნელობა; დიდი ნიკოს ჩამომავალნი ქალი და კაცი არ მეფულება ისეთი, რომ ძლიერ ნიჭიერი და მასთან კარგი მოქართულე, კარგის ლექსის დამწერი არ იყვნენ. დავუბრუნდეთ ისევ გიორგის. სოფ. ნოჯიხევში მოზრძანდა დიდი გენერალი, გვარი არ მაგონდება (გამიგონია დავით ბიძა ჩემისაგან) შეიკრება მთელი თავად-აზნაურობა „რა ვუთხარო რუსის ლენერალს, დღეს რომ მოვლით“ თათბირობს ბრწყინვალე ნოდება. „დამშვიდდით ბატონებო, — ამბობს გიორგი, — ჯერ არ ვიცით, ის რას გვეტყვის, არც მისი მოსვლის მიზეზი. ვნახოთ, რას გვეტყვის და პასუხზეც შემდეგ

როგორც მცენარე-ხეხობით მოკაზმული, მთავარის ძველი დიდებული ბიბლიოთეკა ნიავ-ქარსა და ცეცხლს მისცა. ის იყო ომარფაშას ლაშქარმა მდინარე ცხენის წყლამდის უნია, მაგრამ აქ მოულოდნელად თათრის ჯარი აიბარგა ზუგდიდიდან, სადაც მთავარს ბინა ჰქონდა და შტაბი. დედოფალი კი ლენქუმში გაიხიზნა ჯალაბობით. ჩვენი მოხუცებული მოახლე ქალებისაგან გამიგონია, ჩვენი სასახლეში იმოდენი გახიზნული ქალი და კაცი იყო, რომ ერთ ღამეს ოთხმოცდაათი ბავშვი დაიბადო. გიორგის ყმასა და მამულს ხელი არ ახლო თათრის ჯარმა უფრო იმიტომ, რომ აფხაზეთის მთავარის ჰამუდ-ბეის პატივისცემა და მორიდება ჰქონდათ. ჰამუდ-ბეის ხომ გიორგის ქალი უფდა ცოლად. თათრებთანაგან დიდ პატივდებში ყოფილა თავადი პეტრე გიორგის ძე მხეიძე. განთქმული ვაჟკაცი და გაუღენიანი პირი, რომელსაც თურმე ომარფაშამ ჯერ შიშით მოუხდომდა მონადირეობა, თავის მოჭრა დაუპირა, მაგრამ რა ნახა მის შეუპოვრობა ჯილდო უბოძა და პატივით გაისტუმრა, სიტყვა კი ჩამოართვა, ოსმალების წინააღმდეგ არ გაელაშქრა. მხეიძეც სიტყვის პატრონი დარჩა. ჟამისა მას ზუგდიდში მყოფ თათრის ჯარს გრიგოლ ლევანის ძის გენერალის დადიანის მეთაურობით დაეცა მეგრელების საუკეთესო მეომრები, დიდი ზიანი მიაყენეს თათრებს, მაგრამ ძვირად დაუფუდათ ეს მამაცური იერიში. საუკეთესო თავად-აზნაურები და ჯარისკაცები ტყვეებისა და ხმტყების მსხვერპლნი გახდნენ. ამ ბრძოლაში დაიჭრა სამაგალითო ვაჟკაცი, მამა და შვილი, გიორგი და ძე მი-

რა-ქობულეთში ხელს არავინ ახლებდა. ასე რომ მეგრელი, მისი კაციც რომ არ ყოფილიყო, ხშირად გიორგის მომიზეზებდა — რაო და მისი ყმა ვარო, მამინ როდესაც მთავარის კაცებს იჭერდნენ და ტყვედ ჰყიდდნენ ცხერებოვით. ასე გასინჯეთ, ერთი ლენქუმელი მილიციონერი გოგია სვანიშვილი შამილს ჩაუვარდა ტყვედ. შამილმა ასწია და მის სტუმარს, ჩერქეზს თავადს უნდა აჩუქოს ეს გოგია. „ბატონო, ნუ მიზამთ ამ საქმეს, — შევედრა გოგია ამ საარაკო გმირს შამილს, — დამტოვეთ თქვენთან. მე შევატყობინებ ჩემს ბატონს და ის არ დამტოვებს ტყვედ, ჩემს წონა ფულად გამომისყიდის“. „ვინ არის შენი ბატონი, რა კაცია“ — გოგიაც მოუყვება, გიორგის ცამდე აქვდა ან რას დააკლებს ქებას. „თუ ასეთი კაცია შენი ბატონი, მიჩუქებია მისთვის შენი თავისუფლება, მეც გამიგონია მისი სახელი. ნადი, უთხარი გიორგის, მისი ხალხი დაგვეხმარონ გასაღების წინააღმდეგ. სირცხვილი არ არის, რომ გურჯები რუსებს ეხმარებიან ჩვენ წინააღმდეგ“. შამილმა მისცა გოგიას ცხენი, უნაგირი, იარაღი და გაუშვა, თან საზღვრამდე კაცებიც გაატანა. ეს ცხადი ამბავია. ამის შემდეგ გოგიას მეტსახელად ლეკი დაერქვა — გოგია-ლეკი. ლენქუმში, ცხეკუმურის საზოგადოებაში, მისი შვილები და შვილისშვილები დღესაც არიან.

დაეცა დალესტანი, მოქანცული ბრძოლით. დაახლოებით ამავე დროს გენერალმა ბარიათისკიმ, კავკასიის ნამუსტენიკმა, სიკვდილით დასაჯა სვანეთის მთავარი მურზაყან (კონსტანტინე) დადემქელიანი, რომელმაც გაგარინი, ქუთაისის გუბერნატორი მოკლა და რამოდენიმე მოხელე. ილივენ დასავლეთის კავკასიის მთის ხალხნი — ჯიქეთელი ფსხუ, დალი, ნეველა და გადალმელნი ჩერქეზნი. ვინც ბრძოლის დროს ცოცხალი დარჩა, ის უნდა აყრილიყო ცოლშივლით და ოსმალეთში წასულიყო. ოსმალების გემები მოადგა შავ ზღვას და ეს საარაკო მებრძოლი ხალხი ტირილითა და ოხვრით ეთხოვებოდა საყვარელ მხარეს, საუკუნოდ. ნიორის ფასად ყიდულობდნენ მათ იარაღსა და სამკაულებს, ცხენსა და უნაგირს ჩვენებური მილიციონერები, რომელნიც რუსის ჯართან ერთად თავზე აღგნენ ამ გულ-შემზარავ ექსტრემალურების დროს მამაჯირებს (переселенцы). ჩვენნი იარაღი კი თქვენ მოგვიტოვეთ, მაგრამ თქვენი კი ვინ მიპყიდით“ — შეეკითხა ერთი მოხუცებული ჯიქეთელი მეომარი გერქემითი, ჩვენ ქართ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოს ჯარს. ყველამ ხმა გაკვიმიდეთო, მითხრა ერთმა დამსწრემ. აქვე უნდა ავღნიშო ის გარემოება, რომ დალესტანის დაცემის შემდეგ მთელი რუსის ჯარის ძალა და ყურადღება მიქცეული იქმნა დასავლეთის კავკასიაზე. წინათაც ხშირად და მით უფრო უკანასკნელად რუსის მთავრობამ მიმართა წინადადებათი აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს ჰამუდ-ბეი შარვაშიძეს, რომ მას მიეღო, როგორც გაუღენიან პირს მეზობელ ხალხების დამორჩილებაში მონაწილეობა, რისთვისაც შეიძლება ჯარების უფროსობას და დიდს ჯილდოს, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ და ჯილდომ ვერ გასჭრა და აფხაზეთის მთავარმა არ გაიხიზნა მათ სისხლში ხელი, რადგან ის პატარაობიდან ჯიქეთში და ყაბარდოში იყო აღზრდილი, იქ ბევრი მეგობარი და მოკეთე ყავდა. ამ დიდებულს ადამიანს დაფასებს ისტორია ჯეროვნად, რომელმაც თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას, მათს ტყვეობას, თვითონ ტყვეობა არჩია, დაჰკარგა ტახტი და ბოლოს, როგორც დამნაშავე, ვორონეჟში გადაასახლეს. და იქ აღმოხდა სული! მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაენერება აფხაზეთის „სულის ამოძრობის“ ხანის ისტორიაში. მაგრამ ბევრმა მისმა სახლის კაცებმა „ისახელეს თავი“ ჯიქეთ-ყაბარდოს ალბანულად, გაიმშვენიეს გულმკერდი ჯვარ-მეხდლებით, გაიხიზნეს მთავრობისაგან ჩამორთმეული მათი, მამულ-დედული და აფხაზეთის მთავრის „პარტახი“ მიწა-წყალი, რასაკვირველია, უფრო მხნეობა ჩვენებმაც გამოიჩინეს (ქართველებმა) „ამ საგმირო საქმეებში“, მაგრამ ისტორია არც მათს სახელს დაივიწყებს.

ალექსანდრე მეორე ესტუმრა ქუთაისს გრავ ლევალიის დროს, მესამოცე წლებში. გრავმა სულთა და გულით მოინდომა საუკეთესო მამინდელი დიდკაცობა დაეხვედრებია მეფისათვის. გიორგის საკუთარი კარტა აახლა, მიიპატიჟა, მაგრამ უარი მოუვიდა, განსვენებულმა კვავჯი აქირთავამ მიამბო, რომ მე და მამაშენი კარში გამოგვაგდო ამ სიტყვაზეო გიორგიმ. ხელმოკრე დაღუტანტი, კილო ნერილი და დიდი ხეხნა დასჭირდა ბაბუაჩემს, რომ დათანხმებულიყო ქუთაისში წასვლას და ხელმწიფეს შეგებებოდა. სულ იმას ფიქრობდა, ვითოუ სიბერის დროს ციმბირში მომიხდეს წასვლაო და მის ვარჯის თოფსაც ნამოატანა ხელი. ჩვენ დაგამშვიდეთ, როგორც იყო, და დავითანხმეთ ნამოსვლაზე.

მეზარ კვიტიანი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეზარ დადიანი — სამშობლოს შეჭირული რაინდი

ვიფიქროთ. „გიორგი მისცემს ჩვენს მაგიერ პასუხს, იგრილა ერთხმად ყველამ“. აჰა, ისიც მოვიდა, სალაშქარო მამის შემდეგ რაღაცეები მიკიბ-მოკიბა, გააფრთხილა თავად-აზნაურთა ხელმწიფის ნინაშე ფიცი მიგლიათ ერთგულებისა და არ შეგაცდინოთ ვინმემო. თურმე მოციქული მოციქულზე მოდიოდა ჯიქეთიდან, ყაბარდოიდან და ჩაჩან-ლეკიებიდან: „ამოგვიდეთი გვერდში, ამოიღეთ მახვილი რუსის მხედრობის წინაშე, ნუ ეხმარებით მათ ჩვენ წინააღმდეგ, თორემ ბოლოს იხანებოთ, არც თქვენ და-გაყირო რუსები ნიკოსო“. ამისათვის იყო თურმე ლენერალი მოსული. ხალხმა, როგორც ნინაშე ვსთქვი, გიორგის დააცალა ენასუხნა, მაგრამ ალბათ არ ეჭაშნიკა გიორგის პასუხი მთავრობის წარმომადგენელს, რომ მამინათვე გაცხარდა და ყვირილი დაიწყო. „გადავიციო რუსის გენერალს, რომ ნუ ჰყვიროს, თორემ ეს პატივსანი კრება იფიქრებს რუსი არაყით დამთვრალა და ხედავთ, როგორ ყვიროსო“ — იყო გიორგის პასუხი თარჯიმანის საშუალებით. „თქვენ გიორგის ნუ უგდებთ ყურს, ის თავის მთავარს ეურჩება, კარგა არას გეტყვიოთ“. „ჩვენ მისი სიტყვა გვეჯერა, მისი პასუხი ჩვენს პასუხსა“, — იმეორებს კრება. „მამ გიორგიმ ხელმწიფის წინააღმდეგ რომ გამოვიხიციოთ, იმასაც დაიჭრებოთ“.

„რომც გვიხიციოთ ალბათ საფუძვლიანი იქნება და მამასადამე ჩვენც დავიჭრებოთ“. ამის შემდეგ გენერალს არ უყვირნია, ის გაბრუნდა ქუთაისს და კრება დაიშალა. აქ მომავლენა ერთი აღრინდელი შემთხვევა. როცა გიორგი და ბესარიონი შეირიგა რუსეთის მთავრობამ და მთავარმა, ბესარიონის პენსია წაართვეს, გიორგის კი არა. გაბრუნდა ბესარიონი — არა, ერთი მიბრძანეთ, თქვენი წირიმე, გიორგის რად აპყევით, აბა ეს რა საწართალია, ძმას რატომ აპყევი, ამიტომ მე დამნაშავე გამოვიცი, გიორგიმ თუ ამიყოლია და ამიტომ მოექცით აგრე, რატომ იმას არაფერი უთხარით, ვინც ამიყოლია? ასეთი ყოფილა სამართალი რუსებისა! — გაიძახოდა ბესარიონი, უკმაყოფილო ამ უსამართლობით. განვლო ხანმა, ყირიმის ომი დაიწყო. რუსეთისა და ოსმალეთის ძალა ერთი მეორეს შეეჭტა. განთქმული სარდალი ომარ-ფაშა 30.000 ჯარით მოადგა შავი ზღვის ნაპირებს. მან დაიპყრო აფხაზეთი ჯიქეთითურთ, ან რაღა დაპყრობა ესაჭიროვებოდათ მათ, სიხარულით შეუერთდნენ ერთმორწმუნე პორტას მხედრობას. ომარ-ფაშა მოადგა მდინარე ენგურს, რომელიც საზღვრავს ოდიშს სამურზაყანოსაგან, „ოცარცეს“ ფონის მაგიერ. სადაც ენგური უფრო ადვილი გასასვლელია, ის რაღაც მოხერხებით ეცა ენგურის ნიკოს იქ, სადაც სოფელი კოკია. დიდის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი ივანე მუხრანთბატონის მეთაურობით და ჩვენებური მილიცია ძლეულ იქნა და ლტოლნილი. თათრის ჯარმა აიღო ზუგდიდი, განანდგურა მთავარის სასახლე და დიდებული ბალი, ევ-

სი ქუთუ აფაქიძენი, თითონ დამსწრე მოხუც კაცებისაგან გამიგონია ეს მართლაც და საარაკო ვაჟკაციური შეტაკება ერთი მუჟა მეგრელების რაზმისა ამ ზღვა ჯართან. მოულოდნელმა თავდასხმამ პირველად ძლიერ არი-დარია თათრის ჯარი, ცხენთა ჭიხვინი, თოფის გრიალი, დაჭრილთა კვნისა, ვაჟკაცთა კოჭინა თავგანწირული იარაღი ერთი მეორეში, თითქოს ჰაერშიც მოინამლა ამ ჯოჯოხეთური მოქმედებით, იტყუდა კაცი. ბევრი სახელოვანი ვაჟკაცი გამოესალმა წუთისოფელს ორივეს მხრივ. ქუთუ აფაქიძე და მისი მოხუცი მამა გიორგი მუსრს ავლებდნენ მტრის რაზმს. ბევრს აუტრეფი დედა და შვილი. ერთს ადგილას, დუქნების წინ, ხალხი შეეჯგუფდა, შეიკუმშა, თითქო ბურთი შეიკრაო. აქ თათრის ჯარი გარს შემოერტყა საუკეთესო სამეგრელოს ვაჟკაცთ, სულ ათი-თხუთმეტიოდ მხედარს. გიორგი და ქუთუ, აფაქიძის მეთაურობით, შევარდენით დაქროლავენ. აქ მოაწყდა მათის სისხლის მონაწყრო ის-კენდერ ფაშა თავის რჩეულის ამალით. შეიქმნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ჭიდილი, ქვახავით ცვიოდა თათრების თავები, ამ გამირების ხმლით ტანს მოშორებულნი. დაიჭრა მოხუცი მამა, მას მიეშველა გმირი შვილი, მაგრამ მტრის ტყვიამ ქუდივით გადმოადგო იგი ცხენიდან. ორნივე გამოტყვეს თავდებულმა მეომრობამ ამხანაგებმა. გამიგონია, მამა გადარჩა სიკვდილს, მაგრამ შვილი კი დიდის ტანჯვის შემდეგ მიიცივალაო. ეს ამბავი, სხვათაშორის, უამბნა ჩემთვის კონია მხეიძის მეუღლეს ივლიტეს, ასულს გიორგი აფაქიძისას. ის თავის გმირ მამასა და ძმას ჭროლობას ბანდა, უფლად მათ. ენა ვერ მოსთქვამს იმ აუნერგელ ტანჯვა-ტრალიკულ სიკვდილს, რომლითაც გარდაცვლილა ქუთუ, მასზედ დღესაც ჩონგურზე გაიგონებ სიმღერასა და ლექსს მის ვაჟკაცობის მოსაგონარად:

ჩემი ჩონგური, ჯგირი ჩონგური, იფარებოდა ლაფარითა, გაჭირებას ქომიძირე, გიორგი ქუთუ აფაქია —
ამ გიორგი აფაქიძის დაი თამარი ცოლად ჰყავდა სვანეთის მთავარს ისლამ დადემქელიანს. ამბობენ, რომ მერ ფაშის მხედრობა შეეცრად გემებში ჩასხდა და გზას გაუდგაო. მიზეზი იყო ყარის დაცემა, ალბათ მისი რუსის ჯარისაგანო. უნდა ვსთქვათ, რომ გიორგი ბაბუაჩემს არავითარი მონაწილეობა მიუღია ამ ომში და იჯდა მისთვის წყნარად. ალბათ უცდელად უკეთესს შემთხვევას. ეს კი ცხადია, რომ მის ყმასა და მამულს „ჩიტ არ გადაფრინა თავზე“ ამ ალიაქოთის დროში და მის სასახლეს მოაწყდა, თავი შეაფარა დიდმა ხალხმა. დღესაცა ბევრია ისეთი მოხუცი ცოცხალი, რომელიც დაამომეგბს ამას, რომ საზოგადო გიორგის კაცს, სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ამ მფთიან დროში და წინათაც, აფხაზეთ-სვანეთ-ყაბარდოში, ახალციხის მხარეში, აჭა-

გიორგის თან გადაჰყვა მრავალი მისი მომხრე თავად-აზნაურობა: ჯაიანი, ჩაჩი-ბაია, ალშიბაია და გლეხკაცობაც — გვარად ნაჭყებია და ბერულავა, რომელთა შორის შესანიშნავი ყოფილან თავისი ვაჟკაცობით და სვანეთის გზის ცოდნით სისო ალშიბაია და გლენი შუკო ნაჭყებია, მარჯვენა მკლავი გიორგისა და სიყრმის მეგობარი მისი. გიორგისა და ბესარიონს რუსის ჯარი დაედევნა უკან მათი მკვიდრი ძმის პეტრეს მეთაურობით. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჯარმა ვერსად ვერ მიუსწრო დევნილებს და ისინი ტენური-ლენხურით (ხეობა) დიდის წვალეებისა და დავიდარბის შემდეგ გიორგიმ და მისმა ამაღამ გადალახა ეს მაღალი მთები და ჩავიდა სვანეთს თავის მოყვრებთან — მთავართან — დადემქელიანთან. საოცარი ის არის, რომ დევნილები მეუღლე გიორგისა ბარბაღე, ასული ისლამ დადემქელიანიისა, გზაზე „მოლოდინდა“ „შვა ასული თებრონია“ — ამ საოცარ თოვლსა და ყინვაში და უვნებლად ჩავიდა თავის მამისას. გიორგის თან ახლდა მისი პირმშო ვაჟი დავით 4-5 წლის და ქალიშვილი მათა — ერთის წლისა და ნახევრის (შემდეგში მეუღლე კონსტანტინე ლეონის ძის დადიანისა) რომელნიც ხალხთში ჩაუსვიათ და ზურგით გაუყვანათ ამ ადგილებში. მამინდელი მმართველი კავკასიის ბარონ როზენი (თუ არ ვცდები) სწერს სვანეთის მთავარს, რომ ხელმწიფის ორგული და მუხანათი გიორგი ნიკოს ძე დადიანი ივლტო სვანეთში, თან ნაიყვანა თავის კეთილგანზრახული ძმა ბესარიონი (Благонамеренный) ასე სწერია რუსულ დედანში, რომელიც დღესაც მოიპოვება დავით ბიძაჩემის შვილ ვეგებესთან. ბარონი სთხოვს სვანეთის მთავარს, გამოგზავნოს ისინი, რის პასუხიც მიუღია დამოკლებით: ვერ მოგვართვი, გიორგი ჩემი სტუმარია, და სიძე, თუ გნებავს მოზრძანდი და ხელი ახლეო, გიორგიმ იქ დაჰყო ორი თუ ერთი წელიწადი. შემდეგ ესტუმრა თავისუფალ მთიელებს, პირიქით მცხოვრებ ალანებს და ჩერქეზებს, მათში მოიპოვა ბევრი თანამგრძობი. შემდეგ დიდის ჯარით გადმოვიდა მდინარე კოდორის თავზე და ესტუმრა დალისა და ნებერლის მფლობელს ბათალ-ბეი მარშანისა, რომელთან დიდი მეგობრობა და ნათესაური კავშირი ჰქონდა. ეს ხალხი მოასკდა და დაბანაკდა ენგურის ვაღმა, რუსის ციხის პირდაპირ. გაიძარდა დიდი მოციქულობა მთავარსა და გიორგის შორის და ვინ უწყის, საქმე რითი გათავადებოდა, რომ მართა დედოფალი, მთავარის დავითის დედას, წერეთელის ასულს, არ დაეხსნა მისი შვილი და სამეგრელო კარზედ მომდგარი ხიფათისაგან. მოხუცი დედოფალი მართა ცხენზე შებრძანდა, იახლა ერთი კაცი, რომ ვერ ეცნოთ გზაზე იმ მოსაზრებით და მივიდა მტრის ბანაკში, დაიჩოჭა გიორგის წინ, გადმოჰყარა ძუძუები: „მე დედა და შენ შვილი, ეცი ჩემს მოხუცებულობას პატივი, ჩემს ლეჩაქს და ნუ დაღუპავ ჩემს ოჯახს და მთელ ოდიშს“. აქ საჭიროდ არა ვსთვლი რამე ითქვას ამის მჭიტი, რომ გიორგი და მისი თანამხლენი იძულებული შეიქმნენ ამონდელი მახვილი ქარქაში ჩაეკოთ. შერიგდნენ გიორგის და მთავარი, მასთან, რასაკვირველია, რუსის მთავრობამ სიტყვაც არ უნდა, გიორგის ხელიც არ ახლო. ლაშქარი დაიშალა, მხოლოდ თავი კაცები ესტუმრნენ გიორგის მის სასახლეში, შეიქმნა ლხინი-ზეიმი და საჩუქრებით გასტუმრება მთის გადაღმელის თავადების და მარშანია-

ჩვენი კომენტარი ბატონ ბურამ კორკელიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე“

ავტორის ეს წერილი, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ილორი“ 252-257-ე ნომრებში, იწყება იმის აღნიშვნით, რომ „წერილი წმინდა მეცნიერული სახისაა“.

ავტორი „გარკვეულ ასპექტში არ ეთანხმება ცნობილი ქართველი მეცნიერების თვალსაზრისს, მაგრამ აღნიშნული მეცნიერები ალბათ კვლავაც დაიცავენ საკუთარ პოზიციას“ და ავტორისადმი „პასუხი გახდება ჯანსაღი პოლემიკა, რაც დიდად დაინტერესებს გაზეთ „ილორი“ მკითხველებს“.

წერილში ავტორი, ერთგან, ასეც წერს: „ხმაბაძეობის თეორია არ არის სწორი“ და „თუ კი მამანტი ძაძამია არ იქნება თანახმა, მას შეუძლია ამავე გაზეთის მეშვეობით მიპასუხოს და გავცემ პასუხს კონკრეტულად“.

სამწუხაროდ, ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ბატონ გ. კორკელიასთან, მისი წერილის გამო, ჩვენი პოლემიკა ვერ შედგება იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ წერილში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვათა ნაშრომებიდან ამონარიდ ცალკეულ ციტატებს, არაფერია მეცნიერული ხასიათისა.

ამიტომაც, ავტორისეული მასალის ჩვენის მხრივ რამე დეტალურ განხილვას, აზრი არა აქვს. ამასთან, საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნავთ შემდეგს: 1. ჩანს, ბატონი გ. კორკელია ელემენტარულადაც კი არ იცნობს ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც მოიცავს 3600-დე ერთეულს, მათ შორის, 12 დიდ მონოგრაფიას, აქედან: 6 ერთტომეულს, 2 ორტომეულს, 1 შეიღებულს, 1 სამტომეულს, 1 ოცტომეულს და 1 მრავალტომეულს (ამაზე, კონკრეტულად ქვემოთ). არადა, ჩვენს ნაშრომებს, რვაკლას-დამთავრებულებიც საკმაოდ კარგად გაეულობა.

2. რაც უმთავრესია, ჩვენს ნაშრომებში მოხსობილი მონაცემები უბრალო ავტორისეულ (ავტორთაძიერ) თვალსაზრისსა და პოზიციას როდი წარმოადგენენ, რომ „კვლავაც შეეცადოთ მათს „დაცვას“ და, ჩვენი ნებისდა მიხედვით, შეიძლება დაგეთანხმონ, ვინმეს, მოსაზრებაში, რომ „ხმაბაძეობის თეორია სწორი არ არის“.

ხმაბაძეობის თეორია ჩვენამდე საუკუნეების მანძილზე უარყოფილი იყო არა რომელიმე დარჩენილი (წერილის ხელმოწერის ცნობით, დარჩენილი ავტორის სოფელია) ან ეპიკური (ეწერი ჩემი სოფელია) რიგითი არასპეციალისტი ადამიანების მიერ, არამედ მსოფლიოს ენათმეცნიერებისა და სხვათა მიერ, ანუ მილიონობით ადამიანის მიერ. ასეთ პირობებში, ჩვენ, გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ცოცხალი ენობრივი მონაცემების ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე წარმოვინეთ, რომ საგნის (სხვა მონაცემის) სახელდების და ენის (მოცემების) ენის, ზოგადად ანუ ხერხთა ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობის საფუძველს, მასთანავე, საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის განვითარების საფუძველს, წარმოადგენს ბუნებაში მოცემული, ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებულ ბგერებისადმი ხმის მიბაძვა. სხვაგვარად და მოკლედ რომ ვთქვათ, დავასაბუთოთ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან წამოყენებული, მაგრამ სწავლულთა და მეცნიერთა მიერ საუკუნეების მანძილზე უარყოფილი ხმაბაძეობის (ხოვადად, ბუნებობის) თეორია ენის წარმოშობის შესახებ.

ამ კვლევა-ძიების შედეგად, მრავალ სხვა, ძალზე საინტერესო მონაცემთან ერთად, აღმოჩნდა, რომ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკა დაითვისის ერთნახევარ მილიარდამდე სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ (ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში უმდიდრესი ლექსიკის მქონედ მიჩნეულ ინგლისურ ენაში 490.000-მდე სიტყვას ითვლიან), საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.

მეგრულის მთელი აღნიშნული ლექსიკა (1,5 მილიარდამდე სიტყვა), ჩვენ, გარკვეული ხერხის გამოყენებით, კერძოდ, მეგრულის ზმნური ფონდის (ეს ფონდი კი მეგრულ ენის მთელი ლექსიკის 99,9 პროცენტს შეადგენს) ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით წარმოდგენით დავაფიქსირეთ ოცტომეულის 18 ტომში, ისე, რომ მის ყოველ ერთ გვერდზე, საშუალოდ, იკითხება 150 000-მდე სიტყვა.

ვერ შეეძლებოდა, შევეცადეთ, შეგვექმნა მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონი, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სისწორით ხმარებად მიჩნეული 500 მილიონი სიტყვის შემცველობით, სიტყვათა სრული სახით დაწერილობის პირობებში.

გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ასეთი ლექსიკონი მოიცავდა 25000-მდე ტომს, 600-600-გვერდიანი დიდი ფორმატის წიგნების სახით. მის შედგენას კი, დღემდე საშუალოდ თითო ტომის შედგენის პირობებში (რაც, ერთი შეხედვით, ზღაპრული ჩანს), დაალოებოთ 74 წელი დასჭირდებოდა. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, გვექმნა მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალტომეულის ექსტენსიული წესით შედგენის ხერხი, რასაც გარკვეული ხნის დაუინებელი შრომა-ძიების შედეგად მივაღწიეთ კიდევ. ამ ხერხის გამოყენებით, საშუალოდ ყოველ 5 წუთში შესაძლებელია მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალტომეულის ახალ-ახალი 3662 გვერდის, ანუ ახალ-ახალი 7 ტომის შედგენა.

ამ ხერხით, ჩვენს პერსონალურ კომპიუტერში უკვე შეტანილი გვაქვს მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალტომეულის პირველი 1.000 ტომი. მაგრამ მუშაობა დროებით აქ შევანერეთ, შემდეგი მიზეზით: აღნიშნული ლექსიკონი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეგრულის სიტყვების ანბანთრიგის მიხედვით მოხმობილ ჩამონათვალს წარმოადგენს. ამიტომაც, განვადგინეთ მუშაობა მეგრულ-ქართულის (ორენოვანი) ლექსიკონის ანალოგიური ექსტენსიული წესით შედგენის ხერხის მოძიებისათვის. მისი შედეგიც უკვე სახეზეა, მაგრამ ასეთი ლექსიკონის შედგენა ჯერ კიდევ დიდი წინასწარი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს (იგულისხმება პირველი ტიპური ფორმების წარმოდგენი 7 ტომის თარგმანს სათანადო წესების გამოყენებით, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება).

აქვე დავტყობ, რომ მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალტომეულის (სავარაუდოდ, 25000-ტომეულის) ზემოაღნიშნული პირველი ათსტომეულის 7 ტომი (სანიშნულო ტიპური მაგალითის სახით) კომპიუტერიდან ამოგვტვიდია და ხელთა გვაქვს.

მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ საკითხზე მსჯელობას, ჩვენ, სწორედ მის (მკითხველის) წინაშე მივმართეთ, და, როგორც იმთავითვე აღნიშნეთ, პოლემიკაში უშუალოდ წერილის ავტორთან არ შევიღვართ, ვინაიდან ასეთი რამ, მისივე წერილის მიხედვით, წყლის ნვევდა იქნებოდა.

ამასთან, ჩვენი მსჯელობა თვით გ. კორკელიასთვისაც რამდენადმე მაინც გასაგებ რომ გახდეს, შევეცადეთ, ჩვენეული კვლევა-ძიებების ცალკეულ შედეგებზე წარმოვადგინოთ უმარტივესი (ასე ვთქვათ, მეთხე-მეხეთუ კლასის მოსწავლეთათვის გასაგებები) მონაცემები.

გ. კორკელიას მიერ მის წერილში ხელის ერთი მოხმით გაკეთებული დასკვნა-განაცხადი, რომ „ხმაბაძეობის თეორია სწორი არ არის“, მეტყველებს იმაზე, რომ იგი ელემენტარულადაც კი არ იცნობს ენის წარმოშობის საკითხზე არსებულ თეორიებს, მათ შორის, ხმაბაძეობის თეორიას და ენათმეცნიერების მიერ ამ თეორიების უარყოფის მიზეზებს. ამიტომაც მოგვაქვს შემდეგი უმარტივესი მონაცემები:

საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ხმაბაძეობის (ხოვადად, ბუნებობის) თეორია მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ უარყოფილ იყო შემდეგი ძირითადი მიზეზებით: 1. ხმაბაძეობით სიტყვები ენის ლექსიკის ძალზე მცირედ და პერიფერიულ ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის ხმაბაძეობის თეორიის დასამტკიცებლად იგი ვერ გამოდგება. 2. ენის ლექსიკის ანუ სიტყვობრივი მარაგის უდიდესი ნაწილი არაფერითაა მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი.

ასეთ პირობებში, ჩვენ, დავადგინეთ, რომ მეგრული ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძეობით წარმოშობისაა და მოტივირებულია (იდეამარტივებელია), თანაც, ფონეტიკური (ბგერითი) დასაბამი-დანე.

აღნიშნული დასკვნა, გავაკეთეთ იმ საფუძველზე, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მეგრული ენის მთელი კოლონალური ლექსიკის, – 1,5 მილიარდამდე სიტყვის, – ეტიმოლოგია.

საფუძველს წარმოადგენს საგნის ბუნებითობა, კერძოდ, ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმაბაძეობა.

მაგრამ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილებულვართ, არამედ, წარმოვინეთ სამეტყველო ბგერების წარმოშობის, სიტყვის წარმოშობის, საგნის (სხვა მონაცემის) სახელდების, ენის (საკვლევი ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის) წარმოშობის მიზეზები და პირობები ანუ საფუძველები.

საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის სხვა მონაცემებზე (გარდა ზემოაღნიშნულისა), მის მიზეზებსა და პირობებს ანუ საფუძველზე, ამ მოვლენის მექანიზმზე და სხვებზე, რაც ჩვენს მიერ იქნა წარმოჩენილი, აქ დეტალურად ვერ ვაღმომოცემთ. მოკლე საგაზეთო წერილში მას ვერ წარმოვადგენთ, და რომც წარმოვადგინოთ, გ. კორკელიასთვის იგი უთუოდ არაფრის მომცემი იქნება.

ჩვენ ისიც კი გვეუბნება, რომ იგი აქ აღნიშნულ უმარტივეს მონაცემებშიც ვაერკვეს.

ამას გვაფიქრებინებს ხმაბაძეობის თეორიასთან დაკავშირებით ჩვენს ერთერთ ნაშრომში ერთგან მოტანილი კ. მარქის ერთი ცნობილი გამოხატულების მოხმობა (ციტატის სახით) თავად გ. კორკელიას მიერ, და, მასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული აბსურდული ინტერპრეტაცია, ყოველად უაზრო დასკვნითურთ; ამის დასტურია, სხვაგანაც, ჩვენი გამოხატულების მისიერი ინტერპრეტაცია-შეფასება და ჩვენი აშკარა განქიქების მცდელობა, თუმცა, თავად არ იცის, – რისთვის. აი, ამის ერთი მაგალითიც. მოაქვს რა ჩვენი ნაშრომიდან ციტატა, რომელიც ასეა წარმოდგენილი, „ადამიანი ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება“, გ. კორკელიას ასეთი დასკვნა გამოაქვს: „თქვენი ადამიანი, ბატონო მამანტი, მეგრულად რომ ვთქვათ, ხეკულა. თქვენ მას მარჯვენა მოაჭერთ. რა დიდებულად არის ნათქვამი: დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგიაო“.

აი, როგორი „მარგალიტები“ გადმოაფრქვია და როგორი ბოროტი ბრალდება წაუყენა მამანტი ძაძამიას გ. კორკელიამ, და დიდი სიამოვნებაც გამოხატა ამაზე. ამ დროს კი, გ. კორკელია, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აზრზე არ არის, რომ აღნიშნული კლასიკური შეფასება ადამიანისა, საერთოდ არის წარმოდგენილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში და იგი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ „მამანტი ძაძამიას ადამიანს“. აქვე დავტყობ: მამანტი ძაძამიამ სხვა დროს და სხვა ადგილას, თავის მხრივ, ადამიანის ასეთი (მეტაფორა-ავარუელი) განმარტებაც გააკეთა: „ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება, რომელსაც ზოგჯერ გაწითლება შეუძლია“. ხეხა თუ არა, ეს უკანასკნელი, განსახილველი წერილის ავტორს, სხვა საკითხია. მის საუურადღებოდ, შემდეგ ცნობილ გამოხატულებასაც მოვიტყობთ: „ყველაზე რთული მეცნიერება არის კაცობა“.

კიდევ ერთი მაგალითი: გ. კორკელიას მოაქვს რა ერთ-ერთი ციტატა ჩვენს ნაშრომიდან, უცებ აცხადებს: „სწორედ აქ მარხია ძაძამის თავი. მაგრამ ბატონი მამანტი ძაძამია ამაზე დუმს, ან არ ესმის საქმის არსი, ან განზრახ მალავს საქმის ვითარებას“.

ეტყობა, გ. კორკელიას სადღაც გაუგონია ან წაუკითხავს ცნობილი გამოხატულება „ძაძამის თავის დამარხულობის“ შესახებ, და, წამოიძახა, აბა არ იხამდა? ხოლო რამდენად უადვილო იყო მისი აქ გამოყენება, ამის გააზრების უნარი, ჩანს, მისთვის განგების არ მოუმაღლებია. ჩვენთვის, რასაკვირველია, საგნების გაუგებარია, თუ რა „მგლის თავი“ დაინახა, დამარხული, გ. კორკელიამ აღნიშნულ ციტატაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ დაეინახეთ და უთუოდ სხვებიც დაინახავენ, რომ თავად ავტორის მწირო გონების მქონე ძაძამის თავი დამარხული აღნიშნულ გამოხატულებაში.

რომ არა მრავალგან წარმოდგენილი განმაქიქებელი გამოხატულებები, აშკარად გამოხატული უპატივცემლო, უდიერი და ბოროტგანზრახული გამჭირდავი დამოკიდებულება ჩვენადმი და მის მიერ დასახელებული სხვა ადამიანებისადმი, რაც მხოლოდ ავტორის უბრალო უკულტურობის ნიშანი არ არის, ჩვენ, წარმოდგენილ კომენტარში ადეკვატური შეფასებების მოხმობას მოვერიდებოდით, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერს ხომ თავისი სახელი უნდა დაერქვას. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ, როგორც პრაქტიკა გვჩვენებს, სრული უპასუხობის შემთხვევაში, გ. კორკელიასნაირი პერსონები თავს გამარჯვებულად

ჩათვლიან და უარეს სიბინძურესაც დაახვავებენ.

იბადება კითხვა: რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ არენახე ჩნდება გ. კორკელიას დონისა და ტიპის „მეცნიერი“ და ამაყობს კიდევ თავისი მიღწევებით თუ მიგნებებით: პიქტოგრაფიაში, ეტიმოლოგიაში, ენის წარმოშობის საკითხში და ა. შ.

ჩვენის აზრით, იგი მნიშვნელოვნად არის განპირობებული შემდეგი რეალობით:

მკითხველს უთუოდ შეუშინეველი არ დარჩებოდა, რომ ბოლო პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს არსებობის უფლება აქვთ, მოელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში და წიგნებშია ცი მომრავლდა თვითგამოცხადებული „ეტიმოლოგი მეცნიერ-მეცნიერების“, პირდაპირ ვიტყვით, ფრიად საეკუო ან სრულიად უსაფუძვლო „მეცნიერული“ ნაკვლევი ეტიმოლოგის დარგში. ამგვარ ეტიმოლოგიურ ნაკვლევებში, აი, რას გეთავაზობენ ავტორები: „სიტყვა „ჭეშმარიტება“ მეგრულია, ვინაიდან ჭე მეგრულად ცოტას ნიშნავს“, „მეგრულია სიტყვა „სამშობლო“, რომელიც მიღებულია სიტყვა „შობა“-საგან, რადგანაც ამ სიტყვაში მოცემული უ ბგერა მეგრულად სველს ნიშნავს, შობა კი, როგორც მედიცინის მუშაკებისთვის არის ცნობილი, სისველსთან არის დაკავშირებული“, „სიტყვა „მდინარე“ გამდინარე წყალს გამოხატავს, ვინაიდან, მეგრულად წყლის გამოხატავს ბგერა ნ, აქედანაა ნ-ში, რაც მეგრულად აღნიშნავს: „წყლისა“; „სახელწოდება წიგნი მიღებულია სიტყვებისაგან: წყარო იგი ცოდნისა იმისა“, და მისთანანი.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

ამგვარი ეტიმოლოგიის შემოთავაზებული ავტორები მათთვის საინტერესო (საკვლევი) სიტყვას, ყოველგვარი წესების გარეშე, ყოფენ მის შემადგენელ ნაწილებად და თუ მათში ცალკეული მეგრული სიტყვა აღმოჩნდება (მსგავსად სიტყვისა ჭეშმარიტება), მოცემული (საკვლევი) სიტყვის ეტიმოლოგიას ამოსწილად აცხადებენ. ამის გამო, მრავალ უცხოურ სიტყვაშიც მეგრულის ფორმები (სიტყვები) გვუღებოთ, რაც, რა თქმა უნდა, გარდა ძალიან იშვიათი შემთხვევისა, უსაფუძვლოა, უბრალო დამთხვევა ფორმებისა და მეტი არაფერი. სხვა შემთხვევაში, ავტორები, საკვლევი სიტყვას, ისე, რომ არავითარ ურადღებს არ აქცევენ მასში მოცემული ფონემების, მორფემების, მათ შორის, ლექსიკური და გრამატიკული მორფემების სწორად გამოყოფას, ანაწევრებენ ცალკეულ შემადგენელ ბგერებად და ბგერათა ჯგუფებად. შემდგომ ამისა, მოუხმობენ ხოლმე ამ ბგერებით დაწვებულ (საზს ვუსვამთ) მათთვის სასურველ სიტყვებს, განალაგებენ ამ სიტყვებს საკვლევი სიტყვის ბგერათა შედგენილობის (რიგის) მიხედვით და ასკვნიან, რომ ეს და ეს სიტყვა შექმნილია ამა და ამ სიტყვებისაგანაო (იგივე ზემოთ მოტანილი „წიგნი“ სიტყვის მაგალითი და სხვ.).

ცხადია, ნებისმიერ ენაში გვაქვს რამდენიმე ერთეული თუ ათეული, ამდგვარად შედგენილი, ანუ ცალკეულ სიტყვათა საწყისი ბგერების დაჯგუფებით მიღებული სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად: საბლიტგამო (საბავშვო ბიბლიოთეკათა გამოცემლობა), სახელმწიფო (სახელმწიფო გამომცემლობა), აშშ (ამერიკის შეერთებული შტატები), დღვ (დამატებითი ღირებულების გადასახადი) და მისთანანი, მაგრამ, ასეთი სიტყვების შექმნა, ცხადია, გუშინდელი ამბავია, და, პირველყოფილი ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ენაუღებელი და აზროვნებაგანუვითარებელი იყო, მსგავს რამე ვერ მიმართავდა. და, რომც მიემართა, სად ექნებოდა ჯერ კიდევ აუწყველებელ ადამიანს ასეთი წინასწარ შექმნილი სათადარიგო სიტყვები, რომ მათგან შექნა ახალ-ახალი ე. წ. „დაქარაგმებული“ სიტყვები, როგორც ამათ, ცალკეული ავტორები ეძახიან?

ამგვარი „ეტიმოლოგის“ წარმოდგენი ავტორები არც იმას აქცევენ ურადღებს, რომ ამა თუ იმ (საკვლევი) სიტყვის ასეთი დაშლა-წყობისას, შესაძლებელია სათანადო ბგერებით დაწვებული სხვადასხვა სიტყვებისაგან შედგენილი მრავალი ვარიანტის მიღება.

მამანტი ძაძამია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ზუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

ჭეშმარიტი სიღიაღე

9 მაისი ფაშის დასამარების დღეა – უამრავი ქვეყნის მილიონობით ადამიანის გამარჯვების საზეიმო დღე. ეს გახლავთ სტალინის მთავარსარდლობით ყველაზე სისხლისმღვრელი საშინელების დასასრული.

თავისი მასშტაბებით მეორე მსოფლიო ომი მანამდე ყველა ჩატარებულ ომებს გაცილებით აღემატებოდა მონაწილე ქვეყნების რიცხვით, მებრძოლთა და დაღუპულთა რაოდენობით, ტექნიკისა და გამოყენებული საბრძოლო იარაღების მასშტაბით. ამიტომ გენერალისიმუსი სტალინი, გაერთიანებული ჯარების ყველა სარდალზე ერთი თავით მაღლა დგას.

ქართველებმა ამ საშინელ ომში გამოიჩინეს თავი და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მედგარი და მებრძოლი ხალხია.

9 მაისი ისტორიაში დარჩება ფაშის ძლევის დიდ ეპოქად. წარმოუდგენელია 9 მაისი სტალინის გარეშე და პირიქით.

ბრუნების შეტევებზეა აზროვნებამ და პირადად ზიზმა სტალინისადმი, მიადებინა ყოველად გაუმართლებელი და ბინძური გადაწყვეტილება, რასაც მოჰყვა ვერც წოდებული „სტალინის პიროვნების კულტის“, ე.წ. მხილება, სარდლის ღირსების შელახვა და მისი ძეგლების მასიურად დაშლა-განადგურება.

თუმცა, ამან კი არ დაჩრდილა მეორე მსოფლიო ომში სტალინის გამარჯვების მნიშვნელობა, რომელშიც 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა და თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა, ათასობით კი ხეობარი დაბრუნდა სამშობლოში, არამედ განადიდა მისი როლი და ღირსებები.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ნათელი დადასტურებაა თუ, როგორ აფასებდა მოსახლეობა ომში გამარჯვების მნიშვნელობას და როგორ ცდილობდა სტალინის უკვადასყოფად ძეგლებისა და მონუმენტების კვლავ აღმართვას...

1975 წელია. აფხაზეთის ანიგვარას მეორე საშუალო სკოლაში 9 მაისის ზეიმისთვის მოემზადდნენ. სკოლის დირექტორი იყო ინდიკო ჩხვირკია. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ მამაცი მებრძოლი, გერმანიის რაიხსტაგზე გამარჯვების მსუქველი დროშის ამტანი მელიტონ ქანთარია. როცა მოწვეული სტუმრები სკოლის ამწვანებულ ეზოს ათვალეიერებდნენ, მელიტონ ქანთარიამ შენიშნა „პოსტამენტი“, რომელსაც მოცილებული ჰქონდა სტალინის ძეგლი. მივიდა ახლოს და დანახვით თქვა: „ნიკიტა მეორედ მოწამლა სტალინი, როცა გასცა განკარგულება ბელადის ძეგლების აღებაზე“. მაშინ სკოლის დირექტორმა, ბატონმა ინდიკომ მიმართა: „გვაქვს ადღგენის იდეა, მაგრამ არქიტექტორები საკმაო თანხას ითხოვენ, სკოლას კი ამის საშუალება არ აქვს“-ო.

იქვე მდგომმა ანიგვარას მეურნეობის დირექტორმა, გრიშა ჩაჩიბაიამ ჩურჩულით თქვა: „თუ ჩემს სახელს არ გაამხელთ, ძეგლის თანხაზე ნუ იდარდებთ, მე გადავიხდიო“.

ასე დაიწყო ძეგლის აღდგენისთვის სამი ადამიანის ფარული ზრუნვა.

სკოლის დირექტორმა მიაგნო, თუ სად იყო ჩამარხული სტალინის ძეგლი ძეგლი. იგი სამად იყო დანაწილებული. მხარი და თავი საწყოების კუთხეში მიეგდოთ და ზედ ხარა-ხურა მიეყარათ, სახე ჰქონდა საგერმანოვად დაზიანებული. სხვა ორი ნაწილი ხის ძირში ზეწარში გახვეული ჩაეფლათ მიწაში. ყველა ნაწილი მოიძიეს, შეარჩიეს სკულპტორი კანდიკო ლევაია, თავის საქმის პროფესიონალი, ნამდვილი ქართველი და საქმეს შეუდგნენ.

რადგან ძეგლი სამი მეტრის სიმაღლის იყო, ხოლო პოსტამენტიანად შეიდ მეტრს აღემატებოდა, საჭირო იყო სათანადო სათავსოსა და პირობების შექმნა. ეს იყო ცნობილი კონსტრუქცია, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ფარულად, მიუღიანი ორი წელი მიმდინარეობდა საქმიანობა. გადაწყდა, ძეგლის დადგმა ახალი წლის დღეებში, ანუ კალანდას მოწობილიყო.

1977 წლის 13 იანვარს, როცა სიბნელემ მოიცვა არემარე, წინასწარ გაფრთხილებული ამქვე შევიდა სკოლის ეზოში. დირექტორს გვერდიდან არ შორდებოდნენ სანლო მამაკაცები, შემდგომელები და მკლავმარჯვე თანასოფლელები. რადგან სკოლა ზედ სოხუმი-ზუგდიდის მთავარ მაგისტრალზე მდებარეობდა, საჭირო გახდა გზის მხარის ბრეხვრით დაფარვა, რომ მავანის თვალისთვის მოერიდებინათ... მალე მოვიდა სატვირთო მანქანა, რომელმაც მოიტანა ადღგენილი ძეგლი. ყველას გამოუჩნდა საქმე, საოცარი სისათუით ექცეოდნენ ძეგლს, რომ რაიმე არ დაშავებოდა.

სიფრთხილისთვის დამატებითი ზომებიც მიიღეს, სკოლის ეზოს შემოსასვლელთან დააყენეს ადამიანი, რომელიც აყურადებდა – ქუჩიდან არ შექმნილიყო რაიმე საფრთხე, რადგან მაგისტრალზე ინტენსიური მოძრაობა არ ცხრებოდა.

ოთხსაათიანი დაძაბული შრომა მოუხდა შემდგომელებს. საოცრად ღელავდა არქიტექტორი და, მასზე მეტად, სკოლის დირექტორი ინდიკო ჩხვირკია, რომელიც იყო ძეგლის აღდგენის მთავარი ინიციატორი და „აკრძალულ ქმედებაზე“ პასუხისმგებელი.

მიუხედავად უსაფრთხოების ზომების მიღებისა, გვიან ღამე, როცა დასრულდა სამუშაო და ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ წარმატებას, ხალხი მოხდევდა სკოლის ეზოში. ათი, ასი... ორასი... თვლა არ ჰქონდა მანქანების რაოდენობას. ვის შამპანური მოჰქონდა, ვის არაფერი და ღვინო. ქალებიც არ ჩამორჩნენ მამაკაცებს, ხატა-

პური და ტკბილეული შეჰმატეს საზეიმო სუფრას.

შაბათი საღამო იყო. თითქმის დღიამდე გაგრძელდა ძეგლის მონახულება და ამდღეული განწყობა. დაიშალნენ, მაგრამ არვის უწყოდა რა განკითხვის დღე ელოდა ძეგლის განახლების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით სკოლის დირექტორს, რომელსაც გულწრფელად ურჩევდნენ თავზე არ აეღო მთელი პასუხისმგებლობა. იგი კი პასუხობდა „თუ საქმე გართულდა, საქმე ქმნილი, მე მიდირს მოსალოდნელ შედეგად“.

კვირას არავინ შეხმინებია სკოლის დირექტორს. ორშაბათს დღის თერთმეტ საათზე რაიკომის ინსტრუქტორი გამოეცხადა და აუწყა რაიკომის პირველი მდივანი გიბარბესო. მიხვდა რაზეც მოუწვედა პასუხისმგება. დანიშნულ დროს გამოეცხადა პირველ მდივან ოთარ ზუხბაიას, რომელმაც მიღებისთანავე ატაკა.

– რაო, ააშენე კომუნისში ანიგვარაში ხომ?

– თქვენთან ერთად ვაშენებთ კომუნისში ამხანაგო მდივანო! – მიუგო ოდნავ ჩახლენილი ხმით, რომ არ გამოეწვია უმადლეხი ხელისუფლის რისხვა.

– მთლად შეთანხმებულად არ მივიღებართ... თქვენი გზა განზე უხვევს – ხმაში ეტყობოდა, მთლად სიბრაზე არ ენთო გულში. ვერ იქნებოდა ქართველი კაცი სტალინის მოძულე და ფაშის მის დამსამარებლის უარყოფელი.

– ამ დღით აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტიდან დამიკავშირდნენ, შემდეგ ვესაუბრე ცეკას მდივან ედუარდ შევარდნაძეს...

ოდნავ შეცბა სკოლის დირექტორი. მიხვდა რამხელა რეზონანსი გამოიწვია მისმა გაბედულებამ და სტალინისადმი პატიემიგება, მდივანს ვერ ეტყვის მეურნეობის დირექტორი დამემხარა ფინანსურად. „სასჯელის“ შესამსუბუქებლად ვერც სხვა მხარდამჭერთ გათქვამდა. უკან დასახვევ გზა მოჭრილი ჰქონდა, ამას უკარნახებს ადამიანური ღირსება.

– მათ დამავალეს – გააგრძელა საუბარი პირველმა მდივანმა – გავარკვიო ორგანიზატორების ვინაობა და ზომები მივიღო, ასე, რომ ნუ მოელი ჩემგან... – აქ შეყოვნდა, – ყველაფერი უკვე მომასხენეს. ახლა მანარაძიდან სტუმრები მყავს, აღარ მცალია, შენთან რაიკომის წარმომადგენლები მოვლენ და მერე ვილაპარაკოთ.

ხმა მუქარის შემცველი არ ჰქონია. ეს დირექტორმა ერთგვარ მხარდაჭერად ჩათვალა და სკოლაში იმედიანად დაბრუნდა.

დღის მეორე ნახევარში ქალაქის მეორე სკოლაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე იური კაკრაბა მივიდა და გაღიმებული სახით უთხრა: „ჩემო ინდიკო, იმ კარგ საქმეს, რომელიც თქვენს ეზოში გააკეთდა, კარგი სადღევრემლო მოუხდება,

ვიცი შაბათ საღამოს აქ ზეიმი გქონია“. დირექტორმა ამდღეული განწყობით მიუგო.

– აბა რისთვის ვართ ჩვენ აქ, თუ სტუმრების გამასპინძლებას ვერ შევძლებთ. თუმცა ძალიან მაინტერესებს, იქვეით ამ ყველაფერზე რას ფიქრობენ?

– რაიონში ვინც ამინდს ქმნის და რასაც ფიქრობს, ამაზე სადღევრემლოში გეტყვი, ვფიქრობ დიდად არ დალონდები – მიუგო გაბადრულმა კაკრაბამ.

იმ დღეს იქიფეს. სტალინი აღიღეს. ომში დაღუპულები მოიგონეს. ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის სადღევრემლო დალიეს.

ამის შემდეგ სკოლის დირექტორი არსად დაუბარებიათ და მისაბაძი ინიციატივისთვის არ დაუსჯიათ.

ვინ არ მოდიოდა სკოლაში განახლებული ძეგლის სანახავად, აფხაზეთის მახლობელი რაიონებიდან და სოფლებიდან, მოჰქონდათ ყვავილები, თაიგულები, იღებდნენ სურათს...

განსაკუთრებული გამოცოცხლება და ამდღეული განწყობილება შეიქმნა 21 ივნისს, როცა ძეგლი მინახულა სტალინის შვილიშვილმა, იაკობმა. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი მოსვლა ელვის სისწრაფით მოედო ანიგვარას. საპატიო სტუმარს მოჰყვნენ გულრიფვის აგროპორტის მუშაკები, ონაშირის ინტელიგენცია, მალევე მოვიდნენ გალის რაიონის ხელმძღვანელები. სკოლის მოზრდილი ეზო სტუმრებს ვერ იტევდა.

იაკობმა ძვირფასი გვირგვინით შეამკო იდი და სახელოვანი ბაბუის ძეგლი. გადაიღო სურათები ძეგლისა და ხალხის ფონზე. შემდეგ მოსწავლეებს ავტოგრაფები დაურიგა და დიდი ხანი ვერ იცხრობდა აღტაცებას, არა მხოლოდ ძეგლის აღმართვის გამო. არამედ, მოსახლეობის გულითადობის გამო.

გავიდა გარკვეული ხანი. სკოლაში მოვიდნენ აფხაზეთის უშიშროების მუშაკები. ერთი მათგანი დირექტორის კაბინეტში შევიდა, გააცნო თავი და უთხრა ძეგლთან სტუმრები გელოდებიან და უნდა მიხვიდეთო. როცა ძეგლთან მივიდნენ, იქ სამი მამაკაცი იდგა გადმოკარკლული თვლებით. ერთერთმა უთხრა: ძეგლი უნდა მოხსნათ დირექტორო, ბრძანება გვაქვს, რომელიც განსჯას არ ექვემდებარებაო.

ბატონი ინდიკო ჩხვირკიამ მოულოდნელობისა და კატეგორიული ტონის მიუხედავად იკითხა: „ეს ძეგლი არავის არაფერს არ უშვებს, და რადგან განსჯას აზრი არ აქვს, მიზეზი მაინც მითხრითო“.

გაირკვა, რომ ზაფხულში, როცა მოსწავლეები არდაღებებზე იყვნენ წასულნი, მაგისტრალზე ჩამოუვლია პოლონეთის შურნალისტთა დელეგაციას. უნახავთ ეს შეიძმეტიანი ძეგლი, გაუჩერებით მანქანა, სკოლის ეზოში შესულან, სურათი გადაუღიათ, ქუჩაში ხალხისთვის კითხვები დაუსვათ და ეს ფოტოსურათი სათანადო ანოტაციით პოლონურ შურნალში გამოუქვეყნებიათ, სადაც ფიგურირებდა შემდეგი წინადადება „ქართველი ხალხის სურვილია სტალინის რეაბილიტაცია, მაგრამ საბჭოთა რუსეთი ამის ნებას არ რთავსო“.

ეს გამოცემა თურმე მოსკოვში, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკას მიუღია. თურმე ამ ბიბლიოთეკაში მსოფლიოს თითქმის ყველა გამოცემა იყრია თავს. ვილაცას წაუკითხავს და უცნობებია სათანადო ორგანოებისათვის, ზომების მისაღებად.

ეს ფაქტი კიდევ ერთი აშკარა მაგალითია სამამულო ომში ფაშისმხე გამარჯვებისა და სტალინის ღვაწლისადმი სახალხო პატივისა, რომელიც არასდროს წაიშლება.

ასევე არასდროს წაიშლება აფხაზთა და ქართველთა მეგობრობა და ურთიერთობა, რადგან მას მყარი ფესვები აქვს გაღმული ორი მოძმე ხალხის გულგებში.

ბორის დავითაია,
საქ. მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.



შუაში – იაკობ სტალინი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას "კლუბებმა თავად დაამტკიცონ უდანაშაულობა, ჩვენ საბოლოო არაფერი გვაქვს!"



ფეხბურთის ფედერაციის იურისტი და სკორტული სამართლიანობის ჯგუფის წევრი კესო ჩხიკვაძე გარიგებულ მატჩების თაობაზე ფედერაციის პოზიციასა და სხვა საინტერესო საკითხებზე საუბრობს...

სადისციპლინო კომიტეტის წევრის, ზვიად ქორიძის ინტერვიუ ბევრი კითხვა დაბადა. მაგალითად, იმან, რომ შუშა გვირგვინს, დავსაჯოთ სამ გარიგებულ მატჩში შემჩნეული კლუბი, ერთ-ერთი გარიგება კი არ ისჯება. რატომ? - თუ რეპორტების რაოდენობა...

ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ სანქციები 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მომხდარ ფაქტებზე გატარდა. აქამდე ამაზე რეაგირება რატომ არ მოხდა?

უფამ ეროვნულ ასოციაციებს მხოლოდ ახლა დართო სანქციების გატარების ნება, რეპორტებიდან და მათი რაოდენობიდან გამომდინარე და ეს მიუხედავად იმისა, თუ როდის იყო ასოციაციაში ამა თუ იმ საექვო მატჩზე შუშა-დან ინფორმაცია მისული. ახლა ასოციაციებს მიენიჭათ უფლება, არა მარტო მტკიცებულების, არამედ ეჭვის მაღალი ალბათობის საფუძველზე გაატარონ სანქცია. არის მითითება, რომ სიტყვები "უდანაშაულობის პრეზუმფცია" ამოიღონ და...

ეს მხოლოდ ახლა წაიკითხეს, როცა სანქციები დაუწესეს. არადა, ეს მუხლი 27 მარტს შუშა-ს ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციასთან სრულ თანხვედრაშია.

ამას კლუბები აპროტესტებენ და მტკიცებულებებს ითხოვენ...

შუშა მათ ამხელს და როცა რეპორტი მოდის, ჩვენ კი არ დაუშვებოდა, რომ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობდნენ, არამედ თავად კლუბებმა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომ რეპორტში ხსენებული თამაში გარიგებული არ იყო.

თუ საიდუმლო არ არის, უფას რეპორტებში რა სახის და რომელ გარიგებულ მატჩებზე ინფორმაციები?

ტოტალიზატორებში მანიპულირებდნენ მატჩების შედეგებსა და მათ მიმდინარეობაზე. ერთ-ერთი მოხსენების შინაარსს გაგაცნობთ: "საექვო ფსონი დაიღო მატჩის წინ X კლუბის წაგებაზე, რომ ჯამში გავიდოდა მინიმუმ X გოლი. თანაბრად იდებოდა "ცოცხალი ფსონი", რომ X ვერ მოიგებდა და წააგებდა. გაკონტროლებულ ტოტალიზატორში აღინიშნა უჩვეულო კოეფიციენტი. გვეჯერა, რომ ამ მატჩზე ფსონები მანიპულირების მიზნით იდებოდა".

სადისციპლინო კომიტეტის სანქცია პრევენციულია და ამ ეტაპზე კონკრეტული პირების და კლუბების ხელმძღვანელების დადანაშაულებას არ გულისხმობს. მხოლოდ მიუთითებს, რომ კლუბმა მომხდარზე პასუხისმგებლობა გაიზაროს.

ცნობილია, ვინ ახორციელებდა ამ მანიპულაციებს?

დიახ, ცნობილია. სშირად რამდენიმე პირი მონაწილეობდა, მაგრამ, შესაძლოა, ამაზე კლუბის ხელმძღვანელობა არც იყო ინფორმირებული.

ფედერაცია ამ საკითხზე

შსს-სთან თანამშრომლობს?

კონკრეტული დამნაშავეების დასადგენად, ეს რეპორტები გადაეცემათ საექვო თამაშების შემსწავლელ სპორტულ კომისიას, რომლის წევრების ვინაობა ფედერაციის სუბიექტებისთვის ცნობილი არ არის, და შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ უკანასკნელს ფედერაცია მაღლობას უხდის, რადგან სამინისტრომ სრული მხარდაჭერა აღვითქვა. იმედია, მათი დახმარება სასურველი შედეგის გარანტია გახდება და ამ სამარცხინო პრობლემას დაეძლევთ. ფედერაციის მოვალეობაა, გულშემატკივრის ინტერესი გაითვალისწინოს.

რას აპირებს ფეხბურთის ფედერაცია, დაიწყება საკითხის დეტალური განხილვა?

ფეხბურთის ფედერაციამ მოკვლევა ყველა რეპორტზე დაიწყო და ამის შესახებ ადრესატებს უკვე აცნობა.

მომხდარის გამო საკანონმდებლო ცვლილებები ხომ არ გახდება საჭირო?

ფედერაცია ამაზე უკვე მუშაობს, რადგან გასამკაცრებელია სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლი, რომელშიც გარიგებულ მატჩებზე დაპარაკი. 2013 წლის 18 ივლისს ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიმართა კიდევ, რომ პარლამენტთან ამ მუხლის გამკაცრებაზე ეშუამდგომლა.

შუშა-ს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა კრის იტონმა "როიტერთან" ინტერვიუში ბრძანა: "კორუფციასა და გარიგებულ მატჩებთან საბრძოლველად საჭიროა: პირველი - პოლიტიკური ნება; მეორე - ცალკე სტრუქტურის შექმნა, რომელიც ასეთ ინფორმაციებს თვალყურს


მიადგენებს; მესამე - არსებულ ინფორმაციებს ქმედითი რეაქცია უნდა მოჰყვეს". გულწრფელად თქვით, ჩვენ გაგვანია ყველა საშუალება, გარიგებულ მატჩებს რეალურად რომ ვებრძოლოთ?

სამწუხაროდ, გარიგებულმა მატჩებმა გლობალური ხასიათი მიიღო და სწორედ ამან განაპირობა უფას მითითება, რომ ასოციაციებს საკანონმდებლო ბაზაში ცვლილება შეეძნათ და კლუბები მაღალი ალბათობის ეჭვის საფუძველზე დაესაჯათ. ეს პრობლემა ბევრ ევროპულ ქვეყანაშია. პოლიტიკური ნება რომ არსებობს, ამის მაგალითია ფედერაციაში სპორტული სამართლიანობის სამსახურის ჩამოყალიბება და სადისციპლინო კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილება; აგრეთვე, პროცესში ფედერაციის აქტიური ჩართვა - სწვ პრინციპული იქნება, ხოლო მომავალში - გაცილებით მკაცრი და კატეგორიულიც. იმედია, მთელი საფეხბურთო სამყაროს დახმარებით, სასურველ შედეგს მივაღწევთ.

საზოგადოებისთვის უცნობია, ვინ არის სპორტული სამართლიანობის სამსახურში?

ამ სამსახურში 5 პიროვნება შედის, ჯგუფს კი ბაქარ ჯორდანი ხელმძღვანელობს. მას მუდმივი კავშირი აქვს უფასთან, ინფორმირებულია ევროპული სიახლეების შესახებ. ფედერაცია მიმართავს ყველას, აქტიურად ჩაერთონ ჩაწვობილი მატჩების დაძლევაში, აკონტროლონ თამაშები, სამომავლოდ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდნენ. ვიმეორებ, რეპორტებში მოხედრა სანქცირებადია.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322



ბაზეთ "ილორი"-ს მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას

ჩვენი მამაბაპური საცხოვრისებიდან გამოყრისა და გაღტოლვილების შემდეგ, უამრავი მიმართვების, თხოვნების თუ ხეყვნა-მუდარის მიუხედავად, ვერაფრით ვერ მოხვდით იმ ბედნიერ ადამიანების რიცხვში, რომლებიც, უფლის თანადგომით, მთავრობის მუშაკთა ყურადღების ქვეშ აღმოჩნდნენ.

მიუხედავად იმ აუტანელი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ შინაური თუ გარეული მომხდურებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დაკარგეთ, მიწასთან გასწორებულნი და სულში ჩაფურთხებულნი გახლდით, ნებისმიერ ინსტანციაში წერილობითი თუ პირადი ვიზიტებისას ჩვენს მიმართ იყო ცივი, უხეში, ზიზღნარევი დამოკიდებულება, რაც უფრო გვანატრებდა სიკვდილს. და აი საოცრება!

ამ დღეებში, ამჟამინდელი საცხოვრისის ჩემს სახელზე გაფორმების თხოვნით, ჩემს განცხადებაზე, მირეკავს ლტოლვილთა სამინისტროდან ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც საოცრად თბილად, საოცრად გულისხმიერად და ყურადღებით მესაუბრა. ამისხნა ყოველი წერილმანი ჩემს საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ჩემს წუხილზე, რომ თვითონ ვერ მოვახერხებდი მასთან მისვლას, ის გაგებით მოეკიდა და დამთანხმდა, რომ ჩემს მაგივრად შეილი მოვიდოდა.

საოცარია, სხვა დროს გამომლადღავდნენ, როგორ თუ მოხვლა არ შეგიძლია, ან უკეთეს შემთხვევაში საერთოდ ჩემს განცხადებას მოისროდნენ შორს.

ჩემს შეილს (როგორც მერე გავიგეთ), ლტოლვილთა სამინისტროს სოციალური საკითხების და განსახლების სამმართველოში დახვედრია გოგონები: ნინო უდესიანი. მანონი გუნჯუა, ნინო კილანავა, ძალზე ყურადღებიანი, თბილი, ადამიანური, კეთილი დიმილითა და კეთილგანწყობით აღსავსე ახალგაზრდები, რომლებსაც არ დაუკლიათ ძალისხმევა ჩემი პრობლემის მოგვარებაში, რისთვისაც ის მისული იყო ამ სულით და ხორციით ღამაზ ახალგაზრდებთან.

ჩემი შეილი აღფთოვანებას ვერ მაღავდა მათი გულისხმიერების გამოვლენით. დიდება უფალს, კიდევ ყოფილან კარგ ოჯახში გაზრდილი შეილები, რითაც შეუძლია იამაყოს ოჯახმაც და სამინისტრომაც.

ბატონ დავით დარახველიძეს დემერტმა უმრავლოს მსგავსი თანამშრომლები უწყებაში!

პატივისცემით, ლიანა ნანაშა, პენსიონერი, შრომის ვეტერანი ქგალი

იუმორი

მართალია, რომ ამბობენ, ქალები კაცებზე დიდ ხანს ცოცხლობენ?

იცოცხლებენ, აბა რა იქნება, კაცების სისხლითა და ნერვებით იკვებებიან.

აგადმყოფი ბავშვის მამამ ტელეფონით ექიმი გამოიძახა:

თქვენს მოსვლამდე რა ვიღონოთ, ექიმო?

ფული მოამზადეთ! - იყო პასუხი.

რესტორანში კლიენტი გამწარებული ყვირის:

ოფიციანტი! კბილსაჩინქნი მომიტანე!

დაკავებულია!

საქართველოს პარლამენტის წინ ბეგრმა ხალხმა მოიყარა თავი და შიმშილობა დაიწყო. ერთი გამხეცილი დაინტერესდა და ჰკითხა:

რატომ შიმშილობთ?

საჭმელი არ გვაქვს, ბატონო და იმიტომ!

კახელი ჩაჯდა ტაქსში.

შოფერმა ჰკითხა: - საით?

- ახლა ამას აბარე ანგარიშები!

- ჩაილაპარაკა გულმოსულმა კახელმა.

ISSN 1987-8966 ilori. რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, სარ.პ. №01018002930, 234-32-95. მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანიას. მისამართი: თბილისი, ბაზეთის მენეჯერი: ზურაბ ტობაღია, 599-34-37-27. საარქივო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, ზვიად მირბატი, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი).